51
1924
9(47):323.2(05)
3-25

კაცოტრფა
და
ციმბირი

ჟურნალი № 1.
თებერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ეროვნული
ტფილისი
ბიბლიოთეკა

გამოცემა
ლ. ტრაკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა.

1924 წ.

Общество
ревнителей
исторических
изысканий
и сс. по
Спб.


В. И. Ленин

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისი, 17 თებერვალი 1924 წელი.

ბურჟუაზიის მეშატიანე მიზნად ისახავდა ისტორიის მსვლელობის ბურჟუაზიულ იდეოლოგიის თვალსაზრისით გაშუქებას, რომ მომავალი თაობა, წარსულ გაკვეთილებზე აღზრდილი, ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წესწყობილების ერთგული ყოფილიყო.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

რამდენად მეტს ცდილობდენ მშრომელ მასსაში თვით შეგნების აღმოფხვრას, იმდენად უფრო ერკვევოდა ეს მასსა.

მეფისა და ბურჟუაზიის დამკაშების, მათი ყურმოჭრილი ლაქიების ვითომდა „საქმეთა-საგმიროთა“ შესახებ რიხიანმა ქადაგებამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

ხალხის შეგნებამ ფრთა შეისხა.

სიმართლემ გაიმარჯვა...

და აი, კიდევაც თავიდან მოიშორა და უფსკრულში გადასტყორცნა მშრომელმა ხალხმა მეფეები, ბურჟუაზია და ყველა ისინი, ვინც ლუმდის მას მეტ ბარგად კისერზე დასწოლოდა.

მაგრამ სანამდის ხალხი ამ შეგნებამდის მივიდოდა და მონობის უღელს თავიდან მოიშორებდა, ბევრი შრომა და ენერგია დასჭირდა მას.

ძნელი გზა, გზა ეკლიანი—არის განვლილი. ეს გზა არის საუკეთესო ამხანაგების, თავდადებულ მებრძოლთა სისხლით მორწყული,—ასეთია გზა რევოლიუციის ისტორიისა. ჩვენ ამ რევოლიუციის გზაზე მავალმა დავკარგეთ საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები.

ბევრი მათგანი გმირულად შეეწირა რევოლიუციის საქმეს.

ნესტიანი ციხე, გადასახლება, დახვრეტა...

ამიტომ ჩვენ, რომელნიც ახლო ვხედავდით ხალხის ტანჯვას და ვიცით საშუალებანი, რომლითაც ხალხმა მონობის უღელი გადაიგდო, ვგსურს: რუსეთის რევოლიუციის ისტორია გადაეცეს იმათ, რომელთაც კიდევ მართებს ბრძოლა საკაცობრიო რევოლიუციისათვის, რათა რუსეთის მშრომელთა მიერ განვლილი გზა სხვა ქვეყნის მშრომელთათვის სამაგალითო გახდეს და რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გამარჯვებით დასრულდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ კრებულის გამოცემას იმიტომ შევუდექით, რომ რევოლიუციის ისტორიის წითელ ფურცლებს შევმატოთ მოკლე, მაგრამ საჭირო სტრიქონები, გამაშუქებელი ცარიზმის და კაპიტალისტურ-ეროვნის ბნელი მხარეებისა, — გადასახლებულთა და პოლიტიკურ-კატორღელთა ცხოვრებისა და მათ მიერ მშრომელ ხალხისთვის განწყობილი ტანჯვა-წვალებისა.

რუსეთის პროლეტარიატის სარევოლიუციო ბრძოლაში საქართველოს უპირველესი ადგილი ეჭირა.

საქართველო ხშირად იყო რევოლიუციის მოძრაობის ავანგარდი, რევოლიუციონურ გამოსვლების ბუდე.

ამიტომ მოუწოდებთ ყველას, ვისაც-კი რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობა მიუღია, ან აქვს მასალები რევოლიუციონურ მოძრაობათა შესახებ საერთოდ და საქართველოში კერძოთ, განსაკუთრებით-კი ყოფილ პოლიტ-კატორღელთ და გადასახლებულებს, მოგვაწოდონ თავიანთი მოგონებები არალეგალურ რეშაობის და კატორღაში გატარებულ დღეების შესახებ და ამით დაგვეხმარონ ჩვენ დაყენებულ მუშაობაში.

მასალებს, გამოყენების შემდეგ, დიდის მადლობით ყველას უკანვე დავუბრუნებთ.

ა. რ უ ხ ა ძ ე.

ვ. ი. ლენინი ციმბირში

რუსეთის რევოლიუციონერების ეკლიანი გზა — ციხე, ციმბირი — არ ასცდა ამბ. ლენინსაც.

ახალგაზრდა ლენინი, ყაზანის უნივერსიტეტიდგან გამორიცხული სტუდენტების წრეებში მონაწილეობისათვის მიდის პეტროგრადში და აქ ეარსებს „მუშათა განთავისუფლების ბრძოლის კავშირ“. ეს იყო 90-იან წლებში. ლენინი პეტროგრადში პირველი მერცხალი იყო მაოქსიზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ამ დროს მარქსიზმიც ახალი ხილი იყო რუსეთში. მაშინდელი ინტელიგენცია მატარებელი იყო მხოლოდ „ნაროდოვოლცების“ იდეოლოგიისა.

ლენინი იკაფავს პეტროგრადში ახალ გზას. ის აწყობს მარქსისტულ წრეებს, იკრეფს თავის ირგვლივ მუშებს, აძლევს სასტიკ ბრძოლას „ნაროდოვოლცების“ თეორეტიკოსს მიხაილოვსკს და თავისი საუცხოო ეკონომიური წერილებით ის ჩქარა იხვეჭს სახელს. „ნაროდნიკულ“-ინტელიგენტურ წრეებში შეიქნა ჩოჩქოლი. ყველა ამჩნევს, რომ ჰორიზონტზე გამოჩნდა მძლავრი ფიგურა.

მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ლენინს პეტროგრადში მუშაობა.

მას აპატიმრებენ. ის დიდხანს ზის ციხეში და 90-იან წლების მიწურულში, ციხეში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ, ლენინს გზავნიან ციმბირში.

ციხეში იჯდა 1895 წ-დან 1897 წლამდე.

ციმბირში, ენისეის გუბერნიაში, იყო 1898—1900 წლამდე.

შემდეგ ციმბირიდან ის მიდის საზღვარგარეთ.

ლენინი იჯდა ციხეებში სულ 14 თვე, ციმბირში იყო 3 წელი, ემიგრაციაში 10 წელი.

ციმბირში ყოფნის დროს ლენინის ლიტერატურულმა მოღვაწეობამ ფართოთ გაშლა ფრთები.

აქ მან დასწერა რამდენიმე საყურადღებო შრომა, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ორმა შრომამ: „რუსეთის სოციალ-დემოკრატების ამოცანა“ და „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“.

პირველი შრომა—პატარა ბროშიურაა, ეხება არავინ კითხულობს ამ ბროშიურას, მაგრამ ის დარჩება მარქსისტულ მოძრაობის ისტორიაში ერთ თვალსაჩინო ბოძათ.

ლენინი ამ შრომაში უკეთებს ანალიზს სოციალისტურ მოძრაობას ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში.

მაშინ, როგორც ამბობ. ზინოვიევი ამბობს,—კიდევ არ იყო გადაწყვეტილი კითხვა, რა დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო მუშების პოლიტიკური ბრძოლა ცარიზმთან და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ეკონომიური მოთხოვნილებისა და სოციალიზმისთვის.

მაშინდელი „ეკონომისტები“, ეხლანდელ მენშევიკების წინამორბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დები, აყენებდენ კითხვას ასე: მუშებმა უნდა იბრძოლონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მხოლოდ „კაპეიკების" მომატებისათვის, ხოლო პოლიტიკური ბრძოლა ლიბერალურ ბურჟუაზიის საქმეაო.

ლენინმა პლეხანოვთან ერთად გამოაცხადა სასტიკი ბრძოლა მარქსისტულ მოძრაობაში შემოჭრილ ეკონომიზმისა და გადისროლა ლოზუნგი, რომ მუშათა კლასის ამოცანაა ებრძოლოს როგორც ცარიზმს, ისე ბურჟუაზიას.

ციმბირიდან ეს ხელთნაწერი მიუვიდა შვეიცარიაში რუსეთის მარქსისტულ წრეს, რომელშიაც შედიოდენ პლეხანოვი, აქსელროდი და ზასულიჩი.

აქსელროდმა, წაიკითხა თუ არა ეს ხელთნაწერი, განაცხადა, რომ პლეხანოვის შემდეგ იბადება ახალი, გრანდიოზული მარქსისტული ძალა, პრაქტიკოსი, რომლის დიადი მომავალი უზრუნველყოფილიაო.

მან ასეთი წინასიტყვაობაც უძღვნა ლენინის ამ შრომას.

და აქსელროდი არ შესცდა.

მეორე შრომა ლენინისა ციმბირში დაწერილი, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", აღელვებლად საჭირო წიგნია ყველა მუშისათვის.

აქ მან მტკიცედ გაფანტა მაშინ გაბატონებული ნაროდნიკების აზრი, რომ რუსეთში კაპიტალიზმი შეუძლებელია.

მან აუარებელი ციფრებით ხელში დაუმტკიცა მაშინ ყველას, რომ რუსეთი 90-იან წლებში უკვე შევიდა კაპიტალიზმის ფაზაში.

ეს შრომა ბურჟუაზიულ პროფესორებმაც კი იცვნეს მაშინ დიდ მეკნიერულ შრომად და ყველა გრძნობდა, რომ ახალგაზდა ლიტერატორი ჩქარა დიდ ადგილს დაიჭერდა ჩვენს ცხოვრებაში.

ციმბირში, კატორღაში ბევრი რევოლიუციონერი ეძლეოდა სასოწარკვეთილებას, ბევრი ეცემოდა ძირს ბრძოლაში დაღლილი.

ლენინი საუცხოვო მაგალითია ყველასათვის.

მისი ნიჭი, მახვილი გონება, რევოლიუციონიზმი იშლებოდა, იფურჩქნებოდა და იღებდა გრანდიოზულ სახეს სწორედ მაშინ, რაც მეტ გაჭირვებას, დუხჭირს, შევიწროებას განიცდიდა ის.

ლენინი — ეპოქალური მოვლენაა.

მან შექმნა მთელი ეპოქა.

მისი საქმე საუკუნოებით იქნება ცოცხალი.

და უმთავრესად ეს დიდი ეპოქალური პიროვნება დაისახა, ჩამოყალიბდა შორეულ ციმბირში, საიდანაც მან, თავისი საუცხოო შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით, არა თუ დაანგრია ძველი ნაროდნიკული მიმართულება, არამედ მოგვარა შიში ცარიზმს და ბურჟუაზიას, რომლებიც გრძნობდენ დიდი ადამიანის დაბადებას.

ლენინი არ იყო მშრალი მოღვაწე, სქოლასტიკი.

მასსაში ის იყო სრულიად უბრალო.

ციმბირში ის ძალიან უყვარდა ადგილობრივ მცხოვრებთ.

ციხეშიაც დაპატიმრებულთა შორის ის ყველას უყვარდა, როგორც უბრალო ამხანაგი, მეგობარი.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობებზე ჩამოსული დელეგატები ძველი მუშები, ლენინთან ერთად ციხე-ციმბირში ნამყოფნი, ნახულობდენ ლენინს და აგონებდენ მას:

— გახსოვთ 90-ან წლებში ჩვენ ამა და ამ ციხეში ადუღებული წყლის შესახებ გამოვეცით არალეგალური ფურცელი, მოვაწყვეთ გეფიცვა და სხვა?

ლენინი—ნოვატორი მუშათა მოძრაობაში, ლენინი საუცხოო ორგანიზატორი მუშათა კლასის, ლენინი ბელადი მსოფლიო რევოლიუციის, ლენინი—გენიოსი საერთაშორისო მუშათა კლასის და სოციალიზმის, ამავე დროს მშვენიერი მეგობარი, ამხანაგი ციხეებში, ციმბირში, პირად ცხოვრებაში.

ის იკრებდა, როგორც მაგნიტი, თავის ირგვლივ მასსას არა მარტო თავისი გენიალური აზრებით და რევოლიუციონური შორსმჭვრეტელობით, არამედ პირადი ცხოვრებითაც.

დღეს აღარ გვყავს ლენინი...

მაგრამ ის სულიერად მაინც ჩვენთან არის.

ის იყო და დარჩება მსოფლიო რევოლიუციის მესაჭედ.

და ამ პოსტზე მას ვერავინ ვერ შესცვლის.

20 თებერვალი, 1924 წ.

ქ. ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ციხის კოლექტიური დღიურიდან [1])

ჟურ. „შოლტის“ რედაქციისაგან. [2])

ტყვეთა კი არ ეთქვამს ხალხს: „ავსა კაცსა ავი საქმე ურჩენია სულსა გულსა“-ო. სისხლის მსმელმა მთავრობამ სიცოცხლე მოგვიწამლა. მეგობრებს, საზოგადოებას მოგვაშორა, აქ ცხრა კლიტულში ჩაგვაგდო

[1]) ჩვენ მივიღეთ სამი ალბომი, „ციხის კოლექტიური დღიური“, რომელსაც უშვებდენ ჩვენი ამხანაგები ქუთაისის ციხეში 1912 წ., რომლიდგანაც ამოკრეფილი წერილები თანდათანობით იქნება მოთავსებული ჩვენი ჟურნალის ნომრებში.

[2]) ჟურ. „შოლტი“ გამოდიოდა ქუთაისის ციხეში 1912 წელში.

სარედ. კომისია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ხელ-ფეხზე ბორკილები დაგვადო. ნუ თუ ეს საკმაო არ იყო? ნუ თუ ჩვენ კიდევ შევადგენთ მათთვის რაიმე საშიშროებას? რა ონდა დაეკალოთ აქედან ხელ-ფეხ შეკრულმა ალამიანებმა? მაგრამ აქაც არ გვასვენებს და ვერ გაძღა „გი ჩვენი სისხლით. რკინის სალტები სურს შემოარტყას მარტო ჩვენ სხეულს კი არა, ჩვენ გონებასაც კი და ჩვენი აზროვნება ჩაახრჩოს.

რომ საზოგადოებრივ ცხ ოვრებას სრულიად მოვსწყდეთ, მისი მაჯის ცემა ჩვენთვის შეუმჩნეველი დარჩეს, ამისათვის ჟურნალ გაზეთების შემოტანა ციხეში სასტიკად აკრძალულია. რის ეი-ვაგლახით ვახერხებ-დით გაზეთების შემოტანას, მაგრამ ციხის ადმინისტრაციის ერთგულმა დარაჯებმა სამსალლო გზები დახშო და ეს ერთი ხანია „ბულბულის“ სტვენა ციხეში მოუხერხებელი გახადა.

დანაკლისის აღდგენა იკისრა ჩვენმა რედაქციამ და მოაწყო ციხის ჟურნალის გამოცემა. მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ საიდგანღაც ექვი მიიტანა და საკნებში ჩხრეკა გააძლიერა. დაიღუპა „შოლტი“, აწამეს „ციხის გამოძახილი“. მიიგნეს იგი და ააფორიაქეს რედაქცია. ჟურნალის გამოცემა მოუხერხებელი გახდა.

ბერე შეიძლება ასე ცხოვრება? თუ არ შეიძლება, სად არის გამოსავალი?

ჩვენი რედაქცია ჰპოვებს ერთს გამოსავალ გზას. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ, ტუსაღებს, გვაქვს უფლება ვიქონიოთ შემოწმებული რვეული. ვისარგებლოთ ამით. გავხადოთ ეს რვეული ღიიურად, რომელსაც გადავცემთ ერთმანეთს და ყველა ჩვენგანი ჩაგწერთ შიგ ჩვენ სულიერ განცდას ამა თუ იმ მოშენტში.

რასაკვირველია ჩვენი ღიიური ჟურნალისოდენ სამსახურს კი ვერ გაგვიწევს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ: „სადაც არ იყოს ცოტა ქმარიყოს“-ო.

უდროოთ დაღუპულ ჟურნალ
„შოლტის“ რედაქცია.

„შემ.ძლე ცხოვრება, შევძლებ სიკვდილსაც“

(„Умел жить—сумею умереть“).

რა მშვენიერი სიტყვებია! რამდენნაირ აზრს არ შეიცავს ეს სიტყვები! რუსულად უფრო კარგად გამოდის. ქართულად, ვგონებ, ვერ ვთარგმნე, როგორც საჭიროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შემძლია ცხოვრება — შეეძლებ სიკვდილსაც“-ო — აი უკანასკნელი სიტყვები კოლია ლორთქიფანიძისა.

დიახ, კოლია ნამდვილი ვაჟკაცი, ყოჩაღი, გამბედავი პიროვნება იყო. მან დაგვიტოვა რამოდენიმე ხელთნაწერი თავისი ლექსებისა, სადაც მისი გმირული სული გამოსჭვივის.

„კოლია, გარეთაც შენ მიგვიძღოდი მტრის წინააღმდეგ. აქაც გვიწინამძღვრე — გაგვიძეს წინ“-ო, ამ სიტყვებით მიეგებენ კოლიას სიკვდილით „დაჯილდოებულნი“ მისნი ამხანაგნი. ეს წინადადება პირველად პორფილე პაიჭაძის პირიდან ამოვიდა. მან ჯარისკაცების მოსვლისა და მათ მიერ საკნების ირგვლივ შემორტყმისთანავე მიაძახა ეს სიტყვები კოლიას.

მას გამოეხმაურა ალექსანდრე სვანიძე და ყველამ ერთად ერთი და იგივე შესძახეს: „გაგვიძეს კოლია წინ ამ უკანასკნელ წუთებშიც“-ო. კოლიამ იგრძნო მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა ასეთი დიდი როლისა, რომელსაც მას განწირულნი ამხანაგნი აკისრებდნენ. იგრძნო და თავისი ბეჯითი ხმით ამცნო თავის ამხანაგთ თავისი გულის წადილი. „ამხანაგებო, მედგრად, უშიშრად, ვაჟკაცურად გავიდეთ — დავანახოთ ჯალათებს, რომ რევოლიუციონერებს სიცოცხლესთან ერთად სახელოვანი სიკვდილიც შესძლებიათ“.

კოლია შეაწუხა ამხ. ტრიფონ არაბიძის გამოხმაურებამ, — ან და ვერ გიგონია ტრიფონის ხმა კოლიამ. ეს ის მომენტი იყო, როცა დერეფნები სავსე იყო ადმინისტრაციის წევრებით და თვითეულს საკანს რამოდენიმე ჯარისკაცი ეყენა. ეს ის წუთი იყო, როცა ჯალათები ბაღრებს ამზადებდნენ დერეფანში ხელების გასაკრავად. ეს ის წუთი იყო, როცა მთელი ციხის ტუსაღები ალმურ-მოკიდებული, თავზარდაცემული, სულგანაბული და თვალებზე ცრემლ-მორეულნი გაწოლილნი იყვნენ თავიანთ საწოლებზე და მოწმენი ხდებოდნენ ექვსი ამხანაგის ტანჯვა-წამებისა.

დიახ, წუთი ისეთი იყო, როცა თვითეულს ჩვენს უტაქტო ნაბიჯს შეეძლო დაეყენებია მორეკი სისხლისა. ექვს სიკვდილით სასჯელით განწირულთ მიჰყვებოდა რამოდენიმე ექვსი... ეს კოლიამ კარგათ იცოდა, იცოდა მან, რომ ოდნავ მათი მხრივ წინააღმდეგობის გაწევა მთელ სატუსაღოში არეულობას გამოიწვევდა. — კოლიამ და დანარჩენმა ხუთმა ამხანაგებმა კარგათ იცოდენ, რომ მათ სატუსაღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარს დაუჭერდა, მაგრამ შედეგი მათთვისაც და ჩვენთვისაც გამორკვეული იყო: დამარცხება, ბევრი ამხანაგების დაღუპვა, რომელიც გასაპრისაგან მაინც ვერ იხსნიდა მათ.

„ბიკო, ტრიფონა, რას შვრები, ღმერთი არ გაგიწყრეს"... მიაძახა კოლიამ.

ეს იმას ნიშნავდა — ტრიფონა არ აჩქარდე, არ აღელდე და წინააღმდეგობა გაეგანის დროს არ გასწიოო...

ტრიფონმა იგრძნო, გაიგო კოლიას სიტყვების მნიშვნელობა და გამოეხმაურა: „რას ამბობ, კაცო, ოღლაც დამავვიანდა და ცუდი არაფერი გაიგოლოთ გულში"...

ქარი ჰქროდა, საშარლად ზუზუნებდა. — ძნელი იყო სიტყვების გაგონება, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში მყოფი, რომელშიაც ჩვენ ვიყავით, რა გამოგვეპარებოდა. — ქარმა ვერ გვაჯობა, უკანასკნელი სიტყვები ვინწირულებისა გვესმოდა.

როცა ამხანაგები, სასიკვდილოთ გამზადებულნი, გართულნი იყვნენ ერთმანეთში ლაპარაკით — ამხნევებდნენ ერთმანეთს — მოისმოდა სიმღერა: „Смелость друзья, не теряйте бодрость в неравном бою".

იმღერეოდენ ამ სიმღერას სამი კატორღელი. ჯარისკაცი ხიშტით მიმდგარიყო მათ საკანის სარკმელთან და ჩუმათ ეუბნებოდა: „წყნარათ, ნუ ხმაურობთ".

სამი ამხანაგი — კატორღელი განწირულ ამხანაგებს უმღერდენ, ბრძოლის ჰიმნს ჩაღიღინებდენ; ამითი მხნეობა სურდათ გამოეწვიათ განწირულებში.

ბრძოლის ჰიმნი, სიმღერა ხომ გავიწყებინებს შიშს, თავდაჭერილობას, ასალკლდევებს ადამიანს, სჭედავს მის გულში გამბედაობას და სიკვდილის არარაობას იდეის გულისათვის...

გარდა ექვსი განწირულისა ყველა ტუსაღები საწოლში იყვნენ ჩაწოლილნი: ადგომა და ჯარისკაცის მიერ ტყვეით დაჯილდოვება ერთი იქნებოდა.

სამი კატორღელი კვლავ უგალობდნენ ჰიმნს განწირულთ.

სამის სიმღერას ეჰყვა კოლია.

მისი ბოხი ხმა, საამო და გამომხატველი გმირული სულისა — გაგრძელება შეიქნა დაწყებული სიმღერისა. „Смело, друзья, не теряйте", ძირს — დაბლა საკანში დაღუღუნა კოლიამ. მის ხმაში ოდნავ არ გამოსჩანდა მწუხარება. მისი ხმა ოდნავ არ ვგრძნობ: მისი ხმით კოლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ ის კოლია იყო, რომელსაც ვიცნობდით ამ განჩენის გამოტანამდისაც. ანდა რით, როგორ უნდა შეგვეტყო კოლიას, ან და მისი დანარჩენი ამხანაგების შეცვლა, შიშიანობა.—ჩვენ ხომ მათ იმ წუთებში ვერ ვხედავდით? ჩვენ ზევით ვიყავით, ისინი დაბლა სართულში.. ჩვენ მათი ხმების შემწეობით შეგვეძლო გაგვეგო მათი სულიერი მდგომარეობა... გავიგეთ კიდეც და ასეთმა მადალმა, შეურყეველმა სიმტკიცემ გაგვაოცა, გაგვაკვირვა: ნუ თუ ასეთი ადვილია ცხოვრების გამოსალმება?

დიახ, ადვილი საქმე ყოფილა, თუ კი ადამიანი მტკიცე ხასიათისაა, შეუგნია და გაუთვალისწინებია ის მოქმედება, რომლის შეჭწეობითაც შეიძლება ცხოვრების გაკეთილშობილება და პატიოსნად მოწყობა.. ადვილი ყოფილა—ეს ექვსმა ამხანაგმა დაგვიმტკიცა.

და ნუ თუ ისეთი სიკვდილი, რომელიც წილად ხვდათ ექვს განწირულთ—ჯილდოთ არ ჩაითვლება?

ნუ თუ ასეთი პირნი—სიკვდილით დასჯილნი—რომელთაც სული მუმბრძოლი არ განშორებია, ვიდრე მათი გვამი არ გაცივდებოდა—დასჯილდოვებულნი არ არიან ყოველი მხრით?..

რატომ ლეონიდე ანდრეევი არა ვარ, რომ შემძლოს მხატვრულად დავასურათო, მოუთხრო ხალხს ექვსი ამხანაგის სიკვდილით დასჯის ამბავი. მე ანდრეევი არა ვარ, მე არა მაქვს მისი მკვეთრი, ანალითური ნიჭი. მაკლია მისი დაკვირვება და ამიტომ ჩემ მიერ გადმოცემული ამბავი, მშრალი და დაულაგებელი, ცრემლების მომგვრელი არ იქნება.

ლეონიდე ანდრეევის მოთხრობა „Рассказ о семи повешенных“ რამდენჯერმე გადავიკითხე სხვადასხვა პირობებში, სხვა და სხვანაირ სულიერ განწყობილების დროს. წავიკითხე დაფიქრებით. დაკვირვებით. მშვენივრათ დაწერილია, მაგრამ შიგ მოთხრობებში გამოსქვიფის სიკვდილით დასჯილთა ფსიხოლოგიის რამოდენიმეთ უცოდინარობა. ანდრეევმა თავისი მოთხრობა დასწერა სხვისი სიტყვების მიხედვით. ის პირდაპირი მეოვალყურე არ ყოფილა. თვალყური არ უდევნებია სიკვდილით დასჯილთათვის, მათი მოქმედებისათვის, მათი სიტყვებისათვის და რა გასაკვირველია, თუ სავსებით, სრულათ ვერ შესძლო მათი მდგომარეობის აღწერა. შესაძლოა—ანდრეევს ჰქონდა ცნობები შვიდი სიკვდილით დასჯილთა შესახებ. ის გაცნობილი იყო მათს მდგომარეობას, სულიერ ქვეყანას იმ წუთამდის, ვიდრე ისინი გარეთ თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ მათი სულიერი განცდა მას შემდეგ, რაც ისინი ჭაობში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერგეცს, გაასამართლეს და სიკვდილით სასჯელი თავს დასტრიალებდა მათ—ეს ხომ ანდრეევს არ შეეძლო სტოდნოდა ეს არის მიზეზი იმისა, რომ ანდრეევის მოთხრობას აკლია ნაპერწკალი, ცეკლის გამღვივებელი მკითხველის გულში.

ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“ ხომ წაგვეს ანდრეევის მოთხრობას, მაგრამ ამ ორ მოთხრობათა შორის ღრმა განსხვავებაც არის. ლეონიდე ანდრეევს რომ დაეწერა მოთხრობა ამ ექვსსა—ვფიქრობ, უფრო მეტი განსხვავება იქნებოდა მის და ჰიუგოს მოთხრობას შორის.

ალექსანდრე სვანიძე, ისმაილ ჭუმბურიძე, სერაფიონ ჭუმბურიძე, პორფილე პაიჭაძე და ტრიფონ ანაბიძე—ხომ ყველანი სოფლის შვილნი იყვნენ, სწავლა მიუღებელნი.—მათ არ ჰქონდათ არც იმდენი განვითარება მიღებული, რომ შეეგნებინ მხრივ დაეუპირდაპირათ ანდრეევის მოთხრობის გმირებს. ყველა ესენი სოფლის მუშა ხალხი იყო, მათი საარსებო ბრძოლის იარაღს ნიჩაბ-ბარი, თოხ-სახნისი წარმოადგენდა. კოლია ლორთქიფანიძე გამონაკლისს შეადგენდა: თავადიშვილი, ფაქიზი აღზრდა, თავადიშვილური სიტყვა-პასუხი, თავაზიანობა—ეს ყველაფერი შეძენილი ჰქონდა კოლიას თავის ნათესავების წრეებში. კოლიას, როგორც გადმომცეს, ნათესავები აფხაზეთშიაც ჰყოლია დიდ ხშირათ უხდებოდა ყოფნა. ამიტომ ბევრი რამ აფხაზეთის თავადიშვილების ზნე-ჩვეულებანი ჰქონდა შეთვისებული იმ დრომდე, ვიდრე 1905 წელი დადგებოდა. თავადიშვილური ამაყობა, თავხედობა, ქალის მოტაცება, ჯაცის მოკვლა-დაჭრა, ეს ხშირი მოვლენა აფხაზეთის თავადიშვილებში და კოლიას ვეკაცურმა, გაბედულმა ინსტიქტმა აქ იჩინა თავი. ეს, კიდევ ვიმეორებ—1905 წლამდის იყო. ამის შემდეგ ის სტოვებს ძველ გზას და ახალი გზით იწყებს მსვლელობას. აქ, რევოლიუციაშიაც, კოლიას თ ვისი გაბედულება, შეუდრეკელი ხასიათი თან გადმოჰყვა.

კოლიას ოთხი თუ ხუთი კლასი ჰქონდა გათავებული გიმნაზიისა და ამნაირად საშვალება ეძლეოდა განვითარებისათვის. თუმცა ბევრი ნაკითხი არ იყო, მაგრამ ბუნებრივი ნიჭის წყალობით—კოლიას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული თანამედროვე ცხოვრების ვითარება და მათ-შესახებ თამამად შეეძლო სჯა კამათი.

პორფილე პაიჭაძე—ეს ფხიზელი და გონება გამჭრახი პროვინციალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სკოლაში ნასწავლი, მუყაითი და გაბედულობით შემკული, კონსპირატორი და რევოლიუციონურ საქმეებში დახელოვნებული ორგანიზატორი.

ისმაილ ჭუმბურიძე უწყინარი, მშვიდი, ბუნჩულა ადამიანი იყო. საკუთარ ინიციატივას მოკლებული, მაგრამ ერთგული და შეუდრეკელი. უკან დახევა მას არ შეეძლო. მინდობილ საქმეს პირნათლად და უშიშრად ასრულებდა.

ტრიფონ არაბიძეს ვაჟკაცობა დამტკიცდა რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ის ამ დროს ჯარისკაცად იყო და იაპონელების წინააღმდეგ იბრძოდა, სადაც გამოიჩინა სიმამაცე და დაჯილდოებულ იქნა მენდლებით. ეს სიმამაცე მას რევოლიუციაშიაც გადაჰყვა.

სერაპიონ ჭუმბურიძე და ალექსანდრე სვანიძე საშვალო ტიპის ადამიანები იყვნენ—ისეთები, რომლების მსგავსი განვლილ რევოლიუციის პირველ ხანაში ბევრი მოგვცა სოფლის მშრომელმა ხალხმა—ერთგულნი და შეგნებისა დაგვარათ თავდადებულნი.

თავისუფლებისათვის ბრძოლის რწმენას რომ მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვები ამ ექვს დასჯილში, სჩანს შემდეგიდან: კოლიას და მის ამხანაგებს ბრალდებოდათ აფრასიონ მერკვილაძის რაზმელობა და ტერორისტული აქტების შესრულება. აქ ადგილი და დრო არა მაქვს აფრასიონის შესახებ ვილაპარაკო. ის დიდებული, უმწიკვლო ხალხური რევოლიუციონერი იყო და, მე ვფიქრობ, მის მოქმედებას, მოღვაწეობას და პიროვნებას სავსებით გამოიკვლევს, შეისწავლის რევოლიუციონური მოძრაობის მომავალი ისტორიკოსი.

აფრასიონი და მისი რაზმელები, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, პარტიიდან გამორიცხულ იქნნენ, ვგონებ—მერე ისევ მიიღეს. ასე რომ პარტიული ორგანიზაცია მათ მოქმედებას ალმაცერად უყურებდა. განსაკუთრებით შემაერთებელი ძაფი ორგანიზაციასა და აფრასიონის რაზმელებს შორის გაწყდა აფრასიონის მოკვლის შემდეგ. ორგანიზაციის ანტი-პარტიული შეხედულება აფრასიონის რაზმელებზე ხალხში ერცელდებოდა და ის მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ მოხვეჭილი საზოგადოებაში, აკლდებოდათ.

ამასთანავე აფრასიონის რაზმელებს აბრალებდა მთავრობა ძარცვა-გლეჯას და ზოგიერთ უდანაშაულო პირების სიკვდილს. ეს, შესაძლოა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართალიც იყო, მაგრამ ამაში დამნაშავეა ერთი ან ორი რაზმელი, დანარჩენები კი წმინდათ ემსახურებოდნენ ხალხის საქმეს.

დიახ, ასეთი გავრცელებული ჭორი გულს უკლავდა რაზმელებს საერთოდ და კერძოთ კი იმ ექვსს, რომელთაც წილად სიკვდილით სასჯელი ხვდათ.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი სურათი.

სახრჩობელაზე ასვლას ერთიმეორეს ასწრობდნენ. რიგით კოლია უნდა ასულიყო, მაგრამ, ვინაიდან იგი ჯარისკაცებს ესაუბრებოდა,— ასვლა პირველად სახრჩობელაზე წილად ხვდა ისმაილს, მას მიჰყვა პორფილე, მერე ალექსანდრე, მას კოლია და ბოლოს ტრიფონი და სერაპიონი.

ამით ვათავებ ამ პატარა წერილს ამხანაგების სასსოვრად დაწერილს. შესაძლოა ბევრი რამე გამოვტოვე ისეთი, რასაც ნნიშნულობა ჰქონდა დალუპულთა პიროვნების გამოსარკვევად, ან და შეცდომები დაუშვი. ყველა ესენი უნდა მიეწეროს ჩემს დაწვრილებით გაუცნობლობას საქმის ვითარებისადმი და გარდა ამისა ზოგიერთ საპატიო მიზეზებს.

ვინც იმ უბედურ დღეებში იქ დაესწრო და პირდაპირ განიცადა ტანჯვითი წუთები, იმედია, ჩემს დანაკლისს შეავსებს, შეცდომებს შეასწორებს ისე, რომ პოლემიკური ხასიათი არ ექნეს და ამნაირათ საშვალება მოგვეცემა მივიღოთ სრული სურათი დალუპულ ექვსი ამხანაგისა.

4/IV—12 წ. სვ. სკანდელი.

ქუთაისის ციხე.

პირველი აპრილი.

დღეს პირველი აპრილია. დღე, როდესაც ყველა ცდილობს სიცრუეში მეტი ხელოვნება გამოიჩინოს.

დიახ, პირველი აპრილი სიცრუის დღესასწაულია.

პირველი აპრილი ის დღეა, რომელიც აგონებს ადამიანს, რომ სიცრუეს, მოტყუებას მოქალაქეობრივი ეტაპები უკვე განვლილი აქვს. პირველ აპრილს ყველა ცდილობს მოატყუოლოს ვინც სურს.—მერე, როგორ, მხიარულია მომტყუებელიც და მოტყუებულიც, როდესაც პირველი აპრილის მომიზეზებით მოხდა მოტყუილება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხ, როგორ ასუფრათებს ეს ჩვეულება თანამედროვე საზოგადოებას!

ადამიანს უხარია, სიმოვნებს, თავი მოსწონს, რომ მოახერხა ოსტატურად მოტყუებულება!.. ნუ თუ მართლა ეს ახარებს ამ დღეს ადამიანს? არა, მას უხარია ისიც, რომ მთელი წელიწადი სიცრუეს ლაპარაკობდა, პირფერობდა—ვერ გაგებინა თავის გულის ნადების გამოქვეყნება და დღეს კი აშკარად ცრუობს. დღეს მას ნება აქვს ეცრუოს ნაცნობს, მეგობარს, საყვარელ არსებას და ასევე მის მოქმედებას არ დაგმობენ, ამისათვის არ გაკიცხავენ.

ადამიანო! რატომ სიამოვნებ აშკარად სიცრუის თქმას? იქნებ იმიტომ, რომ შენ არსებაში არის ამის შთანასახი? თითქმის სიცრუის თქმა შენი ბუნების მოთხოვნილება იყოს? არა, არ მჯერა. ადამიანი, როგორც გარეგნობით არის ბუნების სიმშვენიერის საუკეთესო გამოხატულება, ისე მისი სულიერი „მე“ ვერავითარ სიყალბეს ვერ ეგუება. ადამიანის ბუნებრივი თვისება—სიმართლე. ბაბ, ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს, რომელიც ადამიანის სულიერ თვისებათა დაპირისპირებათ ჭნდა ჩაითვალოს. მერე, რად არის ჩვენი ცხოვრება ისე მოწყობილი, რომ ჩვენ ბუნების წინააღმდეგ მივდივართ? მეორე—რათ ამბობენ ასე ადამიანის სულს? ვის რათ დასჭირდა გარდაქმნა ადამიანის სულისა, რათა ადამიანმა უფალატოს თავის სულიერ მოთხოვნილებას და სიცრუე ილაპარაკოს?

ოხ! სიცრუის თქმა რომ უეცრად გადაუყვიტოს ადამიანის გონებამ და ყველამ სიმართლე ა�aროს, რამდენი საზიზღარი მხარე ჩვენი საზოგადოებისა გამოაშკარავდება!

მაშინ რამდენს ზნეობის და სარწმუნოების ბურჯთ არხდება ფარდა! რამდენი წესიერების დამცველის უწესობა დავინახავთ! რამდენი მეგობარი, ამხანაგი მტრების ბანაკში ამოჰყოფს თავს!

მაშინ დავინახავთ, თუ როგორ უსამართლობაზე და საზიზღრობაზეა აგებული აწინდელი საზოგადოება.

ოხ! რა კარგია ეს სიტყვა, სიცრუე, ლექსიკონიდან რომ ამოიშლებოდეს! ნეტავ თუ ოდესმე მოხდეს ეს! და თუ მოხდა, ნეტავი იმ საზოგადოებას, რომელიც ამას მოესწრება.

მე მგონი, ყოველ ხალხშია პირველი აპრილის ჩვეულება. ჩვენი ცოხის ტუსაღებიც, როგორც აწინდელი საზოგადოების პირველი შვილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვარ მოკლებული ასეთ ჩვეულებას. მით უმეტესად აქვს ადგილი ასეთ ჩვეულებას ციხეში, სადაც იგი ტუსაღებისათვის ერთგვარ გასართობს შეადგენს.

დღეს დილიდანვე დაფრინავს „საკნებში“ ბარათები, სადაც მოთხრობილია სხვა და სხვა უცნაური ამბები და ბოლოში მსგავსი ასოებით აწერია: „პირველი აპრილი გახლავს“. მე სულ ალარ მახსოვდა, თუ დღეს მოტყუება საზოგადო ჩვეულებათ არის მიჩნეული და დილიდანვე სასტიკად მოვტყუეთ რამდენიმეჯერ.

მე ისევ მეძინა, რომ დერეფნიდან ხმაურობა მომესმა. — „საშინელი ამბავი მომხდარა წუხელის განყოფილებაში: „უფროსის თანაშემწე, ბელიაევი. დაეჭრათ ტუსაღებს და გადარჩენა უჭირს“-ო. მილაპარაკობდა ტუსაღი ჩემი საკნის სწორა.

— „ეს ამბავი ბოლოს ბოლოს ეს ამბავი ბოლოს ბოლოს ეს ამბავი ბოლოს ბოლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაიდგან კვირა დღეა, საღამოს სეირნობა არ გვაქვს ჩვენ, პატიმრებს, მხოლოდ ეტაპში მიმავალნი გამოიყვანეს სასეირნოთ. მათ ყურს უგდებს თვითონ ციხის უფროსი და უფროსი მეკლიტე. მიმავალი ტუსაღები უკანასკნელათ ემშვიდობებიან ციხის მიდამოს. სასეირნო ეზოში ნელ-ნელა მიაბიჯებენ და დანაღვლიანებული სახით შესაცქერიან იქაურობას.

ოხ! როგორ გულ შემზარავი სურათია! ოცდა ხუთამდე ბოროკელებში ჩაქედილი სიკოცხლით სავსე ახალგაზდა, გრძელ მაზარა მობურული, დაღვრემილ-დაფიქრებული, ნელ-ნელა, ერიალ-ერიალით დასეირნობენ ეზოში. ციხის ფანჯრები გაქედილია ტუსაღებით და მიჩერებიან თავის საყვარელ ამხანაგებს, რომლებსაც შეიძლება საუკუნოთ ეთხოვებიან. შესაცქერიან უსიტყვოთ, და ბოლოს გულ ში იკლავენ.

ნეტავი რას ფიქრობს ამ დროს ან მიმავალთა გული, ან მათი მაცქერალი ამხანაგები? ჩვენი „სეკრეტებიდგან“ სასეირნო ეზო არ მოსჩანს და ჩვენ საბითაოდ გავდიოდით დერეფანში, უკანასკნელათ ვათვალიერებდით ამ ეტაპში მიმავალ ჩვენ ამხანაგებს, რათა მათი ტანჯული სახე სანუდამოთ აღგვიქდინდა გონებაში. სხვათა შორის მეც გავიდი და ერთხანს გავჩერებოდი მოსეირნეთ.

ოხ! რა დამცირებულათ მეჩვენა მე ჩემი თავი! მე ერთბაშათ თვალწინ დამიდგა კატორღის საშინელება. „მეც ეგრე დამადებენ ბოროკელებს, მომახურავენ გრძელ მაზარას და გამისტუმრებენ საკატორღო ციხეში“!! — გავიფიქრე მე. „საზიზღრებო, ბოროტებო, რატომ, რისთვის, რა დანაშაული მიმიძღვის საზრკვდრების წინაშე, რომ ჩემს სამშობლოს, ჩემს კერას მაშორებთ და კიდევაც ტანჯავთ? რას მაწვალებთ ასე ულმათონ? თუ ეგრე გსურო, ბარემ მომკლათ ის არ სჯობია, ვიდრე ნელ-ნელა ტანჯვაში გამომთხოვოთ წუთისოფელს? მე ხომ მაინც ვერ ავიტან ამდენ დამცირებას, წამებას“, — გავიფიქრე ჩემს გულში და ბოლმა გულზე მომაწვა ვეღარ გაუძელ ასეთ სანახაობას და ისევ ჩემ საკანს („სეკრეტს“) მივაშურე.

„მშვიდობით კეთილო ამხანაგებო! ჩვენც თქვენთან მოვალთ ვიტანჯნეთ სადამდის შევიძლებთ. ტანჯვა სიმართლისათვის ერთგვარი პენდნერეაა ადამიანისათვის“ — ვსთქვი მე, შევედი ჩემს საკანში და იმ წუთს ლოგინში ჩავწექ.

ზ. ოტრინჯელი.

1/IV—1912 წ
ქუთაისის ციხე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მასამართლების წინ.

ახლოვდება დღე ჩემი „მასამართლებისა“ და თან და თან ნერვები მეშლება. არ მეგონა, თუ ასეთი სუსტი ვიყავ ჩემი სურვილების ასრულებაში. ვეკითხები ჩემს თავს: რა მაღელვებს—რათ უნდა ახდენდეს ჩემზე ეს „მასამართლება“ შთაბეჭდილებას? მინდა დავიწყნარო აღელვებული გრძნობა გონიერებისაკენ მოწოდებით, ვკიცხავ თავს სისუსტისათვის. მაგრამ ამაოდ! ჩამივარდება თავში რაღაც პატარა სურათი, მას მოჰყვება სხვა და სხვა ნაირი ემოცია გრძნობათა: ხან გადიდდება იგი, ხან გაქრება და უცებ ისევ გაჩნდება, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ ქრება და საჭიროა დიდი ბრძოლა, რომ გაუსხლტე ხელიდან. ასე დამემართა წუხელის და შუაღამეზე კაი ხნის გადაცილებული იყო, რომ დამეძინა დიდი ტანჯვა-ვაების შემდეგ.

განსაკუთრებით მაღელვებს და ვერ წარმომიდგენია ის ადგილი და წამი, რა დროსაც მომიხდება წარსდგე იმ ჩემ „მოსამართლეთა“ წინაშე! ვერ წარმომიდგენია მიტომ, რომ ვერ ვინელებ იმ როლს, როელიც უნდა ავიღო. იძულებული ვარ ავიღო, რადაც თავის დაცვის მოტივებით!

მერე მასამართლეს ვინ?..... თავისუფლების და ყოველ ნაირ სიმართლის მტერი. უბრალო ადამიანურ უფლებათა მოწინააღმდეგე და მებიერბატრე უუფლებობის“ და ტლანქი ძალისა. მასამართლებს ბნელ ძალებთა წარმომადგენელი და ჯალათი ჩემი წმინდათა წმინდასი და ჩემი ძვირფასი—საყვარელ მოძმეთა სისხლში გასვრილი!...

და როგორ შეიძლება ყველაფერს ამას შევხვდე გულგრილად? ესეც ყველაფერი არ არის: ამას მიუმატეთ ის დამცირებაც, რომელიც უნდა გადავიტანო იმ დღეს.

ხელი უნდა ავიღო იმ ჩემ მისწრაფებებზე, რომლებიც მასალისებდენ ცხოვრებაში, მთელი ჩემი წმინდა „მე“-დან! ხელი უნდა ავიღო იმაზე, რაც ჩემს სისხლსა და ხორცს შეადგენს და თავი უნდა მოუხარო „მათ“, იმ საძაგლებს! და როგორ შეგიძლიათ თქვენ მომთხოვოთ სულის სიმშვიდე?

მე მასამართლებენ: რათა—რისთვის?...

ოხ, შორს წაგვიყვანს ეს კითხვები! მშარე და თავსამტვრევია ისინი! უკეთესია თავს შევაკავებ—მტერს მაგრად შეეხვლები. მე კი ხომ კაი ხანია, რაც ავიღე მათ მიერ გადმოსროლილი ხელთათმანი. დეე, ყოველი ახალი მსხვერპლი იყოს ყოველი ახალი ლურსმანი „მათი“ კუბოს საქედან ჩასობილი.

ვარიყული.

11/IV—12 წ.

საქართველოს ხელოვნების ... ტ ფ ი ლ ი ს ი ... ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ანდერძი.

რამდენი გაიცინებს ჩემი წერილის სათაურის წაკითხვის დროს: სად ლერა და სად მისი ანდერძი! რა გააჩინა მას, რომ სხვას უანდერძოსო .. მართალია, მე რა მაბადია, რა მაქვს? არაფერი! ერთი კვალი მ-წა მეარ მაბადია. ფული არაფერი მოიძებნება ჩემს კვალოსაზე, ლიტერატორი (რასაკვირველია, გამოჩენილი, თორემ ისე მეც მ-ჯლაბნია) არა ვარ, რომ ჩემი ლიტერატურული ნაწარმოები რამედ ღირდეს და მისი სხვისადმი გადაცემა საჭირო იყოს.

მაშ რის ანდერძს ვსტოვებ?

ჩემი ანდერძი სულიერი ხასიათისაა, ე. ი. ამ ანდერძში გამოვსთქვამ ჩემს სურვილს, როცა ჩემი გვამი გაცივებული იქნება და ყველასთვის გამოუსადეგარი.

აი, ჩემი ანდერძი: სიცოცხლეში არ ვეარგოდი, მკვდარი რისი მაქნისი და სასარგებლო ვიქნები. ვიდრე ცოცხალი ვარ, მსურს არარად ვიქცე **უეცრად**, მეუგნებლად, შეუტყობლად, ტკივილების უგრძნობლათ. ეს კი შესაძლებელი იქნება ბრძოლაში. ბრძოლის დროს ადამიანი გატაცებულია, იგი უმალლეს ენტუზიაზმით არის გამსჭვალული, პირადული ბედნიერება დავიწყებული აქვს და ტკივილს არც არ ეშინია.

რა ბედნიერებაა ამ დროს სიკვდილი! თუ ღირსი გავხდი ასეთი სიკვდილისა, ხომ ბედნიერი ვიქნები...

ჩემ. ცხოვრება თუ სხვა ნაირად წავიდა და ბრძოლის ველის მაგივრად წოლად მხედ. მყუდრო, ოჯახური ცხოვრება ოთახ-შვილში (ეს უკანასკნელი ძლიერ პრობლემატიური ჩემთვის) და შუახნის ვადას გადავაცილე, სასურველი იქნება უკანასკნელი წუთები გავატარო ამობოქრებულ ზღვის შუაგულში. ჩემი მოსვენებული, მოდუნებული სხეული მივსცე ზღვის ტალღებს და ზღვის ცხოველთ ვასაზომენო ჩემი ხორცით (თუ კი მათთვის ჩემი უსისხლო ხორცი გემრიელი გამოდგა!). დეე, ჩემი ხორცი ისე უკვალოდ დაიკარგოს, როგორც ჩემი სულიერი ქვეყანა უკვალოდ ჩაიელის და არაფერს არ მისცემს ხალხს.

ყოველ შემთხვევაში—მსურს, რომ ჩემი გაცივებული გვამი კუბოში არ ჩაესვენოს: ან ზღვის უფსკრულში ჩაიძიროს, ან და ისე დაიწვას, ჩემი ახლობელი მეგობრის (თუ კი ასეთი მეყოლა) შემწეობით, რომ ვერავინ ვერ გაიგოს, თუ რა მოუვიდა ჩემს სხეულს, რომელიც ოდეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც ატარებდა პატარა ადამიანს, მის პატარა სურვილებს, აზრს მიკროსკოპიულს და გამოუსადეგარს. მე ვფიქრობ, ასეთს სურვილს მეგობარი შემისრულებს.

რა საჭირო ვიქნები სიკვდილის შემდეგ?

მე სიცოცხლეში ვერ დამიმახურებია სიყვარული, პატივისცემა ჩემი მოქმედებით, ვერავინ ვერ გამიტაცნია, ვერავის გული ვერ მომინადირებია. . ჩემი სხეული, როგორიც ყოველთვის, ყოველგან და ყველას პირს უკან აბრუნებიდა, აძულებდა ჩემს გულის ნადებს სხვებს, რა საჭირო იქნება სხვისთვის, ანდა უფრო მეტს სიძულვილს, ანტიპატიას არ დაბადებს იგი გაცივებული, უშნო, ფერმკრთალი სახით? ვინ, ვინ შემომხედავს კუბოში მდებარეს, რომ გულში რადაც უსიამოვნება არ იგრძნოს ჩემი სხეულის, პირის სახის დანახვის დროს? მერწმუნეთ — ყველა პირს ამარიდებს, ან შესაძლოა, ნათესავების პატივისსაცემლად, ორიოდემ ცხარე ცრემლიც გადმოაგდოს ჩემს კუბოზე, მაგრამ ეს ხომ პირმოთნეობა იქნება! არა, მე არა მსურს, რომ ჩემი უსულო გვამი კვლავ უნო მოწმე გახდეს იმისა, რაც სიცოცხლეში ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხვდებოდი. არა, — არ მინდა კუბო, იგი ვიწროა. დედაჩემი, ყრმობის დროს, აკვანში უფრო მეტს თავისუფლებას მაძლევდა. შემეძლო გადაბრუნ-გადმობრუნება. კუბოში კი ამას მოკლებული ვიქნები.

ვინ დამიტირებს? მე დედა, ჩემი საყვარელი დედა, აღარა მყავს, ის მე ვერ დამფრქვევს თავის სიყვარულის ცრემლებს. დედა მომიკვდა, მის მაგივრობას ვინ გამიწევს? არავინ!...

დედის სიყვარულს რა შეედრება, ერთგული სატრფოს ცრემლებს გარდა? დიახ, რამოდენიმეთ შეედრება, მაგრამ დღეს ასეთი სატრფოს მიგნება შეიძლება?

არა! მაშ, დარჩეს ჩემი გვამი უცრემლოთ. .

ზღვის დედამ დაიტიროს იგი. ზღვის ტალღებმა უგალობონ განუსვენე. ეს უფრო ტკბილიც იქნება ჩემი უსულო გვამისთვის: ზღვის ზედა-პირზე, ვიდრე ჩავიძირებოდე, ვისრიალებ. ერთი მხრიდან მეორე მხრისაკენ გამტყორცნის ზღვის ძლიერი ტალღა. მერე? მერე ჩავიძირები და ზღვის შვილთა ლუკმად გადავიქცევი...

აი, ამხანაგ-მეგობარნო და ნათესავნო — ეს არის ჩემი ანდერძი.

12/IV — 12 წ. ლერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სწრაფია, ვით ტალღა, ცხოვრება ჩვენი“!

მართლაც რომ სწრაფია ჩვენი ცხოვრება. არაფრისაგან არა ვართ უზრუნველყოფილი. ყოველ ფეხის გადადგმაზე საშიშროება თავს დაგვტრიალებს. ცუდად არის მოწყობილი ჩვენი ცხოვრება,—საერთოდ მთელი კაპიტალიზმისა, კერძოთ კი მისი უდიდესი ნაწილის—მშრომელი ხალხისა. ამ ახრს დამტკიცება არ ეჭვირვება, ყოველ დღეს მოაქვს ამის დამამტკიცებელი სამუთები.

მშრომელ ხალხს მუდამ ქმამ თავს დასჩხაოდა და ეხლაც დასჩხავის შავი ყორანი და გულს უსერავს, სისხლს სწოვს მას. ყოველივე სიმდიდრის შემქმნელი მუდამ გაჭირვებაშია, მუდამ საფრთხეში იმყოფება. ატრიალებს მანქანას ქარხანაში, თხრის ოქროს მადანს დედამიწის შუაგულში თუ სხვა რამეს აკეთებს იგი, ოდნავ არ არის დაზღვეული უბედური შემთხვევისაგან. თვალს გაახელს, გონებას მოიკრებს, თუ ამხანაგს შეუკავშირდება, რათა მტერს მტრულად დახვდეს,—მისთვის მზად არის ტყვია, მისი მტრების შეერთებული ძალით გამოტყორცნილი.

ასე ეჭცევიან მუშა ხალხს მდიდრები და მთავრობა. გაუმაძღარმა სურვილებმა მდიდრებს ყოველგვარი ადამიანური თვისება წაართვა და იმათ ყოველგვარ საშვალებას მოჰკიდეს ხელი მუშების დასამარცხებლათ.

ეს გამახსენა ლენში დახოცილ მუშების ამბავმა. ამოქლიტეს წყანარი, მუყითი ხალხი შორეულ ციმბირში. მერე რისთვის? მათ გაბედეს და მოითხოვნილებანი წაუყენეს ოქროს მადანის მეპატრონეთ. დაკმაყოფილების მაგიერ ცხელი ტყვია მიიღეს. შეიარაღებული მთავრობის ბრბო თავს დაეცა ყველა მარჩენელთ და წარბშეუხრელათ ტყვია მისთავაზა პურის მაგიერ. არ დინდო შეუგნებელმა ჯარისკაცებმა თავისივე ძმაშუა და მუსრი გაავლო... ოჰ, შეუგნებლობავ, უმეცრებავ!

ეს ასე იქნება—ეარესიც მოსალოდნელია, ვიდრე მუშა თავის თავს არ დაიფასებს, არ გამაგრდება, მტერს ანგარიშს არ მოსთხოვს და პატიოსნებაზე და ყველასათვის სასარგებლო ნიადაგზე აგებულ მართვა-გამგეობას არ გაამეფებს.

ლენის მუშები ამოქლიტეს—გაუმარჯოს მათ მოძმეთა გამოღვიძებას და შეგნებულ მოქმედებას! ლენის მუშები დამარცხდენ 4 აპრილს, გაუმარჯოს მათ და მათ მოძმეთა ბრძოლას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ასეთი გამარჯვებას დღეს უკვე ვხედავთ. ნუ თუ გამარჯვება არ არის რუსეთის ყოველი კუთხის მუშების მიერ ლენის დბოცილ ამხანაგებისადმი გამოხმაურება: მიტინგი, პროტესტი, კრებები, გფიცვები?.. ნუ თუ სოლიდარობის ნაყოფი არ არის სტუდენტთა დემონსტრაციები, ლენის ამბების წინააღმდეგ გამართული, საუნივერსიტეტო ქალაქებში?

მაშ, გაუმარჯოს რევოლიუციონურ სოლიდარობას! სოლიდარობისა და უმაღლესი ზნეობის გამომხატველი არ არის, როცა ათი შაურის ანდები მუშა თავის ნამუშევარის ნაწილს ლენში ამოჟღეტილ მუშების ოჯახს უგზავნის, როცა, შესაძლოა, სახლში მას პურიც არა ჰქონდეს და შიმშილი აწუხებდეს?

მაშ, გაუმარჯოს მუშების წრეებში გამეფებულ თვითდახმარებასმეტად სამხიარულო ამბავია ის, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მუშებმა დაიწყეს ერთსულოვანი გამოსვლა გაფიცვებისა და კრებების სახით. სამხიარულოა იმიტომ, რომ ასეთი მოქმედებით დასასრული ეძლევა შავ რეაქციას, ადამიანის სულიერ გაორჭოფებას, გულგრილობას. ეს გამოსვლა მუშებისა და რევოლიუ ციონური ინტელიგენციისა მშვენიერი პასუხია გულდათუთქული პესიმისტების მიმართ. რომლებისთვის მომავალი შავებში იყო გაჩოხვეული და ერთს ბრწყინვალე წერტილსაც ვერ ანჩნევდენ პოლიტიკურ ჰორიზონტზე.

მით არის სამხიარულო ეს ახალი გამოლაშქრება მუშებისა და სტუდენტობისა, რომ ამით გამთელდება დაწყვეტილი ნერვები ბრძოლისა.—დიახ, ეს ახალი ხანაა ამ შვიდ-რვა წლის რეაქციონური სულისკვეთების შემდეგ. დღეს ბევრს შეუძლია გაიმეოროს ჩვენი დიდებული მგოსნის სიტყვები: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“—და ვხედავთ, რომ უკვე გაიღვიძა. გაიღვიძა ახალი ძალით, ფეტი შეგნებით-გათვითცნობიერებით. შეიმკო-შემოსა საჭირო გამოცდილებით ლაშქარი მშრომელი ხალხისა, დღეს მშრომელი გიგანტია ყველას თვალში. მას ყველა ანგარიშს უწევს, ეფერება და თავის მხარეზე გადაბირებას ლამობს.

დიდია ძალა, მნიშვნელობა მშრომელი ხალხისა! ჩამოდექით, გზას ნუ უღობავთ მას. ჩამოდექით, გესმით? უტიეთ, თორემ წაგლეკავენ.—კვლავ ოსდგა მუშა ხალხი და ვაი მის მტრებს!

გულუბრყვილობის და დაკვირვებლობის ხანა მუშამ უკვე გაიარა. მას ლათიეებით ვერ მოსიბლავ. დაბირებანიც ვერ გიტაცებენ მის გონიას.—ის ბეჯითად, ნელა, აუჩქარებლად წინ მიდის, კავში-დება და გიმეორებთ—გზა მიეცით, ჩამოდექით, თორეს წაგლეკავთ!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ-ნაცნობ-მეგობრებო! მოგილოცავთ 1904 წლის და 1905 წლის ხელმეორეთ გაბმულობას, რომელსაც ეშჩნევა უფრო მეტი სიმნ�eვე, სიმტკიცე, გასაკლდევება, საქმის ცოდნა!...

მოგილოცავთ პირველ მაისსაც, ამ მშრომელთა საყოველთაო დღესასწაულს, როდესაც ხდება გამოფენა ძალებისა, როდესაც ორი ბანაკი: მშრომელებისა და მდიდართა ხროვისა ათვალიერებენ ერთმანეთის ძალას. რამდენად ეს დღესასწაული მეშებისათვის გულის დამტკბობია, მისი ზრდის მაჩვენებელია და გამომხატველი, იმდენად საშიში და გულ-დამკოდალია მდიდრებისა და ბურჟუაზიული მთავრობისათვის.

ამთანაგებო! ჩვენც გვაქვს მიზეზი მხიარულებისა, ჩვენც ძმები, შვილები ვართ მეშებისა და მშრომელ გლეხებისა. მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა. ჩვენ ამ გამარჯვებას ვეტრფით და მით ვსულდგმულობთ

რეაქცია მოკვდა, გაუმარჯოს შეკნებულ-პატიოსნურ ბრძოლას!

ლენის მეშები დამარცხდენ—გაუმარჯოს მეშების მოქმედებას! გაუმარჯოს პირველ მაისს—მშრომელთა დღესასწაულს! გაუმარჯოს ერთა თავისუფალ განვითარებას! გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!

ხვ სკანდელი

27/IV—12 წ.
ქუთაისის ციხე

პირველი მაისი.

(ესკიზი).

საღამოს ათი საათი იყო, ნიკო რომ შინ დ ბრუნდა. მან წიაღლო თავის ოთახის კარები, ლამპას მოუკიდა, მაგიდას მიუჯდა, ამოიღო უბიდგან დაკაბული ქაღალდი და ფრთხილად თვალიერება დაიწყო. მისი დაფიქრებული სახე მოწამოდა, რომ მას დიდი რამ საქმე უნდა ჰქონოდა. დიდ ხანს ათვალიერა დახაზული ქაღალდი, შემდეგ ადგა და ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო.

„დიახ, ხვალ, ხვალ გამოჩნდება, ხვალ ვაჩვენებთ ჩვენ ძალას. ვაჩვენებთ, რომ პროლეტარიატი ირაზმება და თავს ადვილად არავის დაანჩაგვრინებს", —ლაპარაკობდა ახალგაზრდა თავისთვის. ამ დროს კარებიც გაიღო და ორი შუა ტანის, ერთი ქერა და მეორე უშვერ-ულვაშო, ახალგაზრდა მეშები შემოვიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ამხანაგებო, მე თქვენ გელოდებოდით. კიდევ რომ დაგეგვიანებიათ რამდენიმე წამი, შინ ვეღარ მოესწრებდით დაბრძანდით, დაბრძანდით,—მიეგება მუშებს ნიკო.

ნიკო ისევ მაგიდას მიუჯდა და მუშებიც გვერდს მოუსხდენ მას.

—ამა, ამხანაგებო, ეს ალის იმის გეგმა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ხვალ,—უთხრა ნიკომ მუშებს და დახაზულ ქაღალდზე მიუთითა.

—თქვენი ქარხნების მუშები ხომ მზათ არიან?—შეეკითხა ნიკო ქერას.

—ჩვენი ქარხნის მუშები ხვალ მუშაობაზე ხელს აიღებენ. ყველანი იქ მოვლენ, სადაც ჩვენ დაუნიშნავთ და მზათ არიან კიდევაც იბრძოლონ, თუ კი ეს საჭირო იქნება.

—კეთილი, ამხანაგო, კეთილი. ჩვენ ხვალ უნდა უჩვენოთ ბურჟუაზიას ჩვენი ძალა. ჩვენ უნდა დავანახოთ სისხლის ზმელი მთავრობას, რომ თუმცა მან მორწყო სისხლით მთელი სახელმწიფო, ამოუშავა სახრჩობელები, ჩვენი ამხანაგებით აავსო ციხეები და იქ უწყალოთ აწამებს მათ, მაგრამ მას წითელი საფრთხე კვლავ თავს დასტრიალებს,—რევოლიუცია მან ვერ ჩაახრჩო, მუშის შეგნება ვერ ჩაკლა და ჩვენ დღეს თუ ხვალ მზათ ვართ ეერიში მივიტანოთ და წვალეკოთ ჩვენი მოსისხლე მტერნი.

—დიახ, მუშები მზათ არიან,—დაიწყო ქერა მუშამ. ჩვენი ქარხნის უმრავლესობას რევოლიუციის, გაფიცვის არა სწამდა-რა. ამბობდენ, რომ თუ მექანიზნე არ მოგვცემს ღირებულ ქირას, მთავრობას მივმართავთ და მთავრობის ძალით, დახსარებით გადავახდევინებთო, მაგრამ მწარე გამოცდილებამ დაარწმუნა ივინი, რომ ნებით არც მექანიზნე მისცემს მათ რამეს და მთავრობაც ტყვიით გაუსპინძლდება. დარწმუნდენ, რომ ორთავე მათი დაუძინებელი მტერია.

—დაახლოვებით რამდენი იქნება თქვენი ქარხნებიდგან?

—ორიეე ქარხნებიდგან ოთხიათასი კაცი გამოვა.

—მაშ, თქვენ გიყავით ორ ნაწილათ. შენ ლადო,—მიმართა ქერას, ორი ათასი მუშით დადგები აი აქ,—უჩვენა გეგმაზე—ხიდს გაღმა. შენ კიდევ, ლექსო, აქ გაჩერდები დანარჩენი მუშებით,—უჩვენა მას ეიწრო ქუჩის შესახვევი. მუშები მოსერინენ ხალხში გაერევიან და შეეშინენდენ ისეარნებენ. როდესაც განიზნოთ, დაიძარით. დროშა თქვენ დაჭერეთ, მტერმა არ წაგართოთ. როდესაც ლადო, შენ შეგავიწროვონ, უცებ დაიშალენით და ლექსოს მიეცი ნიშანი, რომ იგი დაიძრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—იარაღი ხომ არ ვიგულოთ და ვიხმაროთ პოლიციის წინააღმდეგ?

—არა, ამხანაგო, იარაღი არ არის საჭირო. შეიძლება რამდენიმეს ექნეს მხოლოდ და იხმარს იმ დროს, თუ დროშას რაიმე საშიშროება მოელის. ეხლა კი წავიდეთ და ჩვენ-ჩვენ საქმეს შეუდგეთ.

—სხვა ქარხნებში როგორ არის საქმე, ამხანაგო? — შეეკითხა ლექსო.

—ყველა ქარხნების და ზავოდების მუშები მზად არიან. აქ მყოფი სტუდენტებიც ხვალ, ჩვენთან იქნებიან ქუჩაში, ამხანაგო.

სამთავე ამხანაგმა გამოსვლა დაიპირეს. ამ დროს მეორე ოთახიდან ნიკოს იწვევდა დედის ხრინწიანი ხმა. ნიკო გამოემშვიდობა ამხანაგებს და სწრაფად ოთახში გავიდა.

—რას შვრები, დედა, როგორა გრძნობ დღეს თავს,— მიუალერსა ნიკომ ავადმყოფს და მწუხარებით გული აევსო, როდესაც მის ჩაცვივნულ თვალებს დახედა.

ავადმყოფმა ნახევრად დახუჭული თვალები გაახილა. გადაფარებულ ფარაჯიდან ხელი ამოიღო, გაუწოდა ნიკოს და თავისკენ მიიზიდა.

—მოდი, შვილო, ერთი გაკოცო. იქნებ უკანასკნელიც იქნეს ჩემთვის შენი კოცნა. გთხენებას ან მოვესწრები, ან არა. ძლიერ კარგია, შვილო, რომ ამ საღამოჟი მაინც შემოიარე შინ. ვიცი რა საქმეცა გაქვს და ღმერთმა გაგიმარჯოთ. დამილოცნიხარ შვილო,—უთხრა ავადმყოფმა, აკოცა და ერთი ცრემლი, რომლის ნაკადულიც ავადმყოფს სცვიოდა, ნიკოს ლოყაზე დაეცა.

—ნუ გეშინია დედი, მიუკო აღელვებულმა ნიკომ. ამაღამ და ხვალ არ მცალია. შემდეგ შენთან ვიქნები და თავისუფალ დროს სულ არ მოგცილდები. ეხლა კი მაპატივე ჩემო დედა, იძულებული ვარ მარტო დაგტოვო.

ნიკომ კიდევ გადაკოცნა დედა, ნაღვლიანი გამოვიდა ოთახიდგან და თავის გზას გაუდგა.

მუშების უბანში რომ ასეთი მუშაობა იყო, არც შუაგულ ქალაქში ეძინათ. ერთ უპირველეს ქუჩაზე, ვეებერთელა ლამპიონ შენობის წინ, ეტლების ტევა აღარ იყო. კიბეებზე კოტტად იყვნენ ჩამწკრივებულნი ბუზმენტებით მორთული მეკარენი, დარაჯნი და პოლიციელნი. ზედა ხართულში ფრაკებში გამოწყობილ მოხელეთ ანგარიში არ ჰქონდა. ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანები (დერეფნები) და კიბეები ისე იყო ჩაფლული სხვა და სხვა ყვავილებში და ხეებში, რომ მნახველს თავი რომელიმე ტროპიკულ ქვეყნის ბაღში ეგონებოდა.

უზარმაზარი დარბაზი, რომელშიაც საკმაო სტუმრები ისხდნენ, გაჩირაღდნებული იყო, მაგრამ მასპინძელი ჯერ კიდევ არ სჩანდა.

დიახ, ეს სასახლე გახლდათ მაღალ ხარისხოვან მოხელისა, რომელსაც ელოდებოდა სხვა და სხვა დაწესებულების მოხელენი და მის განკარგულებას უცდიდა.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მაღალ-ხარისხოვანიც გამობრძანდა. მოხელენი ფიცხლავ ფეხზე წამოიჭრენ და სამხედრო სალამი მისცეს. რამდენიმე წამს გაგრძელდა ასეთი ძიმეუნობა. შემდეგ ხარისხოვანმა გვამმა თავისი ადგილი დაიჭირა და ნება მისცა ხელქვეითთ დამსხდარიყვენ.

—გეგმა, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ხვალისათვის, გადმოცემული მაქვს,—დაიწყო ხარისხოვანმა გვამმა,—მაგრამ საჭიროდ ვსცანი კიდევ გაგიფრთხილოთ! ყველანი განსაკუთრებულის მხნეობით უნდა მოეკიდოთ დაკისრებულ მოვალეობას—დიდი უნარი უნდა გამოიჩინოთ. ან კი რა არის ბრძოს გაფანტვა, თუ გულით მოეკიდებით საქმეს?

—თქვენო აღმატებულებავ,—სცადა პასუხის გაცემა ერთმა მოხელემ,—ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ არც ისე ადვილი დასამორჩილებელი და გასაფანტავია ღიღს ბრბო!—მაგრამ განრისხებულმა მაღალ-ხარისხოვანმა თვალების ბრიალით შეაჩერა ის.

—შესდეგ! ვინ მოგცათ თქვენ მაგაებზე ლაპარაკის ნება. თქვენ რასაც გიბრძანებენ, ის შეასრულეთ, —სთქვა განრისხებულმა მაღალ-ხარისხოვანმა. ჩვენ მეშვიბისთვის სამასპინძლო ბლომათ მოგვიპოვება. საკმაოდ გვაქვს მათთვის მათრახები და თუ საჭირო იქნება ტყეიებსაც არ დავეშურებთ. ასეთი მასპინძლობა ჩვენ მუდამ გვშველოდა და კვლავაც ამ გზას არ გადავუხვევთ. ბრბომ ერთი ბეწო ლმობიერება თუ შეგამჩნია, გთომამდება, მოგგვარდება და გადგებელავს. მაშ, მათრახი და ტყეიები! მე თქვენ გიბრძანებთ არ შედრკეთ, თორემ პასუხს აგებთ,— უმაღლეს მთავრობის ბრძანების დარღვევისათვის დაისჯებით.

მოხელენი „უმაღლესის“ ხსენებაზე წამოცვივდენ, გამოიჭიმენ და ერთხმათ მოახსენეს—„მზათ გახლავართ ხელმწიფის და მთავრობის სამსახურისათვის, თქვენო აღმატებულებავ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ჰო, ეგრე. ხვალ დილიდგან ბზათ უნდა იყოს საკმაო რიცხვი ცხენოსნ, მეორინავ პოლიციელთა დარიგებულ-ჩასაფრული ქუჩებში. უკეთუ საჭირო იქნება, ჯარის უფროსს მიმართავთ. — მე ნაბრძანები მაქვს მოგებეშელო ჯარი და საჭირო დახმარება აღმოგიჩინოთ. მაშ, ასე. ეხლა თავისუფალი ხართ. მე ხვალისათვის განსაკუთრებული მეთვალყურე მეყოლება და ის მომახსენებს, რომელიც უფრო მეტ სიყოჩაღეს გამოიჩენთ.

მოხელეებმა მოწიწებით თავი დაუკრეს და გამოვიდენ.

პირველი მაისიც გათენდა. ქარხნების უმრავლესობა დაკეტილია... ზოგიერთ ქარხნებში თუმცა დაიწყეს, მაგრამ უცებ გაანებეს თავი მუშაობას და მუშები დემონსტრატიულად ქარხნებიდან გაჰვიდენ. დუქნებში ვაჭრობა თუმცა სწარმოიებს, მაგრამ ნოკრებს თვალი ქუჩისკენ აქვთ მიპყრობილი.

აგერ თორმეტჯერ დაჰკრა ზარმა და ზარბაზანიც გავარდა. მუშები სადღესასწაულოდ ჩაცმული ქვაფენილებზე დასეირნობენ.

აგერ უმთავრეს ქუჩაზე ხალხი შეჯგუფდა.

აგერ წითელი დროშაც გამოჩნდა და სარევოლიუციო სიმღერის გუგუნით დაიძრა მუშები.

მას ეკვეთა ჯერ ქვეითა და მერე ცხენოსან პოლიციელთა რაზმი, მაგრამ მუშები შეურყეველი დარჩენ. მათრახებს თოფის კონდახები მოჰყვა. მუშები შეტორტმანდენ.

ცხენოსნებმა გაარღვიეს მათი წრე და დროშას მიუახლოვდენ, მაგრამ დროშა უეცრათ გაჰქრა და რამდენიმე საკენის მანძილის მოშორებით კიდევ აფრიალდა, რომელსაც უფრო მაგარი მუშათა კედელი აღმოაჩნდა.

როდესაც ცხენოსანმა რაზმმა სცნო თავის უძლურება, გამოწვეულ იქნა ჯარი.

ჯარის დანახვაზე მუშები დაიმალენ და დროშაც დამალეს.

რამდენიმე წამის შემდეგ განახლდა დემონსტრაცია მეორე უბანში, მერე მესამეში და ასე მთელ ქალაქს მოვდო. პოლიცია ეხლა კი უძლური გამოდგა,—მუშები ვერ შეარყია. თუმცა მრავალი დაჭრა და დატყვევებულ იქნა, მაგრამ მუშების სოლიდარობა შეურყეველი დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმამს ყველა დემონსტრანტები კვლავ შეერთდენ და სარეფოლიუციო სიმღერების გუგუნით მთელი ქალაქი მოიარეს.—მათ შეუერთდა მოსწავლე ახალ-გაზრდობა და ქალაქის ღარიბ-ღატაკნიც.

„გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომთა სოლიდარობას! გაუმარჯოს ერების სოლიდარობას, მათ დამოუკიდებელ განვითარებას! გაუმარჯოს მშრომელ ხალხს! ძირს სისხლის მსმელი მთავრობა, ძირს ბურჟუაზია! გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ძირს სამი ივლისის კანონი“!—გაიძახოდენ მუშები. ამის შემდეგ მუშები თვით დაიშალნენ და თავ-თავის სახლებში წავიდენ; ხოლო რამდენიმე მათგანნ შეუდგა იმ ზარალის გამორკვევას, რომელიც შუადღეზე პოლიციასთან შეტაკების დროს მოუვიდათ.

მრავალი აღმოჩნდა დაჭრილი, დაჭრილი კი ორმოცამდე. მათ შორის ნიკოც, რომელიც საავადმყოფოში იქმნა მოთავსებული. ყველას ძლიერ სამწუხაროდ დარჩათ ნიკოს დაჭრა, მაგრამ მისი ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა. თუმცა იგი ორი კვირის განმავლობაში მორჩა, მაგრამ მისმა ავადმყოფმა დედამ ნიკოს დაჭრის ამბის გაგებაზე ერთი შეჰკივლა და სამუდამოდ განუტევა სული.

29/IV-12 წ.

ზ. ოტრინჯელი.

ტუსაღური „ნაციონალისტობა“.

მკვირცხლი, სწრაფი, ტკუბამხვილი ხალხია ქართველები, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ზერელე ღრმად ჩახედვა საქმის, ანუ ამა თუ იმ მცნების გარჩევა მათ ეძნელებათ. ასეთი თვისება ქართველებს აქვთ და ცხადია სატუსაღოშიაც გადმოყვებოდათ. თავისუფლების დღეებში გაიგონებდა თუ არა ჩვენი გლეხი სოფლად რამე ახალს—დაიწყებდა დაკაკანივით ერთსა და იმავეს იმეორებდა, საქმე პირველად მისწრებაში იყო: თუ დროზე მიუსწარი, ყურში ჩაჰყვირე, მერე ნუღარ გეშინია, შენია გლეხი და იმას ამოიყვირებს, რასაც ჩაჰყვირებ. და რამდენი უსიამოვნება, აყალ-მაყალი არ გამოკვეცდია ამნაირი თვისებისა გამო! ეს უკვე წარსულს ეკუთვნის და, ვგონებ, აღარ განმეორდეს. ვინაიდგან დღეს ჩვენი სოფელი განვითარების გზას ადგია. ! ოფლებს აქვს ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებანი გათვალისწინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა გადავიდეთ თუ რას წარმოადგენს ტუსაღური „ნაციონალისტობა“— უკეთესად რომ ვთქვათ პროვინციალისტობა.

ჩვენ სატუსაღოში საქართველოს ყოველი კუთხიდან არიან მოსულნი: სვანი, რაჭველი, იმერელი, მეგრელი, გურული, აფხაზი და სხვა. მართალი უნდა თქვას ადამიანმა, მათს შორის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს კუთხეობას—პროვინციალურ გრძნობას. ასეთი მიდგომილობა უფრო თვალსაჩინოა მეგრელებსა და გურულებს შორის, თუმცა რამოდენიმეთ ასეთს გრძნობებს არ არიან რაჭველებიც მოკლებულნი. იმერლებში კი ეს გრძნობა ნაკლებათ არის განვითარებული, თითქმის ადგილიც არ აქვს.

სატუსაღოში, ვინაიდგან გახვითარებით დაბალ ხარისხზე დგანან ტუსაღები,—მეგრელები, გურულები, სვანები სხვა და სხვა ნაციათ, ერთ მიაჩნიათ. თუ მეგრელს ვინმემ აწყენინა - მას ხვებიც მეგრელთა განი მხარს დაუჭერენ.

აგრეთვე გურულიც მზათ არის დახმარება აღმოუჩინოს გურულს, თუ კი მას ვინმე რამეს შეახვედრებს. ასეთი პრიმიტიული ხასიათის „ნაციონალისტობაა“ განვითარებული სატუსაღოში.

ნაციონალისტებს ამიტომ ვიმარჯ, რომ ეს სატყვა მევრჯერ მსმენია ხოლმე ტუსაღებისაგან იმ დროს, როცა ჩამოვარდება, ვთქვათ, მეგრელებსა და გურულებს შორის რაიმე უსიამოვნება მეც, რასაკვირველია, მაშინვე უსხნიდი მათ, რომ საქართველოს ერს ეკუთვნის სამეგრელო, გურია, რაჭა, სვანეთი, კახეთი, ქართლი და ესენი შეადგენენ საქართველოს კუთხეებსმეთქი.

ახსნის დროს, ნიშნად თანხმობისა, თავს აქიცინებენ, მხოლოდ მალე კი ივიწყებენ, ვინაიდგან მათში ღრმათ არის განვითარებული პირველყოფილი პროვინციალური ინსტიქტი და შეგნება ხელს არ უმართავს—გაარკვიოს ის, თუ რა არის ნაცია.

ეხლა კი ამ მხრით კარგად არის საქმე: გულში რომ ჰქონდეს ჩამარხული „ნაციონალისტობა“—ცხადად მისი გამოაშკარავება უჭირს, უძნელდება ტუსაღს, წინეთ კი დიდი თავის მტვრევა, ჩხუბი და ხ.ნ და ხან სისხლის დაღვრითაც გამთავებული ხოლმე საქმე ასეთი „ნაციონალისტობის“ ნიადაგზე სატუსაღოში.

ეს არც არის გასაკვირველი: ციხეში ადამიანი წვრილმანდება, მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ იბღვირება, რაღაც სვედა აწუხებს, ცუდს გუნებაზეა, ნერვები აშლილი აქვს და ასეთ მდგომარეობაში ყოველივე ცუდი რამ მოსალოდნელია.

ასეთს „ნაციონალისტობას“ ადგილი გარეთაც ჰქონია ხოლმე: ფოთში პირველ მაისობას გურულ-მეგრელობის შეტაკება მოხდა ამ ნიადაგზე. ნუ თუ ეს იგივე ტუსაღური „ნაციონალისტობა“ არ არის?

შესაძლოა სატუსაღოში ასეთს „ნაციონალისტობას“ ნიადაგი იმიც ჰქონდეს, რომ შორეულ კუთხიდან მოსულნი ბუნებრივად თავიანთ ახლობელთან—მეზობლებს, ერთ საბოქაულოს, ერთ მაზრის მცხოვრებთ უფრო ეგუებოდენ.—მეგრელები, რასაკვირველია, მეგრელს უფრო დაუახლოვდება. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ მეგრელების ნახევარმა ნაწილმა ქართული ენა არც კი იცის.—ვინც იცის, —ისიც არ ლაპარაკობს ქართულად, თუ იმერელთან, ან რაჭველთან არ შეხვდა საუბარი. ასეთი სენი სჭირთ არა თუ მარტო უსწავლელთ—მეგრელთა მასსას, არამედ თვითონ ჩვენი ამხანაგები—ინტელიგენტები, დაინახავენ თუ არა მეგრელს,—მაწინვე „მუჭორი სკანი საქმე“ და „ჯგირი—პატენტი“ შეესალმება ან ეპასუხება მას.

მე ბევრჯერ ხუმრობით მითქვამს ტუსაღებისათვის: მეგრელი, გურული, იმერელი ყველა ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო ენა ქართველია და ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ქართული ენა განვითარდეს და ყველა ქართველმა იცოდეს იგი, მათ შორის მეგრელმაც და თითქმის აფხაზებმაც მეთქი. ამიტომ ვურჩევდი კამერაში მყოფ მეგრელებს ქართულ ენაზე ელაპარაკნათ. იმასაც ვუმტკიცებდი, რომ მეგრული კილოკავი—ეს გადამახინჯებული ქართული ენაა და თუ ეს კილოკავი განვითარდა, მაშინ, შესაძლოა, ძირითად ენას—ქართულს—ზიანი მივაყენოთ-მეთქი. მართლაც რამოდენიმე თვის განმავლობაში ჩემს კამერაში მყოფი მეგრელები ქართულად მელაპარაკებოდენ, მერე მე კამერიდან პატარა საკანში გადაველი და ისევ აირია მონასტერი...

მაკრამ როდის მიხვდება მასსა, რომ მეგრელები, გურულები და სხვები ერთ ერს ვეკუთვნით, რომ ჩვენი სამშობლო საქართველოა და არა სამეგრელო, გურია, ან და რაჭა?

23/V—12 წ. **ლერა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიშ, საყვარელო!

(ლენის აშბის შემდეგ).

ვიშ, საყვარელო, კვლავ აფრიალდა
ძმობა-ერთობის წმინდა დროშები,
კვლავ მიგვიერ ძალას მედგრად წინ შეხვდა
ქალაქისა და სოფლის მუშები.

— — —

ვიშ, საყვარელო, კვლავ ხმა გაისმა
უზენაესი — ფას-დაუდები,
კვლავ შეძრუწუნდა სულ ყოველ მხარეს
ფარისევლები და იუდები.

— — —

ვიშ, საყვარელო, კვლავ აბობოქრდა
მშრომელი ხალხი, მიზან ბრწყინვალე,
ძრწოდეთ... მტაცვალნო და ნაძირალნო,
განადგურება გელოდთ სულ მალე.

1912 წ. ქუთაისის ციხე.

ე. ბ.ჯელი.

გუტუულას ხსოვნას

საწყალი ბუტუულა!.. სწორეთ უსამართლოა საზოგადოება. პირველი გატაცების შემდეგ ყველაფერი მოსწყინდება. გუშინ რომ ტაშს უკრავდა, აქებდა, ადიდებდა — დღეს აღარ მოსწონს, ზურგს უქცევს და აღარც კი ახსოვს, ავიწყდება იგი. ასე დაემართა ჩვენს ბუტულასაც.

რამდენი ხანია მის შესახებ ხმაც არავის დაუძრავს, — იგი ყველას დავიწყდა. ერთ დროს კი ყველა პატივს სცემდა, ქება-დიდებით იხსე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიებდა და მისი სიტყვა-რჩევა კანონად მიაჩნდა. რომ მას დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში,—მასასაზე,—ეს მე გარეთაც გამიგონია. პიოადით კი მე მას არ ვიცნობდი.

ბუტულა მე გავიცანი აქ, ციხეში.

გავიცანი მე იგი შემოხვეით, თორემ შეიძლება ვერც კი გავხდებოდი ასეთი ბედნიერი, რადგანაც ჩემისთანა პირების გასაცნობად და სამუსაიფოთ მას არ ეცალა.

მას მუდამ გარს ეხვია ტუსაღები—ეკამათებოდენ, რჩევას ღებულობდენ მისგან.—ბუტულ, აბა, თქ ენ რა აზრისა ხართ იმ კითხვაზე, რომელიც ამხანაგმა ვასილმა წამოაყენა,—ეკითხებოდენ ბუტულას. მეორე და მესამე ტუსაღი კი სხვა კითხვას აძლევდა მას. ბუტულაც დაფიქრებული, თავ-ჩღონული უსმენდა ასეთ მოსაუბრეთ. დასასრულ აწონ-დაწონიდა, გაითვალისწინებდა იმასაც, თუ ვინმე მოწინააღმდეგე ეგულებოდა და ბუნდოვანთ, ისეთ ორ აზროვან პასუხს გასცემდა, რომ საჭიროების დროს წარმოთქმული პასუხის თავისებური განმარტება მოსახერხებელი ყოფილიყო მისთვის.

ბუტულა სხვადასხვა პარტიის მომდევართაც ეკამათებოდა, ანუ უკეთ უსმენდა და თუ მოწინააღმდეგეში შენიშნავდა მოშეზადებას, სიტყვის ძალას,—იგი მას ეთანხმებოდა,—ანუ უკეთეთ, თავს დაუქნევდა.

გაცნობის შემდეგ გავიგე, რომ ბუტულა მისი მეტი სახელი იყო. ნამდვილათ კი მას ნიკა ერქვა. ბუტულა, თურმე, მისთვის დარქვეს მეტ სახელათ მას, რომ უმეტეს ნაწილათ იგი ჩუმად, დაფიქრებული იყო. ერთ გაღრეჩილს ვერ ნახავდით მას საუბრის დროს.

თუმცა ბუტულა დიდ-გონიერებას, ნიჭს არაფერში არ იჩენდა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, სახელი და გავლენა დიდი ჰქონდა ჩვენ ციხეშიაც. უმისოთ ერთი კითხვა არ გადიჭრებოდა,—ამა თუ იმ ფურცელში მისგან გამოთქმულ მოსაზრებას უმეტესობა ეთანხმებოდა.

ბუტულას გახეპირებული ჰქონდა უცხო სიტყვები და ისე საუბარს არ დაიწყებდა, რომ ეს სიტყვები არ ეხმარა, ამიტომაც მიაჩნდათ იგი განვ-თარებულ პიროვნებად.

ჩვენი ბუტულა მე გავიცანი ერთი თვის შემდეგ ჩვენი ციხეში მოყვანისა.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც იგი ჩემ პატარა საკანში გადმოიყვანეს. ამ-აირად მომეცა საშუალება გამეგო მისი გონიერი ავლადიდება. ორი-სამი დღის შემ-ეეგ ბევრი რამ მისი გულის ნადებიც გავიგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივად ჩუმი, დაფიქრებული ბუტულა ღამ-ღამობით ვერ ისვენებდა და ბოდავდა.

ერთ ღამეს მისმა ბოდვამ ვამომაღვიძა.

ბუტულა უკვე თავის ლოგინში იჯდა და ხმა მაღლა ეკამათებოდა თავის თავს. მე შემეშინდა, გავნაბე სული და სმენათ გადავიქეცი:

—„მე—ბ ვარ და შენ კი შენ... აბა, დაარღვიეთ ეს ეშმარიტება... ვინა? ვინა? ჩემს დებულებას შენ ვილაცა ხარ ვერასოდეს ვერ დაარღვევ. ხა! ხა! ხა!“ „აბა, როგორ გეგონათ? არ იცოდით, ჩემგან რომ ვერას წაიღებდით? გაჯობეთ, გაჯობეთ, გაჯობეთ! ურა, ურაა!!“ ამ ხმაურობაზე მესამე ამხანაგმაც გამოიღვიძა, მეკლიტემაც შენიშნა ეს ხმაურობა. ჩვენ ავდექით, ბუტულას მოვეფერეთ, ლოგინში ჩავაწვინეთ, მაგრამ არ ჩერდებოდა. ის იცინოდა, იმანჭებოდა. ამასობაში კიდეც გათენდა. ბუტულა ჩემი საკნიდან გაიყვანეს და საავათმყოფოში მოათავსეს.

ვრთი კვირის შემდეგ საწყალი ბუტულამ წაიღო თქვენი ჭირი. ის იყო და ის, მას აქეთ მისი სახელიც არავის უხსენებია. იგი დაავიწყდა ყველას, როგორც შარშანდელი თოვლი. ეს არის ხამართლიანობა? რაც ბუტულა წუთისოფელს გამოეთხოვა, მას აქეთ სულ ორი წელიწადია, მაგრამ მეც, რომელიც ასეთი სურათის პოწმე ვიყავი, წავბაძე სხვებს და დამავიწყდა ბუტულის არსებობა, მხოლოდ შემთხვევით მოვიგონე ღღეს და გული ნაღვლით ამევსო. დავეკითხე ჩემს თავს: რათ მოვექეცით ასე უსამართლად ბუტულას. რატომ დაგვავიწყდა იგი, როდესაც სიცოცხლეში მას მასსა უსმენდა და უჯეროდა? რატომ დაკარგა გონება ბუტულამ? ბევრი ვიფიქრე, ვიჩხირკედელავე ჩემ გონებაში და როგორც იქნა პასუხი ვიპოვე.

მე ნებას მივცემ ჩემ თავს შემდეგში კიდეე დაუბრუნდე ბუტულას და ამ დღიურის ფურცლებზე ამხანაგებს გაუზიარო მის შესახებ ჩემი მოსაზრებანი და მით უხსოვარ ყოო ეს საინტერესო პიროვნებაა.

14/VI—12 წ.
ქუთაისის ციხე.

ზ. ოტრინჯელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხეში დაწერილი ლექსები.

I.

ჯოჯოხეთი

სადაც სიბნელე შავად დაძრწის უდაბურ ტყესა,
წყვდიადი მეფობს, ცის ნათელი დაბნელებულა,
ოთხი კედელი შავ წიაღში ჯოჯოხეთისა
ცოდვის ტალღებით უცნაურად აშენებულა.

—

აი, იმ უფსკრულთ ულმობელმა შავმა გრიგალმა
შავად შემმოსა ვით ცოდვილი ცოდვათა ალმა,
შავად მომწყვიტა ნეტარების მშობელ მხარესა,
დღე დამიბნელა, მომაშორა მზეს და მთვარესა.

—

და ღრმად ჩაძირა ჯოჯოხეთის შავსა უფსკრულში,
შავი გველები დაცოცავენ ვერანა გულში.
პირზე შემიხმა შხამიანი ტანჯვის დუღილი,
გულსა მისერავს ჯოჯოხეთის შავი ქუხილი...

—

მაგრამ რას აქნევს ჯოჯოხეთი! ნათელს რატომ მტრობს?
რომ იტანჯება—ეს ხორცია, სულს ვერ შეიპყრობს:
ის ცაში დაჰქრის—რწმენის ყვავილთ ოქროს ტალღებში
და დათამაშობს ვითა ბალღი თვის ტოლ ბალღებში.

—

ჰო, ჯოჯოხეთო, ქვეყნის ტანჯვის ნავთა სადგურო!
ვერა, ვერ მოშლი ნათელს, რაც გინდა შხამი აპკურო.
ცდა ამაოა მზის სინათლის ბნელით მოსპობის:
ძირში მოგთელავს უხილავი ძალა ერთობის.

2 მაისი 1913 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

ეშმაკთა გუდე.

შეშფოთდა მწვავედ ეშმაკთა ბუდე.....
ზღვის ქარს ეძახის ცისკრის ქარია:
დაინგრა სალტე, დაინგრა ზღუდე,
მზე მთის მწვერვალზედ გადმომდგარია....
შიში ატირდა, სიბნელე დნება,
ველი აყვავდა, ბულბული მღერის,
თავისუფლებას აშორდა ვნება,
დადგა სამოთხე ტკბილ-ძმიე ერის.

4 მაისი 1914 წ.

III.

მზის ამოსვლა.

აღმოსავლეთი, წარსულ ღამით შავად მოსილი,
ცეცხლის ტალღებში ზეცის ზადლით ამჭუხრებულა.
ყვავილთა სულის შემხუთავი ზიზღის ბოროკილი
ცის სუნთქვის ძალით ძრს, ქვეყნელს ქვეშ, ჩანარცხებულა.
ამომავალ მზეს ეს ამბავი გახარებია,
სხივთა ბრწყინვითა სახე უფრო გთეთრებია,
ისრად სცემია ბნელთა სამყაროს, შეერთებია,
ელვის ფერადათ ცას ქვეშეთი შეუღებია.
და ამოსცურდა ცეცხლის ეტლი, მზესთან ხლებული,
მიწას საამოდ ზე მადლითა მოვლინებული,
და დაფრქვია ი ქროს სხივი გაცეცხლემული,
გამოაცოცხლა მიწის მკერდი ყინვით ვნებული....
მიწა იცინის, ნისლი დნება, ხველეთს შორდება,
ზღვამაც შესწყვიტა სისხლის ცრემლთ ღვრა, შესწყდა გოდება....
ცის ქვეშ ჰაერში ყვავილთ არხევს სიტკბო სულისა,
დამთრობელი ხმა გაისმის სიხარულისა.

18 მაისი 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

ცეცხლის ქარი.

მზეს ამოყვა, მთა-ბარს ეცა,
აღმოსავლის ცეცხლის ქარი,
გააბრწყინა ცის გუმბათი,
ქვესკნელს სტყორცნა ღრუბელთ ჯარი.

—

გულის ლტოლვის სწრაფმა რეკამ
მისწრაფება აღელვა,
რეკის ხმაზე გაღვიძებულთ
გზას უნათებს ხშირი ელვა.

—

ქარი ბერავს, კედლებს ანგრევს.....
ახლოსაა.... ისმის მღერა....
ქვეყნის შვების მოლოდინმა
ჩვენი გული ააძგერა.

28 ივლისი 1914 წ.

V.

ბ ო ბ ი ი

(ჟორეს ის ხსოვნას).

სხივთა გუნდის ერთი ტალღა,
ბნელთა მქრობი, ნათელ-მფენი,
მტერთა ლაშქრის დასანგრევად
გმირულ ძალთა გამომჩენი,

—

მოსწყდა ზეცას, ოქროს ტალღებს,
ცოდვილ მიწას ზედ დაეცა,
აატირა მნათობთ გრგვა,
შეაშფოთა მთვარეც, მზეცა ...

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაისმა გლოვის ზარი—
მწუხრის სიმთ ხმა შემზარავი....
ბნელმა შთანთქა, აღარ მოსჩანს
ლაჟვარდ ცაზე ცეცხლის ნავი.

—

ქვეყნის არსთა მებრძოლთ გუნდი
სტირის, სისხლის ცრემლებს აფრქვევს,
წყევას სიო დაზუზუნებს,
შავად ნაღებ ფოთლებს არხევს:

—

„სად არს გმირი“! გმირი მოკვდა....
მაგრამ არა, არ მომკვდარა:
ის ანათებს ქვეყნად, ვით მზე,
მხოლოდ ფერფლი გაიპარა.

2 ივნისი 1912 წ.

VI.

მოგონება.

(ვუძღვნი სურებლებს).

საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში
მე მეგულება ერთი სოფელი,
სამოთხის მგზავსი, წალკოტთ-წალკოტი,
ანგელოზების წარმომშობელი.

—

ნაზი ბუნების საამო ფეთქა,
ზურმუხტი მთები, ტყე მოხარხარე—
რა შეედრება ამგვარ სიტურფეს,
ვის არ აცოცხლებს სიცოცხლით სავსე!...

—

მზე მაისისა, ყვავილი ცისა
იქ დედამიწას მძივებით მოსავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნაზად რხეულ ალისფერ ვარდებს
სატრფო ბულბული ექსტაზში მოჰყავს...

—

ციური ჩანგის გაისმის ჟღერა,
მას ბანს უერთებს სიმთა კრებული,
და ამ მაყრულით, ამ დიად ჰიმნით
ნავარდობს ლაღად ფიქრი შვებული.....

—

მახსოვს, მრავალჯერ, განსაცდელის ჟამს,
შეეყვარებივარ ამ ნანატრ სოფელს:
პატივ უცია, უალერსნია,
ვითა შვილისთვის გულკეთილ მშობელს.

ს. **მუხურელი**.

12 ივლისი 1914 წ.
ქუთაისის ციხე.

მ ო წ ო დ ე ბ ა

მთელი ციხის მიმართ [1]).

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ჩვენი „დედინაცვლები“ ჩვენ, ქართველებს, ველურს, უკულტურო ხალხს გვეძახდა— და დედამიწიდან აღგვას გვიქადდა. რუსეთის ცრუ პატრიოტები და პიუროკრატია ლამობდა და ლამობს იმ ერის გადაგვარებას, რომელმაც პირველმა გამოიგონა და შემოიღო ხმარებაში რკინა. განთქმული იყო ისევ იესო ქრისტეს მოსვლამდე თავის ხელოვნური ნაწარმოებით მთელ წინა აზიაში, რომელმაც შექმნა უძლეველი სახელმწიფო მექანიზმი და მრავალ

[1]) **რედაქციისაგან.** ქუთაისის ციხეში პოლიტიკურები ასერხებდნენ საიდუმლოდ პროკლამაციების გატარებას მთელ ციხეში. ციხის ორგანიზაცია „ამირანი“ თავის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ფურცლების საშუალებით ამცნობდა ტუსაღებს და გადაწყვეტილება მაშინ იყო სავალდებულო ყველასათვის, უკეთუ მას უმეტესობა დაუჭერდა მხარს. მოწოდებების საშუალებით გროვდებოდა ფული სხვადასხვა საზოგადო საქმისათვის. ყველა ეს ფურცლები დაიკარკა. რედაქცია, საილიუსტრაციოდ, სიამოვნებით ბეჭდავს ამ შემთხვევით გადარჩენილ მოწოდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეების განმავლობაში ეაჟკაცურად იგერიებდა ისეთი ბარბაროსების შემოსევას, როგორიც იყო მთელი ევროპისათვის მონღოლები, არაბები და ბოლოს თურქები.

დიახ, ბარბაროსებთან ბრძოლამ შთანთქა ჩვენი ერის კულტურის უკეთესი ნაწარმოები და დაკნინდა ერი. ურიცხვ მტერს შეალია მან ძალა და ბოლოს სისხლისაგან დაცლილი ვერაგულ თვითმპყრობელურ რუსეთის პოლიტიკის ანკესზე წამოეგო.

დიახ, ჩვენ ხელიდან გამოგვეცალა დამოუკიდებლობა და მასთან დავკარგეთ ყველა ის, რაც ქმნის ერს—ერად, განათლებულ კაცობრიობას გვერდში უყენებს მას. მაგრამ წარსულიდგან ჩკენ შევინარჩუნეთ ერთი საუნჯე, ,რომლითაც ვამაყობთ განათლებულ ევროპის წინაშე, რომელიც უკვდავი ძეგლია ჩვენი კულტურის, ხელოვნების, მაღალუზენაესი ნიჭის და გონების. იგია ძეგლი ქართველი ერის დიდი შემოქმედებისა. ეს საუნჯეა „ვეფხვის-ტყაოსანი", რომელიც სულმნათმა მგოსანმა შოთამ მიუძღვნა ქართველ ერს მე-XII საუკუნეში—და მით თავისი ერი შარავანდედით შემოსა—უკვდავ ჰყო იგი.

დიახ, განათლებული ევროპა ჩვენ დღეს გვიცნობს მხოლოდ ჩვენი „კეფხვის-ტყაოსნით". იგი გადათარგმნილია ყველა ევროპიულ ენებზე და განცვიფრებაში მოყავს შოთას შემოქმედებას ევროპის განათლებული საზოგადოება. შოთა ბუმბერაზად არის ცნობილი ხელოვნების სფეროში და თუ დღემდე გაუძლო ქართულმა ენამ მეფის ბიუროკრატიის იერიშებს, თუ დღეს ენას ვერ გვგლეჯენ, ჩვენ ამაში უმთავრესად შოთას უნდა ვუმადლოდეთ.

აი, რა განძია ჩვენთვის „ვეფხვის-ტყაოსანი" და მისი ავტორი შოთა, რომელსაც, როგორც გაზეთებიდან ვაიგებდით, ქართველი ერი დღეს ძეგლის დადგმას უპირებს. ეს მოვლენა დიდათ სანუგეშოა ყველა იმისთვის, ვინც ქართველის სახელს ატარებს. ეს მომასწავებელია ერის აღორძინებისა, ერის თვითშეგნებისა. მერე ქართველი ერის აღორძინება, გამოღვიძება ყველაზე უფრო გასახარელი, გასამხნევებელი ჩვენ, ტუსაღებისათვის, არ უნდა იყოს? იმ ტუსაღებისთვის, რომელთაც ასე სტანჯავს და ძიძგნის თვითმპყრობელი რუსეთის მთავრობა?

ქართველ ხალხში ამგვარი სიამაყის აღორძინება ჩვენი ერის ბრწყინვალე მომავლის წინამორბედია. ამიტომ ჩვენ, ტუსაღებმა წილი უნდა დავიღოთ ამ საერო საქმეში.

დეე, იცოდეს ქართველმა საზოგადოებამ, რომ ჩვენ განაწამები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორცით მისგან დაშორებული, სულით მასთან ვართ, მის გამოფხიზ-ლებას, უკეთეს მომავალს შევტრფით, შევხარით.

ამიტომ საპირობა ჩვენც ჩვენი წვლილი გამოვიღოთ ამ საერო საქმისათვის.

ღრმად დარწმუნებული, რომ ტუსაღების შეგნებული ნაწილი თანაგრძნობით მოეკიდება ჩვენს ამგვარ წინადადებას, ვსთხოვთ საკ-ნების წარმომადგენელთ შეადგინონ შემომწირველთა განსაკუთრებული სია და შემოწირულებასთან ერთად გადასცენ მ. კ—შვილს, რომელიც, იმედია, ამ საქმესაც ისე კეთილსინდისიერად გაუძღვება, როგორც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების შეძენის საქმეს გაუძღვა.

პატივისცემით **ზ. ოტრინჯელი.**

ქუთაისის ციხე. 13/III 1913 წ.

P. S. ვთხოვ ამირანს ნება დართოს და მისცეს მსვლელობა ამ მოწოდებას.

„ნება დართულია“ (ამირანი).

მე-ა-თე კამერა. ჩვენ, მე-ა-თე კამერის ამხანაგები სიხარულით ვეგებებით ამხ. ოტრინჯელის მოწოდებას და შეძლების და გვარად შევგროვებთ ჩვენს შორის ამ დანიშნულებისათვის ფულს, რომელ-საც გადავსცემთ დანიშნულებისამებრ.

4 **კამერა.** ჩვენ აღტაცებით ვეგებებით ამ მოწოდებას. შეძლების დაგვარად შევგროვებთ და მივაწვდით დანიშნულ ალაგზე.

3 **კამერა.**—ასეთი აზრის არის: ეს მოწოდება ძალიან კარგია, მხოლოდ შესაწევი აქ უფრო ბევრია და მადლიც არის, ვიდრე გარეთ.

2 **კამერა.** ჩვენ მოხრე ვართ. შეძლების დაგვარად შევგროვებთ ჩვენს შორის და გადავცემთ დანიშნულებისამებრ.

1 **კამერა.** მოვისმენეთ და ვინც მსურველია მონაწილეობა მიიღოს —დანიშნულ ალაგას მიაწვდის.

1 **სეკრეტი.** მოვისმენეთ. ძლიერ კარგია.

2 **სეკრეტი.** როგორც იმედი გვქონდა, ჩვენი ციხის ტუსაღები თანაგრძნობით ეკიდებიან ამ საერო საქმეს. ჩვენი სეკრეტის ამხანაგები თავის წვლილს მიაწვდიან დანიშნულ პირს.

4 **სეკრეტი.** ნათქვამია: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იუმეავო“. ჩვენ ტუსაღნი საუბედუროდ ყოველ მხრივ აუტანელ ცხოვ-რებას განვიცდით, მოშორებულნი ვართ ყოველ მხრივ ჩვენ მოძმეთ და ცხოვრებას. ახლო მომავალში საუკუნოდ ვესალმებით ჩვენს არე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეს და ვინ იცის, რამდენს ჩვენგანს ჩაგვიკრავს გულის სიღრმეში მშიერ მგელსავით პირდაღებული, შორეული ციმბირის შავი სამარე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი ჩვენი მდგომარეობისა, ჯერ მაღლობას ვუძღვნით ამ საქმის ინიციატორს და მერმე კი, მხიარულნი, მზათა ვართ მონაწილეობა მივიღოთ ამ დიდ საქმეში შეძლების დაგვარად.

14/III 1913 წ. **თომა ციმბირელი.**

5 **სეკრეტი.** გულით და სულით ვეგებებით ქართველი ერის სიამაყის შოთას ძეგლის დადგმის განზრახვას. შოთამ უკვდავჰყო ქართული ენა, შოთამ დაიცვა ქართული ენა და ქართველობა ერისთვის საშიშ დროებში და დღესაც მთელი კაცობრიობის წინაშე ისე უძლეველად არაფერი ღაღადებს ჩვენ წარსულ ცხოვრების დიდებას, ჩვენს კულტურონობას აშშყოში და უკვდავებას მოძავალში, როგორც მისი „ვეფხის-ტყაოსანი“. ყოველი ქართველი, ვისაც ესმის თავისი ქართველობა, რა მდგომარეობაშიაც არ უნდა იყოს იგი, მოვალეა გაიღოს უკანასკნელი გროში შოთას ძეგლისათვის და ჩვენც მზად ვართ ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ მთელი ერის შრომაში.

13 **კამერა.** სიხარულით ვეგებებით ამ ფრიად სასიამოვნო საქმეს და მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, რომ ჩვენი წვლილიც იქმნას შეტანილი შეძლებისდაგვარად ქართველი ერის სიამაყე შოთას ძეგლში.

12 **კამერა.** ჩვენ თორმეტი კამერის ამხანაგები აღტაცებით ვეგებებით ამ ფრიად სასიამოვნო საქმეს და ვისაც რა შეგვეძლება გადავცემთ აღნიშნულ პირს.

11 **კამერა.** მადლობის ღირსია ავტორი ამ მოწოდებისა. სულით და გულით ვეცდებით შეძლების დაგვარაო წვლილი გამოვიღოთ ამ საქმისათვის.

10 **კამერა.** მშვენიერი და პატივსაცემი წინადადებაა. სიამოვნებით ვეგებებით შოთას ძეგლის დადგმას და შეძლების დაგვარად წვლილსაც გამოვიღებთ. ავტორს კი დიდი მადლობა (12 კაცი).

9 **კამერა.** ჩვენ ვეცდებით შეძლების დაგვარად გამოვიღოთ წვლილი ამ დიად საქმისათვის. ვაშა, ვაშა, ავტორს!

8 **კამერა.** სულით და გულით ვეგებებით და შეძლებისა დაგვარად მივაწოდებთ წვლილს. (11 კაცი).

7 **კამერა.** აღტაცებით ვეგებებით საუკუნოდ სახსოვარ შოთას ძეგლის ასაგებად წვლილის გამოღებას. შოთას „ვეფხვის-ტყაოსანი“ გვავაჟკაცებს და სულით გვამაღლებს. დიდება ქართველ ერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდება მის სასიქადულო შვილს შოთას!
გაუმარჯოს საქართველოს!

6 სეკრეტი. სულით და გულით ვეგებებით ავტორის მოწოდებას. მზად ვართ შეძლების დაგვარად შევიტანოთ ჩვენი წვლილი შოთას ძეგლის ასაგებად. მადლობა ავტორს. ვაშა, ვაშა შოთას ხსოვნას!

7 სეკრეტი. სასიხარულო და სასიქადულოა როგორც ჩვენთვის, ისე მთელი ერისათვის, როდესაც ქართველები შავბნელ ძალების ბრძოლებში ყოფნის დროსაც კი იგონებენ ქართველი ერის დიდებულ შვილს შოთას და ოცნებობს ბნელით მოცულ საქართველოს შოთას ძეგლით განათებას. მეც მზად ვარ ჩემი აზრებობაც კი მოვსთა ასეთი კეთილი საქმისათვის, თუ კი ეს საჭირო იქნება.

8 სეკრეტი. დიდი სიამოვნებით ვეგებებით ამ მოწოდებას და სიამოვნებთაც გამოვიღებთ შეძლების დაგვარად შეწირულებას.

9 სეკრეტი. ასეთ დიდმნშვნელოვან განზრახვას მხურვალე თანაგრძნობით ვეგებებით და დანიშნულებისამებრ ჩვენს ხელდრს გადავცემთ ამ მოკლე ხანში.

10 სეკრეტი. მზად ვართ და კიდევაც შევძლებთ. აგრეთვე გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ავტორს.

ქვედა სტრიქონი:

სახარაზო. ჩვენ „საპოეზიოს“ აზხანაგებმა მოვისმინეთ მოწოდების შინაარსი. დიდთ სასიამოვნოთ დავერჩა და შეძლების დაგვარად შევუწყობთ ხელს (3 კაცი).

დაბლა 1 სეკრეტი. სიხარულით ვეგებებით მოწოდებას და მასთან ეხარობთ, როგორც ერის გამოფხიზლებით, აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ტუსაღთა ერთობა-სოლიდარობა ეროვნულ საქმეში განამტკიცებს მათ სულიერ კავშირს მშობელი ერისადმი.

რომ უფრო დაახლოვებით გავეცნოთ შოთას მნიშვნელობას, როგორც იმ ნეტარ წარსულ დროში, როდესაც საქართველოს სამეფო ტახტს ამშვენებდა მზის სდარი თამარი და ქართული ლიტერატურას საძირკველს უდგამდა მხატვარი მეცნიერებისა შოთა, აგრეთვე აწმყოში და მომავალშიაც, ამასთან ჩვენ პირისპირ ბაასს მოკლებულებმა, ამ რეფერის საშუალებით გაუზიარათ ერთმანეთს სიტყვა და აზრი.

შოთა: ამ სახელშია მომწყვდეული მე-12-ტე საუკუნის ქართველი ერის ლირიკა, მისი გამოსახულება (ფიზიონომია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ ამხანაგები რამდენიმეთ გვაცნობენ შოთას, მის მნიშვნელობას და ეს კი ნებას მაძლევს მეც მოკლედ შეევეხო მას.

„ვეფხის ტყაოსანი“ ნებას გვაძლევს მე-12 საუკუნის ქართველობა თამამად დაუპირდაპიროთ მე-20 საუკუნის ბევრ იმ ერებს, რომელთაც თავის კულტურულობით თავი მოაქვთ. ავიღოთ თუ ვნებავთ თანამედროვე რუსეთი. რუსეთის პოლიტიკა სდევნის ყველა იმ ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომელიც თავისუფლების მოლაღდებელია. ეს ამტკიცებს საერთოდ რუსეთის ჩამორჩენილობას. შოთამ კი მე-12 საუკუნეში უშიშრად აღიარა თავის „ვეფხის-ტყაოსანში“ და, თითქმის, მოთხოვნილებითი კილოთი გამოსთქვა:

„მიეც საჭურჭლე გლახაკთა, ათავისუფლე მონები“-ო.

ამისათვის ქართველმა ერმა არამც თუ სდევნა „ვეფხის-ტყაოსანი“ და მისი სიბრძნით მოსილი ავტორი, არამედ მისცა ფართო გზა ხალხში და „ვეფხის-ტყაოსნის“ ტაეპები სახალხო სიმღერებად გადაიქცნენ. ასეთმა გარემოებამ გააორკეცა ქართველი ხალხის გულში თავისუფლების და დამოუკიდებლობის სიყვარული.

შოთამ მე-12 საუკუნეში აღიარა და შეეხო ისეთ საკითხებს, რომელიც, აი ეხლა, ამ მეოცე საუკუნეში თვით ევროპასაც ვერ გადაუჭრია. ასეთია ქალთა ემანსიპაციის საკითხი.

შოთამ ამ საკითხში გასწრო ევროპასაც კი და ქართველმა ხალხმა მე-12 საუკუნეში მოისმინა ეს მოძღვრება შოთას მოქარგული ენით:

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია“-ო.

შოთამ მშვენივრად დასურათა ვითომ და ახლად შობილი „პესიმისტური“ მოძღვრების უმთავრესი დედამოძიც:

„ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდების.

მით რაც მაქვს არა მინდების, რაც არ მაქვს ის მინდების“-ო და სხ.

უფერულია, როდესაც არც მდგომარეობა, არც პირობა ხელს არ გვიწყობს, რომ ვიბაასოთ ასეთ დიდ და ბუმბერაზ პიროვნებაზე, მით უმეტეს ამ კარჩაკეტილ საკანში, მაგრამ რა გაეწყობა. წარმოიდგინეთ, აქაც სულ ნათი შოთას სიტყვები გვამხნევებენ:

„ვაჟკაცი ის როდი არი, დღე და ღამ ვინც ბედზე სტირსა,

ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსა“-ო.

ამ რიგათ, შოთას გენიალური ნაწარმოები ჩვენ, ტუსაღებსაც კი გვწვდება განცალკევებით და ვაჟკაცურ ენის აღვიძებს ჩვენ გულში.

ასე გასინჯეთ, თანამედროვე მოწინავე ლიტერატურაში და მეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერებაში ძალიან მცირე ადგილებს ჰპოვებთ, რომ შოთას თავის „ვეფხვის-ტყაოსანში“ მოკლეთ და მკაფიოთ არ გამოეთქვას მათი დიდა აზრი და ამით შოთამ აშკარად ჩყო მთელი კაცობრიობის წინაშე, რომ ქართველი ერი მე-12 საუკუნეში ზოგიერთ მე-20 საუკუნის კულტუროსან ერებს არ ჩამორჩებოდა.

ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ევროპის სახელმწიფო ლიტერატორებმა 1912 წელში მთელი რიგი გამოცემათა უძღვნეს „ვეფხვის-ტყაოსნის“ ავტორს და ქართველ ერს, რომელმაც შვა იგი. ყველამ გამოსთქვა ის აზრი, რომ „**შოთა რუსთაველი**“ უნდა იქნეს აღიარებული „მსოფლიო მეცნიერების მხატვრად“ და მიეკუთვნოს შილლერისა, შექსპირისა და სხვა მსოფლიო გენიოსთა გუნდს.

რუსეთმა ყოველი ძალღონე იხმარა, რომ ქართველი ერის არსებობისათვის ხელი დაეფარებია და არავისთვის არ დაენახვებია საქართველოს არსებობა მისი, ლიტერატურული და ისტორიული წარსული, მისი კულტურა, მაგრამ ბევრს სხვა ბოროტებასავით, ეს ბოროტებაც უშედეგოთ დარჩა. მან ვერ შესძლო მიზნის მიღწევა. დღეს „ვეფხვის-ტყაოსნის“ წყალობით მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ გაიგო ჩვენი სასიქადულო წარსული. ბევრს მეცნიერს აღეძრა სურვილი გაიცნოს ერი, მშობელი დიდებული და უკვდავი შოთასი.

ჩვენი ერისაგან შოთას დაფასება ნიშნავს ჩვენი სასიქადულო წარსულის გაცნობას და შეგნებას. ერის შეგნება კი თავდებია მისი დიდი მომავალისა, რომელსაც ჩვენ ასე შევტრფით და უფრო მეტადაც, ვიდრე თავისუფლად მყოფნი ჩვენი მოძმენი. ამას აშკარად ამტკიცებს ყველა საკნების ერთსულოვნება, რაც უსაზღვრო სიამოვნებას მგვრის და მარწმუნებს რომ ამ შეგნების მქონე ტუსაღს ვერ მოსტეხს სულიერად ის ჭირი და ურვა, რომელსაც განიცდის იგი არსებული პოლიტიკის მეოხებით.

შემოწირულებას შეძლების დაგვარათ მივაწვდით დანიშნულებისამებრ.

სვანელი.

5 **სეკრეტი.** (ქვევით). გულითა და სულით ვეგებებით ქართველი ერის სიამაყეს შოთას ძეგლის აგების განზრახვას დიდ მადლობას ვწირავთ მათ, ვინც ამ მოწოდების ინიციატივა იკისრა ტუსაღთა შორის. მარა, აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი. მოწოდება მოწოდებათ უნდა დარჩენილიყო და არა საპოლემიკო ფურცლად. როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჩანს, ამ მოწოდებამ ბევრს გულში სხვა და სხვა აზრი გაუტარა და მით მოისურვა იმ აღფრთოვანების ჩაქრობა, რომელიც ამ მოწოდების ფურცლებზე ნათლად გამოსჭვივის.

მოვსთოთ ყოველივე პოლემიკა ამ საგანზე და გავიზიაროთ საერთო სიხარული. ჩვენ მზათ ვართ ჩვენი წვლილი შეძლებისა დაგვართ გადავსცეთ მას, ვიზედაც მიგვითითეთ.

22/III 1913 წელსა. ხელს ვაწერთ ორი კაცი.

დ. ა. ჩვენი წერილი უნდა ყოფილიყო მოთავსებული მე-9 გვერდზე ამ რვეულისა (ყარიბის წერილის შემდეგ), მაგრამ შეცდომით მოგვიხვდა აქ.

2 სეკრეტი. (ქვედა სართული). მოწოდება ფრიად სასიამოვნო მოვლენას წარმოადგენს. სწორეთ დროს შესაფერია. ჩვენ მდგომარეობაში მყოფმა ხალხმა, თუ კიდეე დარჩენია უნარი და სურვილი გამოღვიძებისა, უნდა იამაყოს ისეთი ნაშთებით წინანდელი უკეთესი ცხოვრებისა, როგორიც არის „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომელიც მკაფიოთ გვიხატავს იმ დროინდელ სულიერ განვითარებას, რაც ყოველთვის თანამავალია პოლიტიკური ძლიერების და ეკონომიური აღორძინების.

„ვეფხვის-ტყაოსანი“ იმტელათ მაღლა სდგას ჩვენ თანამედროვე ლიტერატურაზე, რომ თამამად შეიძლება დღესაც იგი ჩვენთვის მისაბაძი იყოს. თუმცა 700 წლით წინ გაგვისწრო, მაგრამ ეს მანძილიც ვერ აბრკოლებს იმის ავტორის შორს მჭვრეტელობას. მიუხედავად შვიდი საუკუნის განმავლობაში საერთოდ კაცობრიობის განვითარებისა ბევრი მისი (შოთას) „მოჭრით მაწყობილი მარგალიტები“ დღესაც შეუგნებელია და უკანონობათა ჯურმულში დამალული. ამ დიდ საქმეში ჩვენი გამოხმაურება, რასაკვირველია, ზნეობრივია; პრაკტიკულად კი იგი ღმნიშვნელო.

ვფიქრობთ, არც სასურველია და სასარგებლო ეს სპეტაკი აზრი შეურიოთ ისეთ აზრში, რაც პწკარებ შუა გამოსჭვივის, როგორც თვით მოწოდებაში, ისე ზოგიერთ დამატებით რეზოლიციებში. ეს უკანასკნელი ბადებს ნაციონალურ სიძულვილს ერთა შორის. ეს შური პოულობს ნიადაგს ჩვენს მდგომარეობაში და ხდის გაბატონებული კლასის ნაცვლად პასუხს მგებლად მთელ ას მილიონიან ხალხს, რომლის უმრავლესობა ჩვენსავით ბედშავია. ამით ჩვენ ვბაძავთ მათ, ვისაც ვძრახავთ. ასე მთავრობა და მისი მამდევარი „ჭეშმარიტები“ იქცევიან დ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ ტაფაზე ხრაკავენ თავისუფლების მოციქულებს და უბრალო დანნაშავეს. აქედგან აღმოცენდა ებრაელთა „პოგრომები“ და „ინორო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურვინ ოცნებობს, რომ საკუთარი მთავრობა—ბატონი, გვყოლოდა, ბედნიერი ვიქნებოდით. დღეს ჰაეარა სახელმწიფოები დიდებზე უფრო ცუდათ ცხოვრობს.

ამ რიგათ ბრძოლა სასტიკი ყოველგან და ყოველთვის გაბატონებული კლასის წინააღმდეგ. ბრძოლა დაუნდობელი გაბატონებულ უმცირესობის წინააღმდეგ სოლიდარულათ ყველა ერის უმრავლესობისაგან. ამით ოდნავ მაინც დაუახლოვდებით შოთას სურვილის განხორციელების ხანას.

„ვარდთა და ნეხვთა ვინაიდგან მხე სწორედ მოეფინების“ და თუ ასე არ მოვიქცევით დავიმსახურე-თ მისსავე საყვედურს: „თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობაო“-ო. ეხლა კი გავაღვიოთ ჩვენ გულში იმედის ცეცხლი და შევიტანოთ ჩვენი წვლილი (და არა უკანასკნელი გროში) ამ საკურთხეველზედ, რადგან „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

ყარიბი.

ფაქტიური შენიშვნა ყარიბს:

აღარ გავრჯი არც მოწოდების ავტორს და არც სხვა ჩვენ ამხანაგებს ზედა სართულიდგან. მოვახსენებ მოკლედ და სახალხოთ „ყარიბს“ რომ რამდენი არა ვფურცლე ეს რვეული ვერც მოწოდებაში და ვერც რეზოლიუციებში მე ვერ ვიპოვე საერთოდ რუსეთის ხალხისადმი ურთიერთობის გამამწვავებელი აზრი. ასეთი რომ არც მოწოდების ავტორს ქონია ალბათ ფიქრათ და არც რეზოლიუციის ავტორებს. საიდამ ამოიკითხა „ყარიბმა“ ასეთი მარგალიტები, ჩვენთვის გაუგებარია ეს მხოლოდ ელანდება „ყარიბთა“ გუნდს.

არსებულ წესწყობილებაში ყველა მისი სიმძიმის მზიდველი გრძნობს ხვედრის უსამართლობას და ტუსაღთა მიერ ამით „რუსეთის პოლიტიკის“ დაგმობა სრულიადაც არ ნიშნავს რუსეთის დაბეჩავებული უმრავლესობის კიცხვას. უფრო შორს წასვლის ნებას არ გვაძლევს არც რვეულის ფურცლები და არც თვით საკითხი, რომლის გამოც ეს მოწოდებაა გატარებული, თორემ მშვენივრად ამბობს მოკლედ ქართული ანდაზა: „როგორიცაა ერი, ისეთივეა ბერი“. თუ რა იწვევს „ნაციონალურ“ კითხვის გამწვავებას,—ეს საგანი შორს წაგვიყვანდა ბ-ნო „ყარიბო“. თვითონაც იცით, სიმართლეს წინ ვერ აღუდგებით. დასასრული, ორჭოფობა... დიაცის შესაფერია და ვფიქრობ, რომ წყენა ვამჯობინო ამ სახელის დამსახურებას ის მირჩევნია. უნდა პირდაპირ გითხრათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სხვისი მაცხოვნებელიო დარჩა უცხონებელიო“, ასეა „ყარიბის“ საქმეც.

მე დარწმუნებული ვარ ყველა აქ მყოფი ტუსაღთაგანი უარს იტყოდა იმ ცოდვათა მზიდველის დარიგებაზე, რომელსაც ატარებდა „ისკარიოტელი“ და „ყარიბი“,—„ყარიბი“ ვერავის ვერ გაკვირვებს იმ სიტყვებით, რომელიც მას უსისტემოთ და უადგილოთ ამოუკრეფია „დასელების“ ლექსიკონიდგან.

დაბლა სართულის ქარცეცხლი.

III **სეკრეტი** (დაბლა სართული) ზნეობრივად ვალდებულათ ვრაცხთ თავს შეძლებისა და გვარათ არ დავიშუროთ ჩვენი წვლილით ეროვიკო და მაისაშვილი.

ამხანაგ ავტორს.

ვაშა ავტორს, მის იდეალს,
ვაშა ქებულ ქართველ ერსა.
მშამს და მჯერა მათი სიმხნე,
თავზარს დასცემს იმის მტერსა,
მაშ, ძირს მისი მოღალატე,
კვლავ აყვავდეს საქართველო.
აიხადოს თავს სუდარი,
აბიბინდეს მწვანეთ მდელო.
ზედ ავმართოთ შოთას ძეგლი,
ხელთ მივსცეთ ბუკი, ნაღარა,
რომ მკვლავ ბრძოლისთვის გვეძახდეს
მისი უკდავი ჰაღარა.

მინა რაჭველი.

შენიშვნა „ყარიბს“ და „ქარცეცხლს“.

ამნაირად შოთას ხსენებამ აღფრთოვანება გამოიწვია. ვიდრე მოწოდება მთელ ციხეში გატარდებოდა, საკნებში კიდევაც შეგროვდა შემოწირულება და, როგორც გადმოგვცეს, 70 მანეთამდე კამერების წარმომადგენლებს უკვე გადაუცია დანიშნული პირისათვის. რას ნიშნავს, რომ ოდესის ქართველმა მუშებმა აღძრეს შოთას ძეგლის დადგმის საკითხი და მათ მხარი დაუჭირა მთელმა ქართველმა ერმა და მათ შორის ტუსაღებმაც? ნუ თუ იმას, რომ პროლეტარიატი არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინტერესებული ამ საკითხში? სცდებით და ღრმათაც სცდებით ბ-ნო „ყარიბო“. ენა, ხელოვნება უპირველეს ყოვლისა სჭირია პროლეტარიატს და იგი მთელი თავის არსებით დაიცვამს მას.

თქვენ დიდი შეცდომა მოგვივიდთ ბ-ნო „ყარიბო“, რომ დარიგებას მიყავით ხელი. თქვენზე უკვეთ იციან, თუ რა იწვევს იძულებას ერთა შორის. საამგვარო კი აქ არავის უთქვამს და დაუწერია.

თქვენ თუ გაინტერესებდათ ის საკითხი, რაზედაც ამდენი მელანი დახარჯეთ, შეგეძლოთ ცოლკე წერილით მიგემართთა ჩვენი ციხის ჟურნალის რედაქციისათვის და იგი გაგცემდათ პასუხს ამ საგანზე. აქ კი მეტათ მიგვაჩნია ამაზედ ლაპარაკი. ერთიც უნდა მოგახსენოთ. ჩვენ ციხეში ჯერ არ დავხოცილვართ და არცერთს ჩვენგანს ვექილი არ სჭირია. გთხოვთ შემდეგში აპეკუნობაზე ხელი აიღოთ.

ქარაცეცხლს კი მოვახსენებთ: „დასელების ლექსიკონს“ გაგება უნდა. თქვენ, მართალია, არ მოგწონთ ეს ლექსიკონი, მაგრამ ბევრათ არც არავინ საჭიროებს თქვენ მოწონებას. „დასელებს“ აქვს თავის გზა და იმ გზით ივლიან, თქვენ კი შეგიძლიათ გზის განგრძობა თქვენებურათ. ბოლოს კი ხალხია დამფასებელი ამ გზებისა. რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, „დასელები“ ამის შესახებ იტყვიან თავის დროზე იმას, რაც სათქმელია. დღეს-დღეობით ისიც კმარა, რაც პროგრამაში უწერია მას ეროვნული თვითგამორკვევის შესახებ. ვისაც ენა არ ეკავება და აზროვნების უნარი შერჩენია, კარგათ იცის, თუ რას ნიშნავს დასელების პროგრამიდგან „ეროვნული თვითგამორკვევა“.

დასელი.

25/III—1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტუსაღის წერილები. [1])

წერილი მესამე.

დღეს შესრულდა სამი წელი, რაც ციხის რკინის კარებში შემომიყვანეს და ტუსაღი ვარ.

მერე იკით რა არის სამი წელიწადი ციხეში ჯდომა, ტუსაღობა? სამ წელიწადს ნაცრობ-მეგობრების და საზოგადოების დაშორება.. სამწელიწადს ოთხ კედელში ჯდომა, სულიერ საზრდოს და ჰაერის ნაკლებობა? ... ეს საშინელებაა, საშინელება. მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელი ციხის ცხოვრების ერთფეროვნებაა. ცხოვრების ერთფეროვნება გვაცრჩობს, სულს გვიხუთავს.

ბრძანების თანახმად ჩვენ ვსვამთ, ვჭამთ, ვსეირნობთ, ვლოცულობთ და ვიძინებთ.

აი, მთელი შინაარსი ჩვენი დღიური ცხოვრებისა.

დღე-დღეს სცვლის, წელიწადი-წელიწადს, ხოლო შინაარსი ერთი და იგივე რჩება.

ჩვენი ცხოვრება წააგავს იმ ჯაჭვს, რომლის რგოლებიც ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდებიან.

ამ გვარ ერთფეროვნებას იცავს რკინის კანონები და დარაჯათ უდგია უხეში ძალა.

უშინაარსო ციხის ცხოვრება აფიტებს გონებას, სწამლავს ტუსაღის სიცოცხლეს.

---

[1]) „ტუსაღის წერილები“ დაწერილია ქუთაისის ციხეში. პირველი ორი წერილი მოთავსებულია ჟურნალ „პირველ ნაბიჯის“ 41 № ში—1918 წ. და 1, 4 და 5 №-ში 1919 წ. დანარჩენი წერილები ჩვენი რედაქციის განკარგულებაშია. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე თითქმის ვეღარ ვარჩევ ერთმანეთისაგან დღეებს და შეიძლება მალე დროთა რიცხვი სრულიად ამოიშალოს ჩემის მეხსიერებიდგან. ჩვენთვის შინაარსიანი ორი დღეა კვირაში — კვირა და ხუთშაბათი.

ამ დღეებში ციხე მხიარულია, ყველგან და ყველაფერს სიცოცხლე ეტყობა. ეს დღეები ციხის დღესასწაულია. ამ დღეებში გარედან შემოტანილი ახალი ამბები ეფინება მთელ ციხეს. ეს ორი დღე კვირაში ტუსაღების ნახვის დღეა. დანარჩენ დღეებში ცხოვრება მოდუნებული, მკვდარი, უშინაარსო და უფერულია.

ოხ, რა იქნებოდა დროთა ბრუნვიდგან ამ ორ დღეს გარდა დანარჩენი დღეები ჩვენ-ტუსაღებისათვის ამოიშლებოდეს, ალარ იარსებებდეს? რა მალე გაივლიდა დრო! დრო ტანჯვისა და საშინელებისა! მაშინ კიდევ როგორმე შევუერიგდებოდი ჩემი ცხოვრების სინამდვილეს, ციხის ცხოვრებას. ახლა კი ლოდივით მაწევს, ვერ შევრეგებივარ ჩემს ბედს, მაგრამ რა ჯანი მაქვს? გარეგნულად, მართალია, მოწყენას და მწუხარებას არ ვიმჩნევ, ჩემი შინაგანი „მე“ კი ვინ იცის რას განიცდის ამ დროს?

მთელი დღეები ვარ წამოწოლილი ჩემს ლოგინზე და ვოცნებობ. თუ წარსულს ვიგონებ, თუ შორეულ მომავალზე ვფიქრობ და ჩემ სევდებს ამით ვიქარვებ.

მაგრამ არის წუთები, როდესაც ფიქრისაგანაც ვერ-კვკვი და ეს ხდება ახალი ტუსაღების მოყვანის დროს, რომელსაც შემოაქვს ციხეში ახალი ატმოსფერა — თავისუფალი ცხოვრების შუქი. ამიტომ ახალ ტუსაღებს ციხეში სიამოვნებით ეგებებიან.

მოხდება ისიც, რომ ახალ მოსულებს მტრულად ხვდებიან ტუსაღები და ასეთ დახვედრას არა სასურველი შედეგებ-ც მოყვება ხოლმე. ამ გვარ შემთხვევას ამ ხუთი დღის წინ ჰქონდა ადგილი ჩვენს საკანში.

ძლიერ დაღონებული ვიყავ ჩემს ლოგინზე მიყრდნობილი, რომ საკნის ერთ კუთხიდგან მომესმა ერთი მაღალი ყაჩაღის ხმაურობა: — „სახზღრებო! ვისი ყახღეთია ისინი? განა ყაჩაღი იკადრებს იმას, რაც მაგათმა ჩაიდინეს? მაშინ დაიქცა ქვეყანა, როდესაც ქურდ-ბაცაცებმა ყაჩაღის სახელი დაირქვეს. ვინ მოგცათ ბიჭო, თქვენ ნება ყაჩაღის სახელი ატაროთ და ჩვენ ჩირქი მოგვცხოთ? ყვიროდა ქაფ მორეული ყაჩაღი. იქვე კი რამდენიმე ახლად მოყვანილი ბიჭი ილგა და არ იცოდა როგორ დაეხწია თავი ყაჩაღის მუქარისაგან.

როგორც გამოირკვა, ისინი ერთ ღარიბ გლეხს შეხტომოდენ სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხლში და ბალის სამკაულის მეტი წასაღები ვერა ეშოვათ-რა.—ამხანაგებო! ეს ბიქები ქურდები,-ჯიბგირები არიან და ასეთებს ადგილი არა აქვთ ჩვენს საკანში. მოვითხოვოთ, რომ დაუყონებლივ იქმნენ გადაყვანილი ჩვენი საკნიდგან,—დაიძახა ვიღაცამ.

—მოვითხოვოთ, მოვითხოვოთ,—დაიძახეს აქეთ-იქიდგან.

—მოიცათ, ამხანაგებო, აქ ცოტა რამ სხვაც არის საჭირო,—

სთქვა პირველმა ყაჩაღმა და ამხანაგები იქვე გვერდზე გაიწვია.

ცოტა ხნის საიდუმლოთ ჩურჩულის შემდეგ, მივარდნენ ახალ მოსულთ და დაუწყეს მათ ცემა.

ყაჩაღები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ მკლავის ძალაში.

შეშინებული მეკლიტე სადღაც გაიქცა. რამოდენიმე წამის შემდეგ დერეფანში გაჩნდა ციხის უფროსი ჯარისკაცთა თანხლებით.

—Убью. всех перестреляю—ყვიროდა იგი და რევოლვერს კარის სარკმელში მაჩხუბართ უმიზნებდა.

ვიდრე კარები გაიღებოდა, ცემა-ტყეპა შეწყდა.—ტუსაღებმა დასტოვეს ბრძოლის ველი და თავიანთ ლოგინებს მიაშურეს.

იატაკზე მარტო მძიმეთ ნაცემი ახალმოსულნი ეყარენ.

—Смирно,—გვიბრძანა მეკლიტემ კარების გაღებისთანავე და უფროსი თავის ამალით საკანში შემოვიდა.

ჩვენ ყველანი ფეხზე წამოვხტეთ.

—Вы у меня драку устраиваете? Я Вас проучу... Всех... Всех.... ყვიროდა უფროსი.

ტუსაღები ხმას არ იღებდენ.

—А нука укажите, дайте виновных!

ტუსაღები სდუმდენ.

—Не выдаете? хорошо. На месяц без свидания и без прогулки на 3 дня.—ბრძანა მან და საკნიდგან გასასვლელათ მოემზადა.

უფროსის ასეთი განკარგულება კი აღარ ეპაშნიკათ ტუსაღებს.

—რატომ? რისთვის? რას გვერჩით ჩვენ, ბატონო, მიაძახეს აქეთ-იქიდგან.

Что?—შემობრუნდა და იკითხა უფროსმა.

—ის, ბატონო, რომ რათა გვსჯით? ჩვენ რა დაგვიშავებია?—მოახსენა ერთმა ყაჩაღმა, რომელიც ცემაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. ახალ მოსულებს ჩვენ არ ვიცნობთ. შემოსვლისთანავე ერთმანეთს დაერიენ და ჩვენ არ უნდა გაგვეშველებია? ამგვარმა პასუხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმაყოფილა უფროსი. მან იპოვა დაბალი ღობე, რომლის გადათელვა და ვეკაკაობის გამოჩენა უფრო ადვილი იყო და დორბლ-მორეული ახალმოსულებისაკენ გაქანდა.

—А?.. это вы каналии бунтуете?.... у меня тюрьма, тюрьма, а не постоялый двор.. .. Я вас в кандалы, в наручники закую... закую.. უყვირდა იგი მათ. ახალმოსულებმა სცადეს თავის გამართლება.

—ბატონო, ჩვენ....—უნდოდა ეთქვა ერთს მათგანს, მაგრამ ვინღა აცალა.

—Молчать..... В карцер всех на неделю, а затем в 3-ую камеру,—ბრძანა მან და საკნიდგან გავიდა.

ნაცემი ტუსაღები იმ წამს გაიყვანეს და ბნელ საკანში მოათავსეს.

—ეგეც თქვენ,—მიაძახა იმავ პირველმა ყაჩაღმა. თუ ჯიბგირები ხართ, ჯიბგირები იყავით. თორემ თქვენ დაცემაზე მიდიხართ ქალის საცვლების წამოსაღებად და რათ არ იკით, ამით ყაჩაღებს რომ სახელს უტეხავთ, რომელსაც ჩვენ, ყაჩაღები, არ გაპატივებთ?

ყაჩაღების ამგვარმა მოქმედებამ დამაფიქრა. ბოროტმომქმედნი უწუნებდენ მოქმედებას და ასამართლებდენ მათსავით ხალხის შემაწუხებელ პირებს.

ხშირად ტუსაღებს თავისი ადათები, თავისი კანონები აქვთ, რომელნაც ყველა ტუსაღი ემორჩილება და ასრულებს. ამ ადათების მიხედვით ასამართლებენ, სჯიან და სიცოცხლესაც უსპობენ ზოგიერთებს. ყაჩაღებს არ უყვართ ჯიბგირები, მაგრამ როდესაც ხელთ იგდებენ, არც ჯიბგირები აყრიან ხეირს მათ.

—აბა, ამოღამ უყურე რა ამბავი დატრიალდეს ჩვენ საკანში. მხოლოდ შენ ფრთხილად იყავ, საბანი წაიფარე და თავი მოიმძინარე,—მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა ყაჩაღმა.

მოუთმენლად ველოდი დაღამებას.

ა, დაგვითვალეს... ტუსაღებმა ლოგინებიც გაშალეს და ზოგმა ხვრინვაც ამოუშვა... მე კი რა დამაძინებდა. გადავიფარე პირზე საბანი და ველოდი, თუ რა მოხდებოდა.

აგერ ერთი კუთხიდგან რაღაც შრიალი მომესმა. შრიალს ბრაგაბრუები მოყვა... შემდეგ გულსაკლავი კვნესა და ხროტინი....

აქ ველარ მოვითმინე და ფრთხილად გამოვყავ თავი საბნიდან.

თვალწინ დამიდგა საშინელი სანახაობა. მაგრად შეუხვევიათ საბანში ვიღაც ტუსაღი, ფეხებზე დასხდომიან ორი კაცი, ერთს ტუჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრათ მოუკუმია მისთვის, ერთსაც თავი აქვს გაკავებული და სცემენ საბრალოს რაც ძალი და ღონე აქვთ. თითეულ შემოკვრაზე, იგი ხან აქეთ იზნიქება, ხან იქით და თან წამოს საკოდავ.

ერთხანს სცემეს. ბოლოს წამოიღლა შესწყდა. ამ დროს საყარაულოთ კარებთან მდგომმა ტუსაღმა დაიძახა:

— მოდის, ამხანაგებო, — და თავის ლოგინისაკენ გაქანდა.

— ეყოფა „მასალი", — გადაჭრით წამოიძახა ერთმა ყაჩაღთაგანმა და ყველამ თავის ლოგინებს მიაშურა.

ამ დროს მეკლიტეც მოუახლოვდა სარკმელს. შემოიხედა საკანში და, რა დარწმუნდა ყოველივე რიგზე იყო, თავის გზას გაუდგა. ნაცემი ტუსაღი არ ინძრეოდა.

როგორც კი მეკლიტე წავიდა, ჩამოვიდა ერთი ყაჩაღი და ნაცემ ტუსაღს თვალიერება დაუწყო.

— მგონი, მომკვდარა, ბიჭო, ეს ოჯახ დაქცეული. აბა, იულო, მანდ გრიგოლა ფერშალმა რომ სასუნგბელი დამიტოვა მოიტა ჩქარა, — მიაძახა იმ ტუსაღს, რომელსაც ფეხები ჰქონდა გაკავებული და ფერდებში სცემდა.

სასუნგბელი მოარბენინეს. მოკრიეე კამპანია ნაცემს შემოეხვია და როგორც კარგი ჭირისუფლები, გულწასულისათვის ზრუნავდენ. ზოგი ყურებს უსრესდა, ზოგი წყალს ასხურებდა. იულოს კი შუშა ეკავა და ასუნგბინებდა.

აგერ როდილაც ნაცემი ტუსაღი გამოერკვა, თვალი გაახილა და თვალით მოჭკაზე უჩვენა.

ერთმა ტუსაღმა იმ წამს მოურბენინა წყალი. მან მოსვა და ძლივს ამოიკვნესა.

— ვაკაცი არა ხარ, ბიჭო? — გაამხნევა იულომ. ნუ გეშინია. ძალიან შაგრად კი უცემიათ იმ უსვინდისოებს. აი, აგერ დალურჯებულიცა გაქვს, მაგრამ არა უშავს-რა. გაიღლის. ოხ, ერთი გამეგო და მე ვიკოდი მაშინ... ვერ იცანი მაინც ვინ იყო? ან ის გეცოდინება, თუ რისთვის გცემეს, — როგორც კარგი ჭირისუფალი ეკითხებოდა იულო.

— მეც მაგ მაწუხებს.... ვის რა წავართვი, რა ვაუყენე? ერთი კვირა არ არის რაც მომიყვანეს და ჯერ ყველას ვერცკი ვიცნობ. თუ გამითენდა, ვიკითხავ ხვალ, ასე უმიზეზოთ კაცის სიკვდილი თუ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—როგორ? ჩიტილს ეპირები, ნარიმან?—დაცინვის კილოთი შეეკითხა იულო.

—ციხის უფროსსა ვსთხოვ, ან თანაშემწეს დათვლის დროს, რათა სამართალი გამჩინოს.

—შენ, ძმია, „ხამი“ ხარ ჯერეთ. შენ არ იცი ციხის წესები. რომ იჩივლო მერე, როგორ გგონია, სად ვინდა წასვლა? მერწმუნე, ციხიდან ასე მალე არ ვაგანთავისუფლებენ. აქ კი საცხოვრებელი ადგილი არ გექნება. შენს ამგვარ მოქმედებას ჯაშუშობათ ჩასთვლიან და სადაც მოგისწრებენ, ან ვინც მოგასწრებს არ დაგინდობს და გამოგაგთხოვებს წუთისოფელს. ამას დაუმატე ისიც, რომ უფროსი დამნაშავეს ვერ ალმოაჩენს.

—ამა, რა ექნა? ასეთი უკანონობა მოსათმენია?

—ამისათვის არის საშუალება. ეს არის ხალხის სამართალი, რომელსაც ციხე ემორჩილება. შენ მიიქეცი საკნის წარმომადგენელთან. ის დანიშნავს კრებას. კრება ხელათ ალმოაჩენს დამნაშავეს. თუ მათ უმიზეზოთ გცემეს, პასუხს მოსთხოვენ და დასჯიან.

მეორე დღეს თუმცა კრება დაინიშნა, დამნაშავენიც ალმოჩნდენ, მაგრამ მათ ბევრი თავის მართლება არ დაჭირვებიათ, რადგანაც ნაცემი ტუსაღი ხელის დამდები გამოდგა. მისი ჩვენებით, ვიღაც ყაჩაღისათვის კატორღა მიუსჯია სასამართლოს და ამიტომ მოკრივეთ მოუწონა კრებამ ვაჟკაცობა, ხოლო ნაცემს სიკვდილით დაუმუქრა და კიდეც შეუსრულებდა, რომ ამ დროს მეკლიტეს არ შემოეხედნა საკანში.

ნაცემმა სარკმელს მიაშურა.

—მიშველე, დამიხსენ, ბატონო მეკლიტე,—ევედრებოდა იგი მას.

—გათრიეთ აქედან ეს ჯაშუში, „ხულიგანი“,—იძახდნენ ტუსაღები.

—მაშ, „ხულიგანი“ ხარ?—დაცინვით შეეკითხა მეკლიტე. მიბძანდი „ხულიგნების“ საკანში და ნაშველი იქნები,—თან კარები გაიღო და ნაცემი ტუსაღი საკნიდან გაიყვანა.

ამნაირად ნარიმანამ სიკვდილს თავი ადვილათ დაახწია,

უფრო ხშირად ასეთი გასამართლება სისხლის ღვრით ბოლოვდება, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ამ დღეებში.

შვიდი საათი იყო, გუშინდილით რომ ჩვენი პირისპანის ჯერიც დადგა.

გაგვიღეს საკნის კარები და ყველანი საპირფარეშოში გავექანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეზე შეენიშნე რამდენიმე ტუსაღი, რომელნიც ვიღაცას სდარაჯობდნენ. დამვირე თვალი მათ სახეზე მოუთმენლობას და აღელვებას ამოიკითხავდა.

ისინი დერეფანს გასჩერებოდნენ და ვიღაცას ელოდნენ. საპირფარეშოშიაც ჩვეულებრივ ერიამულს, კამათს, გახმობ-გამოხმობას ადგილი არ ჰქონდა. ლაპარაკს ყველა ერიდებოდა და სიჩქარით გამორბოდა.

ამდროს რამდენიმე სხვა საკნის ტუსაღი შემოვიდა. მათ შორის ერთი მაღალი ტუსაღი ყურაჯღებას იქცევდა თავის ახოვნებით, ვაჟკაცობით. მას ცახეში ჯდომა არ ეჭნოდა ეტყობოდა, რომ იგი ახალმოყვანილი იყო.

შემოსვლისთანავე მას გაეცინა ერთმა კატორღელმა და ისე სწრაფად, ღონივრად შემოკრა, რომ ამოტელა, ახმახი ვაჟკაცი იქვე ჩაიკეცა.

მას უნდოდა დაადგა, მაგრამ მოუსწრო მეორემ და ტუჩზე ხელი დაუფარა.

—კრინტი არ დასძრა, შე ძაღლო, თორემ ნაკუწ-ნაკუწათ გაქცევთ და ამ ორმოს კერძათ გაგხდით.

მესამე კატორღელი გაშლილი დანით მივარდა და რამდენიმე ადგილს დასჭრა.

აქ კი ვეღარ მოითმინა დაჭრილმა და რაც ძალი და ღონე ქონდა იყვირა.

—მომკლეს, მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი.

ამ დროს დერეფანში მრავალი ტუსაღი ადგა და პირის დასაბანად ჯერს უცდიდა.

ამ ხმაურობაზე ისინი საპირფარეშოსავენ დაიძრენ, ხოლო იქ მყოფნი გარეთ გამოვარდენ, მათ შორის დამნაშავენიც.

დაჭრილის ყვირილი მეკლიტეს ყურამდისაც მისწვდა, რომელიც უფროსთან გაიქცა და რამდენიმე წამის შემდეგ დერეფანი და საპირფარეშო მეკლიტეებით და ჯარის კაცებით გაივსო.

ტუსაღები საჩქაროდ გარეკეს დერეფნიდგან, საპირფარეშოდგან და თავთავიანთ საკნებში ჩაკეტეს, ხოლო დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

დაჭრილის შესამოწმებლად და საქმის გამოსარკვეად იმდღესვე ციხეს ეწვია უფროსი მოხელენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკითხეს დაჭრილს, უჩვენეს მას პატიმრები, მაგრამ დანშაავე მან ვერ გამოიცნო.

დაჭრილმა ვერც დაჭრის მიზეზი დაუსახელა ადმინისტრაციას.

მან ახსნა, რომ იგი ათ წელიწადზე მეტია რაც დარაჯათ მსახურობს პოლიციაში და სულ ორი დღეა რაც ციხეში მოიყვანეს.

ასეთმა დაჭრილის განცხადებამ დაჭრის მიზეზი ნათელყო.

—Как? для „скрывающих“ у Вас нет отдельной камеры“ —შეეკითხა ბრალმდებელი ციხის უფროსს.—

—Ваше превосходительство! 4 камера совершенно изолирована и там помещаются у меня исключительно „скрывающие“,—მიუგო მან,

—А он как-же попал среди арестантов?

—Это.... Ваше Прев.... Случаино.... так по недосмотру —სცადა თავ-ს მართლება უფროსმა, მაგრამ შესაფერი შენიშვნა მაინც მიიღო ხოლო დამნაშავეთა ვინაობა გამოურკვეელი დარჩა.

მეოთხე საკანი თითქმის მოწყვეტილია სატუსაღოს. მას აქვს თავისი დერეფანი და მას დანარჩენი ტუსაღები ვერსაიდგან ვერ მიუდგებიან.

იქ ათავსებენ ყველა დარაჯად, მამასახლისად, ან სხვა რომელიმე პოლიციის მოხელედ წამყოფთ, აგრეთვე ჯაშუშებს დაპროვოკატორებს.

ციხის ადმინისტრაციამ იცის როგორ მტრულად ეპყრობიან პატიმრები ამ გვარ პირებს და თვალყურს ადევნებენ, რათა იგინი სატუსაღოში მიყვანისთანავე თავის ბინაზე მოათავსონ—მეოთხე საკანში. თუ შეცდომით სხვა საკანში მოხვდება, გასამართლებას ვეს ასცდება და უკეთეს შემთხვევაში ცემა, ან დაჭრა მოელის.

მეოთხე საკანს ციხეში „ხულიგნების“ საკანს ეძახიან. ამ საკანში მჯდომთ ყველანი ზიზღით იხსენიებს.—ყოველი ტუსაღს მოვალეთ მიაჩნია თავი, თუ სადმე შეხვდა „ხულიგნების“ საკნის მდგმურს, სცემოს და მოკლას კიდეც. ტუსაღი, რომელიც ამას შეასრულებს, თუნდ ჯიბგირიც იყოს იგი., ვაჟკაცად ითვლება და მას ყველანი ქებით იხსენიებს.

ამიტომ თუ ტუსაღების მდგომარეობა აუტანელია, ამ ყველასაგან აძულებული პირებისათვის, მეოთხე საკანში მჯდომთათვის სატუსაღო ნამდვილი ჯოჯოხეთია. მათ არ შეუძლიათ გავიდენ სამუშევრად სამზარეულოში, გინდ სახელოსნოში. ეკლესიაზედაც კი მოსპობილი აქვთ მათ საშუალება წავიდენ კვირა-უქმე დღეებში. ციხის კანტორაში გაწვევის დროს თითეულს მათგანს ორი ან მეტი მეკლიტე იცავს. როდესაც მათ სასეირნოდ უშვებენ, მაშინ მთელი ციხე ჩაკეტილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ აქ მოიყვანეს ცნობილი ბოქაული, გურიის გამამგებლინერეული, „იაშა“ ციხის ადმინისტრაციამ მას ქვედა სართულში დაუთმო საკუთრათ ერთი პატარა საკანი. „იაშას“ მოყვანამ ციხეში დიდი აურზაური გამოიწვია.

დერეფანში სადაც „იაშა“ მოათავსეს მეკლიტეების რიცხვი გაძლიერეს, მაგრამ გავლის დროს ტუსაღები მაინც ახერხებდენ კარის სარკმელთან მირბენას და „იაშას“ შემკობას. „იაშას“ მეტს ვნებას აყენებდენ ტუსაღები ფანჯრებიდგან. არც ჯარის კაცების მუქარას, არც უფროსის რისხვას ტუსაღები არ ერიდებოდენ. იდგნენ ფანჯრებთან, რომელნიც „იაშას“ საკნის პირდაპირ გამოდიოდა და მოსვენებას არ აძლევდნენ მას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტუსაღები მიწყნარდენ. ყველაფერიდგან სჩანდა, რომ მათ მოსწყინდათ მისი ლანძღვა, მაგრამ შემდეგ სულ სხვა გამოირკვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კატორღელებმა გააძევეს ერთი კატორღელი და კიდევაც დაიმუქრენ სიკვდილით. მეოთხე საკანში წასვლა მან არ ისურვა და ციხის ადმინისტრაციამ იგი „იაშას“ გვერდით პატარა საკანში მოათავსა.

კატორღელი მალე დაუახლოვდა „იაშას“, როგორც ტუსაღებისაგან გაძევებული. „იაშაც“ დაენდო მას და ერთმანეთს იმდენად შეეწყვენ, რომ ხშირად კარის სარკმელის საშუალებით ერთმანეთს ეხმატკბილებოდენ.

ერთ დილას, პირისბანის დროს, კატორღელმა წაართვა რევოლვერი მეკლიტეს და „იაშას“ საკნისაკენ გაიქცა. მეკლიტეებიც დაედევნენ, მაგრამ მან მიასწრო, „იაშას“ საკნის კარებთან მიირბინა და სარკმელთან მდგომ „იაშას“ ლიგოვრვერი შიგ ‘გულში დაახალა. რევოლვერი შემდეგ წაართვეს კატორღელს, მაგრამ გვიან იყო. „იაშა“ მკვდარი აღმოჩნდა.

ადმინ‘ ტრაციამ მიხვდა, რომ ამ ბანაგებისაგან კატორღელს გაძევება განზრახ მოხერხებული თვალისხვეეა იყო.

დერეფანი იმ წამს დასცალეს. საკნებში თუ ვინმე ტუსაღებისგან აძულებული იყდა მოგროვეს და მეოთხე საკანში „ჯულიგნებთან“ გადაიყვანეს.

მათ დასაკავათ მცველები გაამრავლეს, ხოლო „იაშას“ მკვლელი კატორღელი ერთი კვირას „კარცერში“ ამყოფეს, შემდეგ კი თავის ამხანაგებთან დაბრუნეს.

ასე სასახელოდ დათავა თავის დღენი ბოქაულმა „იაშამ“, რომელიც ერთ დროს გურიას თავზარს სცემდა.

ზ. ოტრინჯელი.

20 მაის 1913 წ. ქუთაისის ციხე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციხის ჟურნალ „გამოძახილი“-დან. [1])

სიკვდილით სასჯელი.

(უფლებრივი, ისტორიული და ფილოსოფიური განხილვა) [2])

სიკვდილათ სასჯელი გულისხმობს სხვა და სხვა საშუალებით სიცოცხლის მოსპობა- იმ მოქალაქისა, რომელსაც არსებული კანონის წინაშე რაიმე დანაშაული მიუძღვის. სიკვდილით სასჯელი არის ნამთი უძველეს, ბარბაროსული დროისა. ოდესმე სიკვდილით სასჯელი თუ ითვლებოდა მოქალაქობრივი ცხოვრების ქვაკუთხედათ, უკანასკნელ დროებში ის თანდათან გადის ხმარებიდგან და ღღეს იგი უარყოფილია თანამედროვე მეცნიერებისაგან. ამ ორი საუკუნის წინად, თუ საფუძვლიანად იყო მიჩნეული ბორბლით დაგლეჯა, ასო-ასოთ აკუწვა (колесование, четвертование), ადამიანის დაწვა, ცოცხალი ადამიანის სხეულზე ღვედა-ღვედა ტყავის ართმევა, და სხვ., ღღეს მზგავსი ველურობა აზრათაც არავის მოუვა და ამგვარ წამებას ვერავინ გაბედავს.

150 წლის წინ, სიკვდილით დასჯილთა რიცხვი ითვლებოდა ასობით. მაგალითად, მეტამაიერის გამოკვლევით, 1648-1776 წლებში ბავარიაში, რომელშიაც 200,000 მცხოვრები თუ ითვლებოდა, სულ 11,000 შემთხვევა იყო სიკვდილით სასჯელისა. ინგლისში, ელისაბედის ორმოცდა ხუთი წლის მეფობის დროს სიკვდილით დასჯილთა რიცხვი 18,000-დე ავიდა. მეცხრამეტე საუკუნეში იმავე ინგლისში 1810—1826 წლებში სიკვდილით დაისაჯა 15,652 კაცი. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ოთხი წლის და ერთი თვის განმავლობაში სარევოლიუციო ტრიბუნალებმა 19,000 კაცი დასაჯეს სიკვდილით.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდგან კი სიკვდილით დასჯილთა რიცხვი შესამჩნევად კლებულობს. ის იმდენათ ეწინააღმდეგება თანამედროვე კულტურულ კაცობრიობის შეგნებას, რომ სიკვდილით დას-

---

[1]) პირველი ნომერი ჟურნალ „ციხის გამოძახილისა“ გამოვიდა ქუთაისის ციხეში 15 ნოემბერს 1912 წ. კოლია ლორთქიფანიძის და მისი ამხანაგების წლის თავის აღსანიშნავად. ჟურნალი ადმინისტრაციამ მიაგნო და დაიღუპა.

რედაქცია.

[2]) ვსარგებლობ რუსული მასალებით.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯის განაჩენები უმეტეს შემთხვევაში სისრულეში არ მოყავთ. მაგ., ინგლისში, სადაც მეცხრამეტე საუკუნეშიდე ასე გავრცელებული იყო სიკვდილით სასჯელი, 36 განაჩენიდგან, 1888 წელს სისრულეში მოიყვანეს ხუთლოდ 22 განაჩენი. ამნაირ განსხვავებას ვხედავთ საფრანგეთში, უნგრეთში და სხვა.

საფრანგეთში 1826—1830 წლებში—ოთხი წლის განმავლობაში ას თერთმეტი სიკვდილით სასჯელი იქმნა გამოტანილი, ხოლო სისრულეში იქმნა მოყვანილი 72 განაჩენი. იმავე საფრანგეთში 1781—1890 წლებში, ე. ი. ათი წლის განმავლობაში, სულ 84 სიკვდილით სასჯელის განაჩენიდგან სისრულეში იქმნა მოყვანილ მხოლოდ ოთხი.

აღსანიშნავია ისიც, თუ ევროპის სახელმწიფოებში რა დანაშაულის ჩამდენი მიანნიათ სიკვდილის ღირსად. სჯიან სიკვდილით მაგ. სხვისი საცხოვრებელი სახლის დანგრევა-დაწვისათვს, სხვისი თავისუფლების შეზღუდვისათვის, თუ მასთან შეერთებულია წამება, ბაკაპეცებისათვის და სახელმწიფოს სათავეში მდგომ პირის სიკვდილისათვის.

რუსეთის კანონები კი სიკვდილით სჯის: 1) პოლიტიკურ დამნაშავეთ (სისხლის სამართ. 241—244 მუხ, 249, 252 მუხლები); 2) სისხლის დანაშაულობანი (831 834, 836, 847, 852 მუხ. სის. სამ.) და მესამე, სამხედრო დანაშაულობათა ჩადენისათვის. ამასაც არ კმარობს რუსეთის მთავრობა. განსაზღვრულ დროს იგი აცხადებს ამა თუ იმ წესებს და მოიშველიებს ხოლმე სამხედრო სასამართლოებს. ვინ არ იცის დღეს 279 მუხლი სამხედრო სამართლისა? როდესაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, სიკვდილით სჯიან:—განზრახ ცეცხლის წაკიდებისათვის, წყალში ვისმეს დახრჩობისათვის და გაუპატიურებისათვის გაძლიერებული წესების დროს იგივე სამხედრო სასამართლო სიკვდილით სჯის მოხელეთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის, პოლიციაზე და ჯარზე—საზოგადოთ, ყოველ მოხელეზე, თავდასხმისათვის სამსახურის შესრულების დროს, უკეთუ ამ თავდასხმის დროს მოკლულია მოხელე, ან დამტკიცებულია მისი სიკვდილის განზრახვა, ან და დასახჩრებულია იგი. ამგვარ შემთხვევებში სამხედრო სასამართლოს განაჩენი მეფესაც კი არ მოხსენდება დასამტკიცებლად, ისე მოყავთ იგი სისრულეში. ამიტომაცაა, რომ რუსეთში ადამიანის სიცოცხლეს არავითარი ფასი არ აქვს და ეს ველური მანქანა,—სახრჩობელა, ასე სცელავს რუსეთის მოქალაქეთა სიცოცხლეს.

მარტო პოლიტიკურ დანაშაულობათა ჩადენისათვის რუსეთში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1868—1891 წლებში 134 სიკვდილით სასჯელის განაჩენი იქმნა გამოტანილი. 1891—1900 წ. წ. 126 კაცს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. ეს ხდება რუსეთში იმ დროს, როდესაც ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებში სიკვდილით სასჯელი სრულიად ისპობა და სისხლის სამართლიდგანაც ამოიშალა ეს ბარბაროსული ნაშთი. მაგ. პორტუგალიაში, ჰოლანდიაში, რუმინიაში, შეერთებულ ამერიკის შტატებში და იტალიაში 1890 წლიდგან სიკვდილით დასჯა თითქმის მოსპობილია.

ჩვენ არ შეგვიძლია ალვნუსხოთ სიკვდილით დასჯილთა ნამდვილი ციფრები რუსეთში. ამის გამორკვევა მით უფრო ძნელია, რომ რუსეთის დეპორტიური მთავრობა, ანუ მისი განეპივრებული მოხელენი, როდესაც მათ მოეკრიანებათ, არც სასამართლოს განაჩენს საჭიროებენ ხოლმე. მისგან იძულებულ პიროვნებათ განუკითხავად აკვრევენს თავს სატუსაღოში და წამების შემდეგ მისი ვერაგობის მსხვერპლი ხდება. რამდენი დალუპულა ამგვარათ? ასეთი ვერაგობის მსხვერპლი, უგზო-უკვალოდ დალუპულნი, უმეტეს ნაწილათ არიან პოლიტიკურად არა საიმედონი.

როგორ აფასებს რუსეთის კანონმდებლობა მოქალაქეთა სიცოცხლეს, თვითეულმა ჩვენგანმა თავის თვალით ნახა 1906 წლის რეაქციის გამეფებიდგან. ჩვენ ციხეში მომწყვდეულებმა ხომ კარგათ ვიცით ჯალათი მთავრობის მზრუნველობა ამ მხრით. შარშან ამ დროს ამართული ჩვენ ციხეში ექვსი სახრჩობელა კიდევ თვალწინ უდგია თვითეულ ჩვენგანს.

აი, რას გვეუბნება სიკვდილით დასჯილთა ციფრები. ამ ნაირი ფაქტიური მხარე კითხვისა. ახლა განვიხილოთ მისი ფილოსოფიური მხარე.

ვიდრე მოვიყვანდეთ სიკვდილით სასჯელის მოწინააღმდეგეთა დებულებას, ჩვენ მოუსმინოთ,—გავშინჯოთ ის დებულებანი, რომელიც მოუყავთ მის დამცველებს:

1) სიკვდილით სასჯელი არ უნდა მოისპოს, როგორც ხალხის უმრავლესობის დასამშვიდებელი საშუალებაო,—ამბობენ მისი მომხრენი.

საჭირო არ არის იმის დამტკიცება, რომ სიკვდილით სასჯელი არის ერთი უსაშინელესი სასჯელთაგანი, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ სიკვდილით დასჯის ყველას არ ეშინია. უმეტესობისათვის სამუდამოთ ციხეში დამწყვდევა, შეერთებული კატორღის საშინელებასთან, უფრო თავსარდამცემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების მაგალითები და დაკვირვებანი ხომ კიდევ უკეთ არღვევს სიკვდილით სასჯელის ზემოხსენებულ დებულებას. მაგ., ინგლისელი მღვდელი **რომეტორი** ამბობს, 167 სიკვდილით დასჯილთა შორის, რომელთაც-მან აღსარება ათქმევინა მათზედ სიკვდილის შესრულების წინ, 161 დასჯილი გამოტყდა მასთან, რომ იგინი რამდენჯერმე დასწრებიან სიკვდილით დასჯას.

ამასთან მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისში და საფრანგეთში ჯიბგირები უშიშრად სჩადიოდენ ისეთ დანაშაულს, რომლისათვის კარგად იცოდენ, რომ მათ სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

სიკვდილით სასჯელის მომხრეთა წამოყენებულ დებულებას აქარწყლებს ის მაგალითიც, რომ დღეს ყოველ სახელმწიფოში სახრჩობელა ქალაქის მოედნიდგან ციხის მაღალ კედლებს შიგნით არის გადატანილი და ადამიანთა სიკოცხლის მოსპობა დღეს ხდება სიბნელეში, ცხრაკლიტულში, ხიშტ-ზარბაზნების მფარველობის ქვეშ.

ამ გვარი ცვლილება შემოღებულ იქნა: ინგლისში 1868 წლიდგან, პრუსიაში 1876 წლიდგან და რუსეთში 1881 წლიდგან.

2) მეორე დებულება სიკვდილის დასჯის დამცველთა ის არის, რომ დამნაშავეთა შორის ისეთებიც არიან, რომელთა გასწორება აღარ შეიძლება. ერთ-ერთი ხსნა, რათა დაცულ იქნეს მათგან საზოგადოება, არის მათი სიცოცხლის მოსპობა.

ამის შესახებ ჯერ ის უნდა შეენიშნოთ, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის ამა თუ იმ პირის გაუსწორებლობის გაგება, მისი სულიერი მიდრეკილების სისწორით დიაგნოზის დასმა,— მიუწდომელია. ამნაირი დებულების დასაბუთებლად შორს არ მოგვიხდება წასვლა.

ვისაც ჩვენი ციხის დაბლა სართულის მესამე საკანში შეხვედრია ცხოვრება ერთი კვირით მაინც, ის დამეთანხმება, რომ იქ მოთავსებულ ჯიბგირებს და „აფერისტებს“ იმდენად ძვალრბილში გაჯდომიათ თავისი საყვარელი ხელობა, რომ ამნაირი მიდრეკილება მეორე ბუნებათ გადაქცევიათ მერე, რომელ ჭკუათა მყოფელ ადამიანს მოუვა აზრათ —ჯიბგირობისათვის, „მაშინოკობისათვის და აფერისტობისათვის“ ადამიანის სიკვდილით დასჯა?

3) მესაშე დებულება სიკვდილის სასჯელის დამცველთა კიდევ უფრო სუსტია. მათის აზრით სიკვდილით სასჯელი ხალხის სულიერი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნილებაა. თითქოს ხალხს სამართლიანად მიაჩნდეს განხრახ კაცის მკვლელის სიკვდილითვე დასჯა და იგი მოითხოვდეს, თანაუგრძობდეს მას. ამნაირი დებულება სრულიად ვერ ითმენს კრიტიკას მარტო იმ მოსაზრების მიხედვითაც, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კი სიკვდილით სასჯელი მოსპობილი იქმნა და გარემოებათა მიხედვით ხელმეორედ შემოღებული, ყველგან ხალხი წინააღუდგა მას.

სიკვდილის სასჯელის მოწინააღმდეგეების დებულებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. უადგილობისა გამო ამაზე ჩვენ სიტყვას არ გავგრძელებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ, ჯერ ერთი, არ შეიძლება ადამიანის მოკვლა ნახევრად. არ შეიძლება ამ სასჯელის დანაწილება. არ შეიძლება ადამიანის ხელმეორედ გაცოცხლება—კიდევაც რომ დამტკიცდეს დასჯელის უდანაშაულობა, რომლის მაგალითი ათასობითაა. ადამიანის სიცოცხლის წართმევა ჩვენ უფლებას აღემატება. დღეს თუ ეს ხდება სამართლის ძალით—ეს დაკანონებული უსამართლობაა—ძალადობაა.

ამასთან სიკვდილით სასჯელი ტლანქი და უკულტურო საშუალებაა. უკულტუროა ის იმიტომ, რომ იგი რყვნის ხალხს. ენება მოაქვს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სისხლის ღვრის მაგალითები, რომელიც მოწონებულია კანონისაგან, გაუნათლებელ ადამიანს, რომელშიაც ასე ძლიერია მიდრეკილება მიბაძვისადმი, უღვიძებს შეუბრალებლობას. გარდა ამისა, ის იწვევს ხალხში დაცინვას, ბაქრდვას და ხდის სიკვდილით სასჯელის სანახაობას მეცოცის და მოუხეშობის სკოლად.

სიკვდილით სასჯელის შეუსაბამობის იდეა არის დაფუძნებული თვით იესო ქრისტეს სწავლაზე. იმ სწავლაზე, რომელიც აშენებულია ვანსაკუთრებით მოყვასის სიყვარულზე და დამნაშავეთა პატივებაზე. ეს სწავლას იმ თვალიდან კიდევაც ასე გაიგეს მისმა უახლოესმა მიმდევრებმა და უარყვეს სიკვდილით დასჯა. ქრისტიანობა მტკიცედ ადგა ამ სწავლა პირველ საუკუნეებში. მაგრამ გავრცელდა თუ არა ქრისტიანობა, გადაიქცა თუ არა იგი სახელმწიფო სარწმუნოებად, მისი ჭეშმარიტი სწავლა-დებულებანიც შეირყვნა, შეიცვალა და სიკვდილით სასჯელი, რომელსაც ქრისტეს მიმდევართ წინააღმდეგ ხმაროობდენ, ეხლა ქრისტიანებმა გამოიყენეს მოწინააღმდეგეთა შესამსრავად. სიკვდილით სასჯელი, როგორც წმენის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალება, პირველად ხმარებულ იქმნა ქრისტიანებისაგან 385 წელში ვინმე მწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი პრინციპილიანეს წინააღმდეგ ორი გავლენიანი მღვდელმთავრის მოთხოვნით.

შემდეგ სიკვდილით სასჯელს მხარი დაუჭირეს ისეთმა მღვდელმთავრებმაც, როგორიც იყო ლეე დედი, წმიდა ავგუსტინე და ამბროსი. საშუალო საუკუნოებში ხომ ისე გაუტკბათ წმიდა მამეს ეს ნეკტარი, რომ ქრისტეს სახელით სისხლით შედებეს-ტყე-ველი. — სისხლის გუბეები დაიყენეს მათ. ეგრეთ წოდებული „წმიდა ინკვიზიცია“ მუსრს ავლებდა მაშინდელ ევროპას და მისი მარტო მოგონება ეხლაც ზიზღსა გვრის და წყევა კრულვას იწვევს განათლებულ კაცობრიობაში.

მხოლოდ რეფორმაციის დროს, დიდი ლიუტერის დაწვის შემდეგ, შეირყა ეს არა ქრისტიანული სწავლა — სიკვდილით დასჯის შესახებ. გამოჩნდენ ახალი მქადაგებელნი, რომლებმაც გაილაშქრეს ამ სასჯელის წინააღმდეგ. მაგრამ ამგვარი ქადაგება ვერას გახდებოდა, რომ სოციალურ ცვლილებათა ზეგავლენით არ შერყეულიყო ძველი, საშუალო საუკუნოების ცხოვრება, — რომ ფილოსოფიურ — ჰუმანიურ სწავლას ფეხი არ მოეკიდებია საზოგადოებაში.

პირველად 1764 წელს დიდებულმა ბეკერიმ, ჰუმანიური მსოფლმხედველობის მამათმთავარმა, აღიმაღლა ხმა სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგ.

„მართლ-მსაჯულება არ საჭიროებს სიკვდილით სასჯელსა“ — ოცადებდა იგი და ამის დასამტკიცებლად მან მრავალი საბუთები მოიშველა. მხარი დაუჭირა მას დიდებულმა ვოლტერმა და სხვა გამოჩენილმა მწერლებმა. ამ ნაირად გაიმართა კომპანია სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგ და ამ საკითხმა მალე მიიპყრო საზოგადოების გულის ყური. თანაგრძნობა კაცთმოყვარე მქადაგებელთადმი დღითი დღე იზრდებოდა და ამის ზეგავლენით სიკვდილით სასჯელიც რიცხვით საკმაოდ მცირდებოდა.

მეტსაც ვიტყვით: ზოგიერთ სამეფოში ამ ქადაგების ზედ გავლენით სიკვდილით სასჯელი სრულიად მოისპო. მაგ. სიკვდილით სასჯელი ფაკტიურად მოსპო თავის სამეფოში 1765 წელს ლეოპოლდ ტოსკანელმა, ხოლო 1786 წელს ეს კანონი სრულიად გამორიცხა საქართველის წიგნიდგან ლეოპოლდის ძმამ იოსებ ავსტრიელმა, რომლის დროსაც, 1781—1788 წლებში, ფაკტიურად სისრულეში არ მოყავდათ სიკვდილით სასჯელის განაჩენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენდა განსაცვიფრებლად, რუსეთსაც ხვდა წილად ერთი ამგვარი დრო. ეს იყო ელისაბედის მეფობის ხანა. ეს მოხდა კი სრულიად შემთხვევით. საქმე იმაშია, რომ ყველასგან მივიწყებული, ანნა დედოფლის მთავრობის მიერ აძულებული და დევნილი, ელისაბედი სრულიად არ მოელოდა სამეფო გვირგვინს. მაგრამ ბედმა გაუღიმა მას, თავისი საყვარლების დახმარებით მან მიიპყრო სამეფო გვარდია და მათი დახმარებით რუსეთის ტახტის მფლობელი გახდა. როდესაც მან ტახტზე ცილობა განიზრახა, აღთქმა მისცა ღმერთს, რომ, უკეთუ მიზანს მიაღწევდა, სიკვდილით არავის დასჯიდა.

ელისაბედი მართლაც მტკიცედ ადგა თავის აღთქმაზედ და სიკვდილის სასჯელის განაჩენებს არ ამტკიცებდა. მაგრამ რა გამოვიდა? რუსეთი თავისებური ქვეყანაა. მეფის მოხელეს როგორ შეუძლია გაძღოს თუ მუდამ სისხლში არა აქვს ხელები ამოსვრილი.

ელისაბედის ჯიუტობის წყალობით ციხეები აივსო ისეთი დამნაშავეებით, რომელთა მდგომარეობა სრულიად გამოურკვეველი იყო. რომ გამოსულიყო ამ უხერხულ მდგომარეობიდგან, მთავრობამ სენატი მოიშველია, რომელმაც, როგორც ყოველთვის, მთავრობას ხელფეხი შეუხსნა.

სენატის განმარტებით ამნაირ დამნაშავეთათვის ჯერ უნდა ეცემნათ მთრახებით, ამოეგლიჯათ ცხვირის ნესტოები და შემდეგ გაეგზავნათ სამუდამოთ კატორღაში სამუშევრად. ეს წინადადება მოწონებულ იქნა 1753 წელში და სიკვდილით სასჯელი იურიდიულად მოსპობილი.

აი, რას მოგვითხრობს სიკვდილით სასჯელის ისტორია.

როგორც ნათქვამიდან სჩანს, მან გაიარა განვითარების ყველა საფეხურები და დღეს ეს სასჯელი, ანახრონიზმს წარმოადგენს. როგორც ბარბაროსობის ნაშთი იგი დგომბილია თანამედროვე მეცნიერებისაგან.

ასე მსჯელობს თანამედროვე პროგრესიული მწერლობა და ბურჟუაზიული საზოგადოებაც კი.—

ჩვენ, სოციალისტები, ხომ უფრო შორს მივდივართ ამ საკითხში. ჩვენ გვსურს მოვსპოთ, ძირიან-ფესვიანათ აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რომელიც იწვევს ადამიანისაგან დანაშაულის ჩადენას და აღვამაღლოთ სულიერათ, გავაკეთილშობილოთ ახალი თაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კი მოხდება მაშინ, როდესაც საკუთრება მოისპობა და იმ თავიდ-განვე ახალგაზდობის აღზრდის საქმე საღ პედაგოგიურ ნიადაგზე დადგება.

დიახ, ჩვენ წინაღმდეგი ვართ ყოველგვარი სასჯელისა და სატუ-საღოებისაც კი,რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიული ცხოვრების პირ-შია შვილია. აწინდელი ცხოვრება იწვევს ბოროტებას და მას სჭირია სასჯელიც და სატუსაღოებიც.

ჩვენ მას მოვითმენთ მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციის დროს. იმ დროს როდესაც მშრომელი ხალხი საბრძოლველად გამოვა და მთელი თავის ძალიერებით თავის მტრებს დაერევა. ვი ი ომას, ვინც მაშინ მას წინ გადაეღობება. იგი არაფრის წინ არ შედრკება, ვიდრე თავის მეუფებას არ დაამყარებს. რევოლიუციის ბრწყინვალედ დაგვრგვინების და პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ დადგება დრო სანეტარო.

პროლეტარიატი შეუდგება სოციალისტური ცხოვრების აშენებას, რომელიც ყველას გაათბობს და უზრრნველ ყოფს. დამყარდება თუ არა სოციალისტური წესწყობილება, ფესვებს ღრმად გაიდგამს იგი, შაშინ არც სასჯელი იქნება საჭირო და არც სატუსაღო, რადგანაც ბოროტების ჩადენის მიზეზი არავის ექნება.

ზ. ოტრინჯელი.

8/XI—1912 წ.
ქუთაისის ციხე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. პიროგოვი.

ი. ს. საზანოვის სიკვდილი [1].

(28 ნოემბერი 1910 წ.)

ამ ხანად მე არ ვკისრულობ მოგითხროთ ზერენტუის ტრაგედიის დაწვრილებითი ისტორია. მე მსურს მხოლოდ ამ ტრაგედიის ის ეხარეები აღვნიშნო, რომელსაც კავშირი აქვს იაგორ სერგის ძე საზონოვის სიკვდილთან.

ზერენტუის საკატორღო ციხის დასამშვიდებლად დაინიშნა ვინმე ვისოცკი. ციხეში მისი დანიშვნა წინდაწინ გავიგეთ. ვისოცკის შესახებ ბევრი რამ ერთი მეორეზე უარესი ხმები ვრცელდებოდა ციხეში, მაგრამ, ამ ხმებს თუ კიდევ გადააჭარბებდა იგი, ეს კი ჩვენ არ ვიცოდით. მოვიდა ვისოცკიც რამდენიმე დაწვრთნილი მეკლიტეებით და მთელი სისასტიკით შეუდგა ციხის „დამშვიდებას“.

პირველი შეტაკება ჩვენ ამხანაგებთან მან თვითონ გამოიწვია ციხის მისაღებათ ჩამოვლის დროს თავის უზრდელი მიმართვით „შენ“ და ბრძანებით—„სმენა“. ამის შემდეგ რამდენიმე პოლიტიკური ამხანაგი ბნელ საკანში გაიგზავნა, ხოლო დანარჩენ პოლიტიკურების შესახებ გამოცხადებულ იქმნა „საკარცერო წესები“.

28 ნოემბერს ვისოცკიმ „გაარიგზგვინა“ ერთი ჩვენი ამხანაგი. ეს იყო ვისოცკის მხრით პოლიტიკურების გამოწვევა. ამაზედ ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა თვითმკვლელობით გასცეს პასუხი; ვინაიდან უმრავლესობა არ იყო მომზრე ასეთი ბრძოლისა, ხელს უშლიდენ ამხანაგებს მოყვანათ სისრულეში განზრახვა თვით მკვლელობისა. ამიტომ ამ შემთხვევაში თვითმკვლელობას მსხვერპლი არ მოყოლია.

ამხანაგი საზონოვი იყო მოთავსებული განცალკევებით პატარა საკანში; თუ ამხანაგებმა მას ვერ უშველეს და ვერ გადაარჩინეს სიკვდილს, ამის მიზეზი იყო ვისოცკი და მისი ბარბაროსული განკარგულება.

საზონოვის სიკვდილი მოხდა შემდეგ პირობებში:

საზონოვს გადასცეს, რომ ერთ-ერთ საკანში, სადაც პოლიტიკუ-

---

[1]) გადმოთარგმნილია ჟურნალ „Каторга и ссылка“ № 1, 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები ისხდნენ, მასლოვმა, პუხალსკიმ (ორთავემ თავი მოიკლა შემდეგ 1912 წელში კუტომირის ციხეში), ოდინცოვმა გაიქრა სისხლის მხლები (ვოლ). აგრეთვე ისიც გიგო, რომ რამდენიმე კაცი კიდევ ეპზადება თვითმკვლელობისათვის, მათ შორის მისი გულითადი ამხანაგებიც: მოშკინი და ფროლოვი. ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა საზონოვი და დაუყონებლივ მისცა წინადადება ამხანაგებს, რათა შეეჩერებიათ თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა და ეცლიათ მისთვის, საზონოვისთვის. უკეთუ მისი თვით მკვლელობა ვისოცკის გონს არ მოიყვანდა, არ მოახდენდა მასზედ გავლენას და კიდევ განაგრძობდა პოლიტიკური ამხანაგების დევნას და შევიწროვებას, იმ შემთხვევისათვის მათ შეეძლოთ მიეგბაძათ მისთვის და თავიანთი განზრახვა სისრულეში მოეყვანათ.

საღამოს ჩვენი პატარა საკანი გააღეს და ჩვენ საპირფარეშოში გაგვიშვეს. დერეფანში გავლის დროს საზონოვმა კარის სარკმელიდან მომაძახა ღა შემაჩერა.

—ამხანაგო, გაისარჯე ჩემთვის, რამენაირად ამხანაგი ალფერი ინახულე და სთხოვე ჩემ მაგიერ შენახელით გამომიგზავნოს ჩემი წილი მორფი,—მთხოვა მან და ჩემდა დასამშვიდებლად დასძინა:

—მე მინდა თან მექნეს იგი ყოველ შემთხვევისათვის. ვინ იცის როგორ შეიცვლება მდგომარეობა ჩვენ ციხეში. შეიძლება ისე შეიკრას იგი, რომ მორფის მიღება შემდეგში შეუძლებელი გახდეს ჩემთვის. მე იმ წამს მივირბინე ალფერთან და საზონოვის თხოვნა შევასრულე. საპირფარეშოში გულ შემზარავი ამბები გადმომცეს. ჩვენი ციხის ცხოვრებიდან გაგონილმა ამბებმა მე იმდენად დამარტინა, თავზარი დამცა, რომ საზონოვის ამბავი კიდევაც დამავიწყა; ასე რომ დაბრუნებისას მე ამხანაგებთან კრინტიც არ დამიძრავს ამის შესახებ.

საპირფარეშოდგან ვბრუნდებოდი, რომ შემაჩერა ჩემმა გულითადმა ამხანაგმა ლეიბაზონმა. მას სახეზე მიწა მიყროდა, ხმა უკანკალებდა და სამარიდან ამოღებულსა ჰგავდა.—ჩემო კარგო,—ჩურჩულით მითხრა მან,—მიშველე რამე, თუ შეგიძლია სადმე მიშოვე როგორმე საწამლავი. ის საწამლავი, რომელიც მე მომცეს, გაფუქებული გამოდგა და, როგორც ხედავ, ჩემზე არ იმოქმედა.

მეკლიტე უკვე მიდიოდა ჩვენი საკნის დასაკეტად და შემდეგი საკნიდან ამხანაგების გამოსაშვებად. ამიტომ ლეიბაზონთან მე ბევრი ლაპარაკის დრო არ მქონდა. მოკლედ გადავეცი ჩემი აზრი მისი გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრახვის უსაფუძვლობის შესახებ და კატეგორიულად მოვთხოვე ხელმეორედ საწამლავი არ მიეღო. მან კარგად იცოდა, რომ მე ბრძოლის ასეთი მეთოდის წინააღმდეგი ვიყავი. ამიტომ ჩემი მხრით სიტყვის გაგრძელება ამ საგანზე განმეორება იქნებოდა სხვა დროს ჩემ მიერ გადაცემული მოსაზრებისა. მე არ ვიცი, დავარწმუნე თუ არა ჩემი კეთილი ამხანაგი თავის განზრახვის უსაფუძვლობაში, მაგრამ როგორც იქნა მაინც დავითანხმე და ამ შეთხვევაში იგი გადავარჩინე სიკვდილს, თუმცა შემდეგში, კუტომირის ისტორიის შემდეგ, მან, დანარჩენ ამხანაგებთან ერთად, მაინც თვითმკვლელობით დასასრული თავის დღენი.

მე უკვე ჩემი პატარა საკნის კარებთან ვიდექ, რომ საზონოვს გაეუღეს კარი და საპირფარეშოში გამოუშვეს. გაუსწორდა თუ არა იგი ჩვენი საკნის სარკმელს, ღიმილით ჩამოგვძახა: — „აბა, ამხანაგებო, მშვიდობით“.

ამხანაგი ვინსბურგი ტახტზე იყო წამოწოლილი. მას რამდენიმე საათის წინ გაეცივა. ამიტომ ლოგინი გაეშალა და თავიდან ფეხებამდე საბანში იყო გამახვეული. კოზლოვი და ტერ-ოგანიანი კი ხმა ამოუღებლად მისჩერებოდენ საზონოვს. ისინი მიმხვდარი იყვნენ მის გადაწყვეტილებას, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდენ ამ გამომშვიდობების საპასუხოდ. მე კი ისე ღრმად ვიყავ შავ ფიქრებში ჩაფლული, რომ არ მეცალა ჩავფიქრებოდი და გამომერკვია საზონოვის გამომშვიდობების მნიშვნელობა.

ანგარიშ მიუცემლად მას გავუშვირე ხელი და ვუპასუხე: — „მშვიდობით!“ — ეს კი თურმე უკანასკნელი გამოსალმება იყო.

დაიკეტა ჩვენი საკანი. ყველამ ლოგინებს მივაშურეთ. ისე ღრმად ვიყავით დამძიმებული სხვადასხვა გულისშემზარავი ამბებით, რომ ლაპარაკის თავი არც ერთს არა გვქონდა, თუმცა ჩვენს თვალს დიდ ხანს ძილი რა ეკარებოდა. დაახლოვებით ნაშუადამეევის სამი საათი იქნებოდა, რომ დერეფნიდან მეკლიტეს ხმამ გამოშალეიძა: — „საზანოვ! ეი საზანოვ! თქვენი ლამპა გამქრალა და აანთეთ!“.

ტყუილად გაიმეორა მეკლიტემ თავისი ბრძანება რამდენჯერმე. საკნიდან მას პასუხს არავინ აძლევდა. მეკლიტე მიხვდა, რომ საქმე კარგად არ იყო და ჩქარი ნაბიჯით სადღაც გაეშურა. ჩამოვარდა დერეფანში სიწყნარე. ჩვენ მოუთმენლობას საზღვარი არ ჰქონდა. გავიდა ხუთი წუთი, მაგრამ იგი ჩენ საუკუნეთ მოგვეჩენა. გაისმა დერეფანში რამდენიმე კაცის ფეხის ხმა. სწრაფად გაიღო საზონოვის საკნის კარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამპა აინთო და რამდენიმე წამის შემდეგ მეკლიტეებმა ხელით გამოიყვანეს საზონოვი. ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოვიკრიფეთ იმდენი ძალა, რომ კარებამდე მივსულიყავით და უკანასკნელად შეგვევლო თვალი ვისოცკის და იმის გამომკზავნ ჯალათების ამ ახალი მსხვერპლისათვის.

ვიღაცამ მეზობელი საკნიდან შეეკითხა მეკლიტეს:

—„მოკვდა?“

—„კიდევ სუნთქავს“,—იყო მეკლიტეს პასუხი.

მალე მიწყნარდა მეკლიტეთა ფეხის ხმა, რომლებსაც საზონოვის სხეული მიჰქონდათ და დერეფანში ისევ ჩვეულებრივი სიწყნარე ჩამოვარდა.

როდესაც ვისოცკის მოახსენეს საზონოვის თვით-მკვლელობის შესახებ, მან, გაბრაზებულმა, წამოიძახა:

—„რას ნიშნავს ეს. თვით-მკვლელობა დღით, თვით-მკვლელობა ღამით. თქვენ კი, ბატონო ჩემო, ინებეთ მოვლა და მობრუნება. არა, ამას დასასრული უნდა ექნეს, თუ არა? საჭიროთ გადაეცით ჩემი სახელით მორიგე ფერშალს, რომ ამიერიდან არ გაბედოს არც მან და არც რომელიმე სხვამ ღამით შეჭწეობის აღმოჩენა. ვისაც შემწეობა დასჭირდება, ჩვენ აღმოუჩენთ დახმარებას დღისით, ხოლო ღამით კი არასოდეს“.

საზონოვის სიკვდილის მიზეზი საშამლავი კი არ ყოფილა, იგი გახდა მსხვერპლი ვისოცკის ბარბაროსობის და თვითნებობისა. საზონოვი სამ საათზე მეტი დარჩა საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში საექიმო დახმარების აღმოუჩენლად, ვისოცკის განკარგულების წყალობით. როდესაც ღილით მასთან მივიდა საავადმყოფოს ფერშალი, კაზინასი, უკვე გვიან იყო. საზონოვი ოცი წამით ადრე გათავებული დაუხვდა მას.

ჩვენ გვაქვს სბუთი დაბეჯითებით ვაღვიაროთ, რომ კაზინასს დახმარება საზონოვისათვის საავადმყოფოში ჩაყვანისათანავე აღმოეჩინა, იგი უსათუოდ გადარჩებოდა სიკვდილს. ვისოცკი არ დაკმაყოფილდა მარტო საზონოვის მკვლელობით. მან გასცა განკარგულება, რათა მის საფლავზე არავითარი ნიშანი არ გაეკეთებიათ. ამით მას სურდა შერეულიყო მისი საფლავი სხვების საფლავებში და ვერავის მიეგნო იგი.

რამდენადაც ვიცით ეს სურვილი ვისოცკის არ გაუმართლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადატრიალების შემდეგ მისმა ძმამ საზონოვის გვამი ზერენტეიდან გადმოიტანა სამშობლოში.

საზონოვმა სიკვდილის შემდეგ დასტოვა სამი წერილი თავის ახლობელ მეგობრებისათვის გადასაგზავნად. ეს წერილები ისე ხელოვნურად იყო ჩამალული კარების ჩარჩოებში, რომ, ვიდრე რომელიმე ჩვენს ამხანაგს მოათავსებდენ ამ საკანში, რამდენჯერმე გულ მოდგინეთ გაჩხრიკეს იგი, მაგრამ წერილები მაინც ვერ მიიგნეს. ამხანაგებმა ვიცოდით ამ წერილების არსებობა და ბევრი ძებნის შემდეგ ვიპოვეთ მხოლოდ ერთი წერილი. დანარჩენი ორი წერილი კი აღმოჩენილ იქმნა წელიწად ნახევრის შემდეგ „უგალოვნებისაგან“ ამ საკნის შეკეთების დროს. წერილები ჩაუვარდათ ხელში სავადმყოფოს მსახურთ, რომლებმაც მოინდომეს ჩვენგან გაგება, სად და ვის უნდა გაგზავნოდა წერილები. მასთან მათ მოითხოვეს ჯილდო წერილების დანიშნულებისამებრ გაგზავნისათვის. ვინაიდგან არც ერთი და არც მეორე მაი სურვილი არ იქმნა დაკმაყოფილებული ჩვენგან, ეს წერილები მათ დახიეს.

პ. ფაბრიჩნი.

ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲫᲪᲔᲕᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲢᲝᲠᲚᲝ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ [1]).

ამ ამბავს ჰქონდა ადგილი 1908 წლის 10 აპრილს ალექსანდროვსკის საკატორღო ციხეში (ირკუტსკის გუბ.)

ნაადრევად გაზაფხულდა. თოვლი უკვე აიღო. ციხეში კი ზამთარი ძლიერდებოდა. ყველაფრიდან სჩანდა, რომ რუსეთის ციხეებში გამეფებული სისასტიკე აქაც თავის გამოძახილს პოულობდა. შემოიღეს დღისით საკნების ჩაკეტვა და სხვა შევიწროებანი. მართალია, ეს შევიწროებანი ერთბაშად არ ხორციელდებოდა, მაგრამ არავინ იყო იმის თავდები, რომ ყველა შეღავათებს თანდათანობით ხელიდან არ გამოგვაცლიდენ და რუსეთის საკატორღო ციხეებში გამეფებულ სისასტიკის წინ არ

[1]) გადმოთარგმნილია ჟურნალ „Каторга и Ссылка“, № 4, 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარვსდგებოდით. თუმცა ამ ხანებში დამოკიდებულება საკნებ შორის საკ-სებით არ იყო კიდევ შეწყვეტილი და გადასვლა ერთი საკნიდან მეო-რეში შესაძლებელი იყო.

სასეირნოთ რამდენიმე საკანის ერთად გაშვებაც არ იყო აკრძა-ლული. ტუსაღებს შეეძლოთ ესეირნათ ეზოში რამდენიმე საათი. სეირ-ნობის დროს ჯერ კიდევ ნებადართული იყო თავისუფლად სიარული, ლაპარაკი, გართობა და ვარჯიშობა ხტუნაობა—სირბილში, რომლითაც ტუსაღები ფართოდ სარგებლობდენ.

ამის შესახებ უფროსი მეკლიტე ტოკარევი, კაცი საკმაოდ ჭკვიანი და დაკვირვებული, იტყოდა ხოლმე: „ტუსაღებს ფეხის გულები ეფშა-ნებათ და ეს კი გაქცევის მომასწავებელიაო“. ამნაირად ციხის ადმინი-სტრაციამ იცოდა, რომ ტუსაღები ეპირებოდენ გაქცევას, მაგრამ რო-გორ და რანაირად მოახერხებდენ ამას, ამის წარმოდგენა მას არჰქონდა. ადმინისტრაციამ გააძლიერა თვალყურის დევნება და ყოველი შემთხვე-ვისთვის ფრთხილად იყო.

ტუსაღების გაქცევის წინ გავრცელდა ციხეში ხმები, რომ ზო-გიერთ შენიშნულ პოლიტიკურ კატორღელებს ადმინისტრაცია ათავსებს ცალ-ცალკე პატარა საკნებში, ვინაიდან ეშინია მათი გაქცევის. ამ ხმამ დაიჩქარა გაქცევა. მათ აღარ დაუცადეს მომზადებას და ციხიდან გაიქცენ ტუსაღის ფარაჯაში, გარედ კაბშირის გაუბმელად.

ვიდრე ამ ამბავს დაწვრილებით შევეხებოდეთ, საჭიროდ მოგვაჩნია ორიოდე სიტყვით მოვიგონოთ ალექსანდროვსკის ციხეში არსებული პოლიტიკური ჯგუფები:

რამდენადაც მახსოვს, ალექსანდროვსკის ციხეში მაშინ არსებობდა ორი პოლიტიკური ორგანიზაცია. პირველი იყო „კოლექტივი“, რო-მელიც აერთებდა პოლიტიკურ კატორღელების უმრავლესობას. ისინი თუმცა რამდენიმე საკანში იყვნენ მოთავსებული, მაგრამ ახერხებდენ ერთად მოქმედებას და ნივთიერადაც ერთმანეთს შველოდენ.

მეორე ორგანიზაცია იყო ეგრედ წოდებული „მოსკოვის კომუნა“, რომელიც აერთებდა 30—40 კაცს. იგი ანხორციელებდა კომუნის ყველა წესებს და წარმოადგენდა მტკიცედ შედუღებულ ჯგუფს.

აი, ამ კომუნაში დაიბადა პირველად გაქცევის სურვილი. თუმცა გაქცეულთა შორის ერიენ სხვა პოლიტიკურებიც, რამდენიმე სისხლის სამართლით გასამართლებულნიც გაყვნენ მათ, მაგრამ სული და გული ამ გაქცევისა, ანუ უკვეთ—შტაბი და მომზადება ამ საქმისა, ამ კომუ-ნის წევრები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაქცევა მოხდა ვნების კვირის ხუთშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე; იმ დროს, როდესაც ჩაის წყალს არიგებდენ ციხეში, ამ დროს მე სამზარეულოში მომიხდა წასვლა კარტოფილის მოსახარაკავად. სამზარეულოსაკენ მიმავალი დამინახა ვ. აურბახმა, გაქცევის ერთ-ერთ მთავარმა ხელმძღვანელმა და თვალით შემეკითხა. — რა მინდოდა მე სამზარეულოში, როდესაც გაქცევისათვის მზადება იყო საჭირო.

გარდა უბედურებისა მე გაქცევიდან არაფერს არ მოველოდი. ეს ჩემი აზრი იცოდენ მისმა ინიციატორებმა იქიდგან, რომ სამი კვირის წინად გაქცევისა ამხანაგი შმიდტი, ერთი ინიციატორთაგანი, შემეკითხა სეირნობის დროს: „რა იქნება, ამხანაგო პავლე, ერთ მშვენიერ დღეს რომ ვისკუპოთ, ამ კედელზე გადავხტეთ და მოვკურცხლოთო?.—„არა, ამხანაგო. ჯერ ერთი, ამ კედელზე გადახტომა არც ევრე ადვილია, შენ რომ გგონია. მეორეც, აქედგან არაფერი არ გამოვა, შედეგი კი ძლიერ საგრძნობი და სამწუხარო მოჰყვება ამას—ვუპასუხე მე.

ალბათ მაშინ ნიადაგს ამზადებდენ გაქცევისას და სურდათ ამ საქმეზე ჩემი აზრიც გაეგოთ.

ამ დღიდან კი შესწყვიტეს ლაპარაკი ჩემთან ამ საგანზე. ჩემს სამზარეულოში ყოფნის დროს უეცრად ციხისკენ დაიძრა ეზოში მყოფი ტუსაღები და გარბოდენ როგორც ცხვრის ფარა. შემდეგ მოისმა თოფის სროლა.

იმ ფერდობზე, ციხის წინ, საითკენაც ჯარის კაცნი თოჯს ისროდნენ გამოჩნდა ჩვენი ამხანაგები. ტუსაღის ფარაჯაში ისინი გარბოდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, რათა ფერდო გადაერბინათ, გორაკს ამოფარებოდნენ და მით ჯარის კაცების ტყვიისაგან თავი დაეფარათ. ერთი მათგანი კი უშიშრათ იდგა გორაკზედ თოფით ხელში და ჯარის კაცებს პასუხს აძლევდა.

სამზარეულოში ამ დროს ყოფნა მე კაის არას მიქადდა. საჭირო იყო როგორმე ციხეში დაბრუნება. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. იქვე სამზარეულოს ახლოს დაეჭრათ სამზარეულოდგან მიმავალი ტუსაღი, რომელიც საკოდავათ გმინავდა. იგი ძლივს-ძლივობით შემოფორთხდა სამზარეულოში. მას მუხლი აღმოაჩნდა გახვრეტილი ტყვიით, რომელიც მოხვედროდა იმ დროს, როდესაც ჩაის წყალი მიჰქონდა ციხეში. დიდის თხოვნით და ვედრებით მეკლიტე დუბოვნიკოვი დაგვთანხმდა გაყოლას და მისი თანხლებით ჩვენ უკნებლათ დავბრუნდით ციხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხეში ყველაფერი შეცვლილიყო ტუსაღების გაქცევისა გამო.

მეკლიტეებს ადამიანის სახე აღარ ჰქონდათ, თუ შიშით და თუ სიბრაზით. დერეფანში შეგვეფეთა მეკლიტე ვესტოვი. იმდენად გაბრაზებული იყო იგი, რომ გიჟსა უფრო ჰგავდა, ვიდრე გონების მქონე ადამიანს. ცალ ხელში მას დანა ეჭირა, მეორეში რევოლვერი და რაც კი შეეძლო ხმა მაღლა ყვიროდა: „ვერ შეიშვნეთ პატივისცემა? აბა, ამის შემდგომ ჩვენ ვიცით. ყველას გაცემთ განურჩევლათ, სასიკვდილოთ არ დავინდობთ“. ეს ვესტოვი კი ყველაზე უფრო პატიოსანი მეკლიტე იყო. ხშირათ მოსულა იგი ჩემთან და უთხოვია სწავლება, დარიგება, ანუ, მისი სიტყვით, „პროკლამაციის დაწერა“. ადვილი გასაგებია ამის შემდეგ როგორ ხასიათზე იქნებოდენ დანარჩენი მეკლიტენი.

საკანში დაბრუნების შემდეგ ამხანაგებმა შემდეგნაირათ დამისურათეს გაქცევა:

17 კატორღელი შეიარაღებული დანებით, რომელიც წინწინ გაეკეთებიათ სახელოსნოში, გამოვიდენ დერეფანში და მათ გადაელობა წინ მეკლიტე კარპოვი. ტუსაღებმა მოჰკლეს იგი და რევოლვერი აართვეს. გაქცეულებს უნდა გაეცლოთ მეკლიტეთა ოთახი. აქ მათ მოუხდათ შებრძოლება და ვიდრე არ დასჯრეს მეკლიტე გერასიმოვი, მანამდე გზის გაკვლევა ვერ მოახერხეს.

როგორც იქნა გავიდენ ციხიდგან და მიატანეს დიდ ალაყაფის ჭიშკარს. აქ დახვდა ციხის მცველი ჯარის ნაწილები. ჯარმა რომ დაინახა დანებით შეიარაღებული კატორღელები, დაიბნა და შეშინდა. წინააღმდეგობის მაგიერ ყაზარმას მიაშურა და ჩაიკეტა. სწორეთ ამან უშველა გაქცეულებს. ვიდრე ჯარის კაცები გონს მოვიდოდა, ტუსაღები, ამხანაგ ლუკა გოდუნის ხელმძღვანელობით, მივარდენ გასავალ კარებში მდგომ მოდარაჯე ჯარის კაცს და სწრაფათ განაიარაღეს იგი. ამხანაგი გოდინი როსტოვის გრენადერის პოლკის ყოფილი ფელდფებელი იყო და თოფის ხმარება საუცხოოდ ეხერხებოდა. ამიტომ ჯარის კაცზე არმიეული თოფით ბრძოლა მას ხვდა წილად. როგორც კი იგდო თოფი ხელთ, გოდუნმა იმ წამს დაუშინა ყაზარმას, რათა კიდევ უფრო დაეფრთხო ჯარის კაცები და ამით ამხანაგების ციხიდგან გასვლა უზრუნველ ეყო.

როდესაც ტუსაღები გასცდენ ციხეს, ჯარის კაცებიც გონს მოვიდენ და დაედევნენ მათ. გოდუნი შეეგება, ცეცხლის წვიმა დააყარა მათ. ამით მან თუმცა დიდი სამსახური გაუწია გაქცეულებს, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ ამ ბრძოლის მსხვერპლი გახდა. გარდა გოდუნისა გაქცეულთა-გან დაიღუპა ამხანაგი ტოპოლინი, რომელიც ისევ ციხის გალავანს შიგნი დაიკრა და საავადმყოფოში განუტევა სული. დანარჩენმა კი უვ-ნებლათ დაახწია თავი.

გაქცეულების თავასუფლება არ გამოდგა ხანგრძლივი. ღამით მო-ვიდა თოვლი. აცივდა და ამან ძლიერ შეუშალა ხელი გაქცეულთ. ამუ-შავდა ციხის ტელეფონი. იმ ღამესვე აცოდინეს ირკუტსკში და სოფელ ალექსანდროვსკაში მდგომ გარნიზონის უფროსს, მიღებულ იქნა შესა-ფერი ზომები გაქცეულების შესაპყრობად.

ალექსანდროვსკაში მდგომი გარნიზონი ფეხზე დადგა და დაედევნა გაქცეულებს. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით კიდევ ჯარმა და კა-ზაკებმა ირკუტსკს რკალი შემოარტყა და გაქცეულებს ქალაქში შესას-ვლელი გზები მოუჭრა. ამის შემდეგ გაქცეული ტუსაღები ან „ტაიგაში“ უნდა გასულიყვნენ და შიმშილ-სიცივის მსხვერპლი უნდა[illegible]ამხდარიყვნენ, ან ისევ ჯალათებს ჩავარდნოდენ ხელში. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვიდმოგვიცეს ამხანაგი ტურის და შიდტის შეპყრობის შე-სახებ ალექსანდროვსკის გარნიზონის მიერ სოფლის ახლოს, ხოლო დანარჩენების დატუსაღების შესახებ ირკუტსკის ახლო ჯარის მიერ. გადარჩა მხოლოდ ამხანაგი აურბახი, რომელიც შემოხვევით გზაში ჩა-ოშორდა ამხანაგებს, მიიმალა და შემდეგ საზღვარ გარეთ გაიქცა.

გაქცეულნი გაასამართლა ირკუტსკის სამხედრო საოლქო სასამარ-თლომ და მიუსაჯა სიკვდილით სასჯელი მხოლოდ შვიდ კაცს. ირკუტ-სკის გენერალ-გუბერნატორმა არ დაამტკიცა განაჩენი და ისევ სასამარ-თლოს დაუბრუნა ხელახალ გასარჩევად. ამ საქმის მეორედ განხილვის შემდეგ სასამართლომ ყველა გაქცეულებს სიკვდილით სასჯელი გამო-უტანა. ამიტომ, ციხეში მოყვანისთანავე, მათ ყველამ თავი მოიწამლა, მაგრამ დროით იქნა აღმოჩენილი საექიმო დახმარება და გადარჩენ. მხო-ლოდ ამხანაგ ზიბინს ვეღარ უშველეს და გადაიცვალა.

სიკვდილით მისჯილთა ზოგიერთმა პირისუფლებმა და მეგობრებმა აღძრეს შუამდგომლობა პეტროგრადში და დიდი მეცადინეობის შემდეგ სიკვდილის სასჯელი შეცვლილ იქნა სამუდამო კატორღაზე, რომლის შემდეგ ყველანი გაგზავნილ იქნა ზაბაიკალის საკატორღო ციხეში. გარდა გაქცევაში მონაწილეთა გაასამართლეს „უკალოვნი“ კატორღე-ლი ორლოვი თავის ცოლით. ორლოვის ცოლს ბრალათ ედებოდა ის, რომ ვითომც იგი, რამდენიმე დღით ადრე გაქცევის წინ, როდაცას ანიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდა გარედგან ტუსაღებს ციხეში. იგინი ორთავე სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

ამ ამბის შემდეგ პოლიტიკურ კატორღელების ცოლებს და ნათესავებს აეკრძალათ ცხოვრება ალექსანდროვკაში. ყველანი სოფლიდგან გააძევეს.

რაც შეეხება ციხის ცხოვრებას, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა.

ციხიდგან გაქცევა ბევრს სურდა. მოასწრო გაქცევა მხოლოდ ერთმა ნაწილმა. დანარჩენები გამოვიდა საკნებიდგან და გაქცეულთ დაედევნა, მაგრამ ამ დროს ასტეტა სროლა, გზა დაიკეტა და ყველანი იმ დერეფანში მოეწყვდნენ, სადაც ციხის დუქანი იყო მოთავსებული. ვიდრე საკნებში დაბრუნდებოდენ მათ მოკლეს იქ მდგომი მეკლიტე, რიცხვით მესამე. მისი სიკვდილის მიზეზათ უნდა ვიგულისხმოთ სიფრთხილე, რომ მას არ გაეცა ის ტუსაღები, რომელნიც დერეფანში გასაქცევათ გამოვიდა.

ადმინისტრაცია დარწმუნებული იყო რომ მეკლიტეს მკვლელი ციხეში დარჩა, მაგრამ მისი აღმოჩენა მან ვერ შესძლო. იპოვეს მხოლოდ დანა, რომელიც მკელელს ციხის ეზოში გადაეგდო. ამ საქმის გამო, რამდენიმე შენიშნული ტუსაღი ბნელ საკანში ჩასვეს. იგინი რამდენჯერმე გაიყვანეს დასაკითხავათ და ამით გათავდა საქმე. ტუსაღები ძლიერ ფრთხილად იყვნენ. მათ კარგად იცოდენ რა სუნიც უდიოდა ამ საქმეს და ამ საგანზე ერთმანეთშიაც კი ერიდებოდენ ლაპარაკს. ციხე სდუმდა. ჯაშუში და გამცემიც არავინ აღმოჩნდა. ამიტომ ადმინისტრაციამ ვერც მკვლელი მიიგნო და ვერც გაქცევის მსურველნი გამოაშკარავა. ამით გაბრაძეზული მეკლიტენი მზათ იყვნენ ყველანი დაეხოცათ, მაგრამ, თუ ეს არ მოხდა, ამის მადლოსანი უნდა ვიყოთ განსვენებული ალექსანდროვსკის საკატორღო ციხის უფროსის სავიცკისა, რომელმაც შემდეგში ამფრის ვიწრო ლიანდაგზე სამსახურის დროს თავი მოიკლა. სავიცკი არ იყო ბოროტი და უგნური ადამიანი. მასთან იგი იყო დიდი ფორმალისტი და კანონიერების მოყვარული და ამით ბევრი მოიგეს ტუსაღებმა. ტუსაღების გაქცევის შემდეგ ციხეში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა დაფიქრებულია, ყველას სიცოცხლე საშიშროებაშია. არავინ იცის რამდენიმე წუთის შემდეგ რა იქნება, რა მოელის მას. იწყება გაუთავებელი დათვლა. ალბათ იმიტომ, რომ ვერ მოახერხეს გაქცეულთა რიცხვის გამოკვლევა.

შემდეგ შეუდგენ ჩხრეკას. არაფერს არ ზოგავენ. ჰტვრეკავა დასასრული არ აქვს. ამტვრევენ ჩაინიკებს, ხევენ ბალიშებს და ლინღლით დაფარულია მთელი ეზო, როგორც თოვლით. ერთი დღის შემდეგ ყველა ტუსაღებს ადებენ ფეხებზე ბორკილებს, ხოლო სამუდამო კატორღელებს ხელებზედაც ხუნდებს. გაისმა ციხეში ბორკილების შემზარავი რაჩხა-რაჩხი. აქამდე კი ალექსანდროვსკის ციხეში ბორკილები ყველას ახსნილი ჰქონდა. წაართვეს ტუსაღებს ტანისამოსი, რომელიც არ იყო ფორმაზე შეკერილი. აგრეთვე საკუთარი საცვლები, პირსახოცები, წიგნები, ლოგინი და სხვა.

ყველა ტუსაღებს აეკრძალათ ერთი თვით წერილების გაგზავნა ნათესავ-ნაცნობებთან. შემოღებულ იქნა სასტიკი წესები. ერთი სიტყვით უსიამოვნებას დასასრული არ უჩნდა, მაგრამ პროტესტის გამოცხადებას კი არავინ ფიქრობდა, ვინაიდან ყველანი უარესის მოლოდინში ვიყავით. დერეფნებში და მთელ ციხეში ახლად გაკეთებულ ხარიხებს დასასასრული არ ქონდა.

შემქმნეს განსაკუთრებული საკანი № 15 და იქ მოათავსეს ყველა ის კატორღელები, რომელთაც მათის ფიქრით გაქცევა სურდათ და ვერ მოასწრეს. აქვე ათავსებდენ იმ კატორღელებსაც, რომლებიც ადმინისტრაციას ასე თუ ისე შენიშნული ჰყავდა. ამ საკანში მოთავსებული კატორღელები მუდამ დღე ელოდენ ცემას და ასეც მოხდა. მეკლიტეებმა მოიმიზეზეს ამ საკანში ორ კატორღელ შორის მოახდარი უბრალო ჩხუბი. შეცვივდენ შიგ და დაუწყეს ტუსაღებს თოფის თათებით ცემა. ვინ იცის რით გათავდებოდა აღვირ წახსნილ მეკლიტეების თვითნებობა, რომ ციხის უფროსს საეიკის დროით არ გაეგო ეს ამბავი. ის იმ წამსვე შეკარდა საკანში, მოითხოვა დაუყოვნებლივ ცემის შეწერება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ რევოლვერით დაამუქრა.

ამ ნაირად ბევრი ჩვენი საუკეთესო ამხანაგები იმსხვერპლა ამ გაქცევამ და სარგებლობა კი ვერავის მოუტანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ლ უ ჩ ა ი ნ ი.

სვდის წუთებში [1]).

ესდეკების კომუნაში, ანუ „ინტერნაციონალში", როგორც ამ კომუნას თავის წრეში ეძახიან ანგარის თემში გადასახლებული პოლიტიკურები, დიდი დღესასწაულია: ყველანი ემზადებიან მიღებული ამანათის გასანადგურებლად. დიდსა და მოუხერშავ მაგიდაზე. რომელიც ადგილობრივი კომუნალური დურგალის მიერ იყო გაკეთებული, უწესრიგოდ დალაგებულია ყოველივე, რაც ამანათის ყუთში იყო ჩალაგებული. ყუთი რამდენიმე წუთის წინ დიდი ზეიმით გახსნა კომუნის ეკონომმა, ყველა წევრთა თანდასწრებით. აქ იყო: ორი ფოლთოქალი, ერთი ყუთი კაკაო, ჰალვის ნაჭერი, ყურძენი, პატარა პარკი მარმალადი და ნამცხვარი.

გარდა ამისა, რკინის ღუმელზე — „ჭოლანდკაზე", ორ საკმაოდ მოზრდილ ტაფაზე, შიშინი გაჭქონდა მალოროსიულ ქონს, რაშიაც იხრაკებოდა პატარ-პატარა ნაწილებად დაჭრილი საქონლის ხორცი. ტაფას თავს დასტრიალებდა ამ დღის მორიგი მზარეული—იან მარტენსონი, მადალი, ლოყებწითელა ლატვიელი, 22 წლისა, რომელსაც თავისი ცოტა მოუხერშავი, ბოხი ხმისათვის ხუმრობით ეძახდენ— „კინდერშტიმე"-ს.

—ჯერ კიდევ მზად არ არის, —ბოხი ხმით უპასუხა მან თავის კოლეგებს, რომელნიც აგერ უკვე მესამეჯერ ეკითხებოდნენ მას—მზად იყო თუ არა საჭმელი და დიდის ერთგულებით განაგრძო გადაბრუნება ტაფაზე დალაგებულ ნაჭრებისა, რათა მეტი არ მოსვლოდათ და ძალზე არ შებრაწულიყვნენ ხორცის ნაჭრები.

დანარჩენ კომუნარებს სხვადასხვა სახით მოეკალათებიათ ქოხის საკმაოდ ფართო ოთახში, რომელიც პატარა საჭმარეულოსთან ერთად შეადგენდა მთელი ამ „შენობის ნახევარს". ეს ოთახი, თავისი დაქანებული იატაკით, რომელთა ფიცრებს შორის ნახვრეტები პირდაღებული გამოიყურებოდნენ, ჭვარტლისაგან გაშავებული და დიდიხნის შეუ-

[1]) გადმოთარგმნილია ჟურნალ „Каторга и Ссылка" № 4, 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრებელი კედლებით, ვიწრო და, მიუხედავად ცივი ზამთარისა, ერთ ჩარჩოიანი ფანჯრებით, არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. მარქსისა, ლასალისა, დარვინისა და მთელი რიგი რუსეთის და უცხოეთის მწერლების სურათები იმის მაჩვენებელი იყო, რომ აქ არც თუ მდაბიო ხალხი ცხოვრობდა.

ფართო ლოგინზე ისვენებდენ, გლეხებთან დღიური მუშაობიდან მეტად დაქანცულნი—ქართველი გრიგოლაძე, რომელსაც კომუნაში ჩვეულებრივად კადოს ეძახდენ და ხოხოლი ბეზბოროდკო. თუმცა ეს უკანასკნელი, მუშაობისგან დაქანცულობის გარეშეც, ჩვეულებრივად ამჯობინებდა ხოლმე, თავის უფალ საათებში, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნას. ეკონომი ფუსფუსებდა მაგიდის გარშემო და თავისებურ წესზე ალაგებდა მიღებულ ძვირფას განძეულობას. ბუნდოვანი სოლომონი ნეფოვიულად დასერონობდა ოთახის კუთხიდან კუთხემდე და ჩაფიქრებული ხანდახან ვეერდს წაჰკრავდა ხოლმე ღუმელთან მდგომ მზარეულს. იგი დაბალი ტანის ქერა ყმაწვილი იყო, რომლის თმებსაც თავსა და პირისახეზე ცოტა მეტი წითელი იერი გადაკრავდა; მას დიდი და მეტყველი თვალები ჰქონდა, ებრაული მოხაზულობა სახისა, მასთან მეტად ცხარე და მგრძნობიარე ყმაწვილი იყო. კომუნარები სოლომონს ხანდახან ხუმრობით „ტერმომეტრს“ ეძახდენ. კომუნაში წლოვანებით ყველაზე უფროსი წევრი, გრიშა, ლამპასთან გაზეთს კითხულობდა. მართალია, იგი მხოლოდ 30 წლის კაცი იყო, მაგრამ თმებში ჭაღარა მრავლად ჰქონდა გარეული და სანი ღრმა ნაოჭიც სერავდა მის შუბლს.

—წინადადებას ვიძლევი მოვიწვიოთ პეტრე პეტრეს-ძე, —განაცხადა ეკონომმა, რომელიც კკაოს ყუთს ხსნიდა და თვალებით მის სიღიდეს ზომავდა.

პეტრე პეტრეს-ძე იყო ესერი, ძველი პარტიული მუშაკი და ყველაზე მოხუცი ამ თემში გადმოსახლებულთა შორის. კომუნას მასთან საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ იგი სცხოვრობდა კომუნის უმრავლესობისათვის არა სიმპატიურ ოდესელ მისტიურ ანარქისტთან ერთად. მარტო პეტრე პეტრეს-ძის მოწვევა თითქოს უხერხული იყო, და ამიტომ ამ წინადადებამ კამათი გამოიწვია.

—წინადადება შემომაქვს მოვიწვიოთ ესერების კომუნა, —ჩაურთო ეკონომის წინადადების საწინააღმდეგოდ ბეზბოროდკომ.

ეკონომი და ბეზბოროდკო ბავშვობიდან მეგობრები იყვნენ. ისინი ერთად იყვნენ დაპატიმრებულნი, ერთად გაასამართლეს და ერთადვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხადეს საკატორღო სასჯელი; ეხლა მოხვდენ ერთადვე ერთ თემში გადასახლების ვადის მოსახდელად, ერთად წვებოდენ ერთ ლოგინზე და თოოქმის ერთ საბანს იხურავდენ. მაგრამ ყველა საკითხებში, გარდა განსაკუთრებით მეტად საერთო და პრინციპიალური ხასიათის საკითხებისა, ისინი მუდამ დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგანან და მუდამ დაობენ ერთმანეთში. ისინი ერთმეორეს ნამდვილ სახელით კი არ მიმართავდენ ხოლმე, არამედ სპეციალურად გამოგონილი სახელწოდებით; მაგალითად, ბეზბოროდკო ეკონომს, მისი ფიზიკური სისუსტის გამო, უწოდებდა „ბალღს“, ხოლო ეკონომი კი თავის მეგობარს უწოდებდა „წვერება“-ს, რაც მეტად კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენდა, ვინაიდან ბეზბოროდკოს სახეზე თმის ერთი ღერიც კი არსად მოიძებნებოდა.

ბეზბოროდკოს ასეთმა ჩარევამ ააღელვა ეკონომი. მან სწრაფად გაისწორა სათვალეები, ფართო, თეთრი შუბლიდან ხელით გადიყარა გრძელი თმები და ერთგვარი სიბრაზით უპასუხა:

—ძალიან მაკვირვებს მე „წვერება“. მას რაღაც თავისებური უნარი აქვს ერთი საკითხიდან უმალვე მეორეზე გადავიდეს. ეს პირდაპირ ქალური ლოღიკაა...

ეს სიტყვები ტყვიასავით მოხვდა ბეზბოროდკოს. იგი შეტრიალდა ლოგინზე და ვიდრე მეგობარი სიტყვას დაასრულებდა, თვითონ დაიწყო სხაპა-სხაპით და თან სცდილობდა გესლიანად ეკბინა მეგობრისათვის.

—მართლაც და ნამდვილი „ბალღი“ უნდა იყო კაცი, რომ ლოღიკა ვერა დაინახო სრულებით უბრალო საგნებში. პეტრე პეტრეს-ძე ესერია. გარდა ამისა, აქვე არის მთელი კომუნა ესერების; რატომ უნდა მოვიწვიოთ ერთი მათგანი და სხვები კი არა?

—ვინ არის ესერების მოწვევის მომხრე?..

—მე,—რიხიანად წამოიძახა ბეზბოროდკომ.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ ბეზბოროდკომ თავისი წინადადება შემოიტანა მხოლოდ ეკონომის საწინააღმდეგოდ. ესდეკების და ესერების კომუნას შორის რამდენიმედ გამწვავებული დამოკიდებულება სუფევდა. მასთან ერთ-ერთ მის წევრთან უსიამოვნო გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი. ამიტომ ესერების კომუნისათვის მოწვევის გაგზავნა იქნებოდა მოულოდნელი და მას სხვაგვარად გაიგებდენ; გარდა ამისა, ასეთი მოწვევით საღამო ინტიმურ-ოჯახურ ხასიათსა ჰკარგავდა. ოფიციალური—ამხანაგური თავაზიანობა ეხლა არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპაშნიკებოდა და ყველა მოწვევის წინაალმდეგი იყო, მაგრამ ამავე დროს, არავის არ სურდა ამის პირდაპირ განცხადება, რადგან ეშინოდათ—ეს უარი ისე არ გაეგოთ, თითქოს მას არ სურდეს ასეთი სიამოვნების ამხანაგებისთვის განაწილებაო.

—რა დაგემართათ, ყველას ენა ჩაგივარდათ თუ? —იკითხა ბეზბოროდკომ, თან ლოგინზე წამოჯდა და დამსწრეთ გადახედა;—ან იქნებ ეკონომს კიდევ ეკონომიური თვალსაზრისით აქვს რაიმე საწინააღმდეგო?

—ნუ სულელობ,—მკვახედ მოუტრა მას სიტყვა ვორონინმა.

ბეზბოროდკოს სიტყვებმა ყველანი აიძულა მყუდროება დაერღვიათ,—წინადადებას გამოხმაურებოდენ. თვითეული მათგანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ნივთიერი მოსაზრებანი არაფერ შუაში იყო ესერების კომუნის დაპატიჟების საქმეში. მაგრამ ეს რომ დამტკიცებიათ—ესერების კომუნა უნდა მოეწვიათ.

—ეს კითხვა სულ ადვილი გადასაჭრელია. ესერებისათვის შეიძლება გადავდოთ ამანათის სათანადო ნაწილი და ეხლავე გაუგზავნოთ,—დაასწრო სიტყვა ვორონინს სოლომონმა.

—მშვენიერი იდეაა,—წამოიძახა ვორონინმა და მას მხარი დაუჭირა გრიშამაც. ყველანი ერთბაშად გამოცოცხლდენ.

ყველა ხმების უმრავლესობით, წინაალმდეგ ერთი ბეზბოროდკოსი, გადაწყდა ამ იდეის სისრულეში მოყვანა. ეკონომმა სასწრაფოდ გამოჰყო ამანათის სათანადო ნაწილი, სოლომონმა წაიღო ესერების „ხუტორში“ და მეგობრებს დაჰპირდა დაბრუნებისას პეტრე პეტრეს-ძის წამოყვანას.

სოლომონის წასვლის შემდეგ გრიშა, დროს მოსაკლავად, ისევ გაზეთის კითხვას შეუდგა. ივანმა დასრულა ხორცის მოხრაკვა და ტაფა რუსულ ღუმელში შედგა.

სოლომონიც ჩქარა დაბრუნდა,—მას თან მოყვა სასურველი სტუმარი, დაბალი ტანის ქერა კაცი, 38 წლისა, გრძელულვაშებიანი და სქელ წვერა ადამიანი. როგორც კი შემოაღო ქოხის კარები, პეტრე პეტრეს-ძემ დაიწყო ადგილობრივ მკვიდრთა წაბაძვა: დარბაისლურად მოიხადა ირმის ტყავისაგან გაკეთებული ცომბირული ქუდი, სახეს მისცა მართლმორწმუნე სერიოზული ადამიანის გამომეტყველება და შეტრიალდა რა მარჯვენა კუთხესთან, ხელი შუბლზე მიიდვა, რომ პირჯვარი გამოესახა. მაგრამ მარჯვენა კუთხეში ვერაფერი დაინახა, გარდა ობობას ქსელისა, რის გამოც მის სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა, შემოტრიალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და პირჯვარი გადიწერა ტოლსტოის სურათის წინაშე, რომელიც თავისი სიდიდით განირჩეოდა სხვა სურათებისაგან. შემდეგ მარკხენა ხელი გადისვა თავის ნახევრად მელოტიან თავზე და მიესალმა:

—დღე მშვიდობისა,—განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოსთქვა მან უკანასკნელი სიტყვა.

—მობძანდი, პეტროვიჩ, იმავე ტონით უპასუხა გრიშამ, რომელმაც ერთი წუთით დაიჭირა თავის ხელში სტუმრის მიერ გაწვდილი ორი თითი.

—გულცივად მხვდებით,—ჩაიცინა პეტრე პეტრეს-ძემ და უკვე წესიერად და სათანადოდ მიესალმა დანარჩენ ამხანაგებს. ამ სიტყვებით მას უნდოდა მიეთითებინა ადგილობრივ მკვიდრთა—გლეხების—საერთო ჩვეულებაზე, რომელნიც იმ ნაცნობების მოლების დროს, რომელთანაც მათ ახლო და მეგობრული დამოკიდებულება აქვთ, ერთმანეთს სამსართულიანი გინებით მიმართავენ ხოლმე.

—მართლაც რომ გულცივად გხვდებით. რას იზამ, ენა ჩაგვივარდა, ცუდი დემოკრატეში ვართ, აი, ბეზბოროდკო თუ დაგიხსნის ამ უხერხული მდგომარეობიდან. მან, მგონია, ბევრად წინ წაიწია ხალხთან დაახლოვების საქმეში.

—არა, სიტყვიერებაში მას ჯერ კიდევ არ ჩაუბარებია გამოცდა,—ღიმილით შენიშნა ვოროონინმა.

ბეზბოროდკოს არ ჰქონია ჩვეულებად უპასუხოდ დაეტოვებია კოლეგების დაცინვა, მაგრამ ამ ხელად იგი დაჩუმდა. პეტრე პეტრეს-ძემ ისარგებლა ამით, რომ ბაასი სხვა საგანზე გადაეტანა, რადგან ასეთ შეკამათებას შეეძლო სულიერი განწყობილება დაერღვია და საუზმის მადა წაეხდინა ამხანაგებისათვის.

—ბა, ერთი მითხარით, რა არის თქვენში ბაღლი და სასიამოვნო, მეგობრებო,—იკითხა მან და ჩამოჯდა იქვე მდგომ ხის სკამზე.

—სასიამოვნო არა არის რა, გარდა ამანათისა,—უპასუხა სოლომონმა.

—ეი, კინდერ, როგორ არის შენი საქმეები,—მიმართა მან იანს.

—ყველაფერი დიდხანია მზად არის, მოვიტანო?...

—რასაკვირველია.

ეკონომმა ბალაგა დიდი სუფრიდან ტაბილეულობა, იანმა დასდგა გასუფთავებული მაგიდის ორივე თავში თითო ტაფა, რომელზედაც დალაგებულ, მოხრაკულ ხორცის სურნელობა მადას უღვიძებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმარ-მასპინძელს. სოლომონმა დასჭრა შავი პურის ყუა, დიდ ტაფას ირგვლივ შემოუსხდენ სტუმარი, ეკონომი, სოლომონი და გრიშა, ხოლო მეორე, უფრო მომცრო ტაფას კი, დანარჩენი სამი ამხანაგი.

პეტრე პეტრეს-ძეს გარდა. ყველანი გაშმაგებით და ხარბად შეექცეოდენ საჭმელს. ზამთარი ქრონიკული სიმშილობის დროა. კომუნის საქმეები ვერ მიდიოდა კარგად. რუსეთიდან დახმარებას იღებდა მხოლოდ ორი-სამი ამხანაგი და ისიც არა რეგულიარულად. ხშირად ერთი თვე ან მეტიც გავიდოდა ისე, რომ სანატრელი „უწყება“ არც ერთ მათგანს არ მოუვიდოდა. გლეხობასაც ნაკლებათ მოეპოვებოდა მათთვის სამუშაო. კომუნის წევრები დიდის სიამოვნებით კიდებდენ ხელს ყოველგვარ სამუშაოს და თვითეული მათგანი ერთ ამაბრა მზად იყო ემუშავა მთელი დღე, რომ დამქირავებლის ოჯახში კარგად დანაყრებულიყო და ამგვარად ადარ გაეყო ისედაც მცირე საზრდო დანარჩენი ამხანაგებისა. პური მეტად ძვირი იყო, და მასთან, ხშირად, კიდევაც რომ ჰქონოდათ საჭირო თანხა, პურს ვერ იშოვნიდენ საყიდლად, რადგან ზოგიერთ გლეხებს იგი ნაკლებად მოეპოვებოდათ. ვისაც კი ჰქონდა იგი, უცდიდა უფრო ხელსაყრელ დროს, როცა პურის ფასი მეტად აიწევდა ბაზარზე. ნადირობაც ნაკლები იყო ზამთრობით. თუ გაზაფხულსა და ზაფხულში ხშირად საკუნნაოში შენახული იყო ათეული ტყის ქათამი, ან რამოდენიმე იხვი მოელოდა თავის რიგს, როდის დასდებდენ მას მოხრაკულს საერთო კომუნალურ სუფრაზე,—სამაგიეროდ ეხლა ხანდახან თუ გაუღიმებდათ ბედი გრიგოლაძესა და იანს ერთი თუ ორი ფრინველის მოკვლაში. კომუნა ეხლა საზრდოობდა თითქმის მარტო შავი პურით და კარტოფილით, რომელსაც ხრკავდენ მეტად მწარე კანაფის ზეთში და იშვიათად მუშა-საქონლის ხორცით, როდესაც ამას კომუნარები მიიღებდენ ხოლმე სამუშაოს გასამრჯელოდ ფულების მაგივრად. იშვიათი ამანათი, რომელსაც როგორც დღეს იღებდა კომუნა,—წარმოადგენდა კუპის ნამდვილ დღესასწაულს, მართალია, მეტად ხანმოკლეს, მაგრამ მით უფრო საგრძნობსა და ძვირფასს.

მოხრაკული სწრაფად გაათავეს სტუმარ-მასპინძლებმა და მზარეულმა ალაგა ტაფები. სოლომონმა ცოტი ხნით კიდევ შეეჩერებია ტაფების ალაგება, რადგან დაიწყო ამოწმენდა მის ფსკერზე მიწებებული პაწია ნაჭრების „საუკეთესო ნაწილისა“, როგორც იგი ამბობდა.

—ეხლა გადავიდეთ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე.—თითო ფინჯანი კაკაო,—„სილვუპლე“—წამოიძახა ეკონომმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი რომა ვსთქვათ, კომუნაში არც ერთი ფინჯანი არ მოიძებნებოდა; იყო სულ სამი ჭიქა, სამი თუნუქის სასმისი, რომელთაგან თავისი სიდიდით გამოირჩეოდა ბეზბოროდკოს სასმისი, რომელშიაც სამი ჭიქა ჩადიოდა. კომუნას სამოვარი არა ჰქონდა და ამიტომ ჩაის თუნუქის ჭურჭლიდან სვამდენ. ერთი ასეთი ჩაინიკოთაგანი, რომელიც ნახევარ ვედროს იტევდა და რომელიც საგანგებოდ ციხეში იყო გაკეთებული და სახელად „ბაიკალს“ ეძახდენ,—ეხლა დასდვეს მაგიდაზე. რძე კაკოსათვის ვერსად ვერ ეშოვათ, თუმცა მთელი სოფელიც კი მოეარათ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ კაკოო მარტო ცხელი წყლით დაელიათ, სამაგიერო ბურის მაგივრად კომუნას დღეს ნამცხვარი ჰქონდა, რაც უჩვეულო რამ იყო იქაურებისათვის ამ პირობებში. კაკოს სმის დროს ბაასი გამოცოცხლდა.

—სხვა, როგორა სცხოვრობთ, პეტრე პეტრესძევ, როგორ არის თქვენი ფოტოგრაფიის საქმე,—ჰკითხა გრიშამ,

—ფოტოგრაფია მუშაობს. თითქმის მთელი ინტელიგენციის სურათი გადავიღე, ეხლა რიგი ბურჟუაზიაზეა.

—ურიადნიკმაც გადიღო სურათი?

—სხვა კიდევ ვინ?

—გუშინ სურათი გადიღო მასწავლებელმა, მწვრალი ლოთობს, დროებით უარი სთქვა.

—თქვენ, აი, როგორმე მდაბიო ხალხი აიძულეთ სურათი გადიღოს. საჭიროა მათ ბაზში ფქვილი გამოართვათ,—უთხრა ვორონინმა.

—აუცილებლად. მე განგებ გადავიღე ჩემი მამასახლისის სურათი —ოჯახობითა, უფულოდ, რომ სურათი გამოჰკიდოს თავის ქოხში თვალსაჩინო ადგილზე და სხვები არ მოისურვებენ ჩამორჩენ მას: როგორ იქნება,—იტყვიან ისინი, —სამოილოვმა სურათი გადაიღო და ჩვენ რითი ვართ მასზე ნაკლები? ვფიქრობ, მაშინ მიმართავენ „ჩვენ მოწყალებას“.

—დიახ, საჭიროა როგორმე ისინი ჩავაყენოთ ჩვენგან დამოკიდებულ მდგომარეობაში, თორემ ღღეს ბურის შოვა თავსატეხ საკითხად გადაგვექცა. აიღეთ, თუ გინდ მაგალითად, ჩვენი მამასახლისი. ეხლა თებერვალია და მას ჯერ კიდევ არ შემოლეგია ძველი ბური. ამასწინად ვიყავი მასთან ბურის საყიდლად და ხელცარიელი კი გამოვიშვა, „არა, ბიძია, ბურს ვერ გავყიდი, თვითონ მესაკეიროება“-ო—მიპასუხა მან. იგი ორ წელსაც ვერ მოერევა, იმდენი ბური აქეს და რატომ არ მომყიდე?

—ძვირად უნდა გაყიდოს გაზაფხულზე, აქ ასე იციან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—დიახ, თუ ძვირად გაყიდის მაშინ სიამოვნებით დაგთანხმდებათ. აბა, როდესაც ჩვენ ვჭირდებით მაშინ პურს ხომ თვალის უმალ გააჩერენ. აი, ამ ზეფხულს, როდესაც დაგვიძახებენ სამუშაოზე, ყველამ ასეთი პირობა დაუდვეთ: გასამრჯელოდ პური მოგვეცით, თორემ, წინაღმდეგ შემთხვევაში, არც ერთ მუშასაც არ მოგცემთქო.

—აუცილებლად რამე მაგგვარი უნდა გამოვიმუშაოთ, თორემ ახლა დაგვიანიან კიდეც,—შენიშნა გრიშამ, რომელსაც ხმაში აღშფოთება დაეტყო.—როდესაც მე ვიყავი ეკონომათ, ერთი აქაურთაგანი დამეთანხმა მოეყიდა ჩემთვის ორი ფუთი ფქვილი. საქმეს ტომრები აბრკოლებდა მხოლოდ. წამოვედი, რომ სახლიდან ტომრები წამეღო. დავბრუნდი უკანვე მასთან და იგი კი მეუბნება: „მე, ბიძია, გადავიფიქრე". გადაიფიქრა და ეშმაკმაც ზიდოს მისი თავი! ჩვენ კი, კომუნაში უკვე მეორე დღე იყო, რაც თითო წეგრზე თითო გირვანქა პურს ვარიგებდით, ხოლო იმ დღეს სულ აღარ გვქონდა პური. მე ისე მიცდიდენ, როგორც ცის მანანას, იმან კი, ერთი შეხედეთ, გადაიფიქრა პურის გაყიდვა?

პეტრე პეტრეს-ძმე გაიცინა.

—არა, იგი კი არ დაგცინოდათ, ისინი ყველანი ასეთებია.—დაგთანხმდება, დაგპირდება, მაგრამ შემდეგ უკან იხევს, გადათქვამს. ისინი სიტყვაში უნდა დაიჭირო. თუ დაგეთანხმა მოგყიდოს, იმ წუთშივე ბელელში უნდა წაიყვანო, სანამ მის ქალს არ გაუგია ეს ამბავი,

სოლომონი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მაგიდას უჯდა, ფეხზე წამოდგა, კაკაოიანი ჭიქა ფანჯარაზე დასდგა და დაიწყო ბოლთას ცემა.

—ყველაფერი ეს ძლიერ მოსაწყენია,—წამოიძახა მან გაცხარებით.—პურის საკითხი? ეს ათასჯერ გადაღეჭილი პროწყია. სულ სხვაა გაქცევა. ეს გადაჭრაა ყველა საკითხებისა. არა, აღარ შემიძლია მეტი მოცდა. თუ ძმამ არ გამომგზავნა შეპირებული ფული და პირადობის მოწმობა, სულ ერთია მაისში გავიქცევი. სამ მანეთიანს ჩავიდებ ჯიბეში და გავუდგები გზას.

—სოლომონ დავითის-ძე, ბრძანი თაროზე დეეს,—დაცინვის კილოთი უთხრა მას გრიშამ.

—ეს, რა უნდა გითხრათ თქვენ...—ჩაიქნია ხელი სოლომონმა.

—სოლომონ, ეს არ იქნება საკითხის გადაჭრა,—განაცხადა ვორონინმა,—ესე იგი, შეიძლება გადაჭრაც იყოს, მაგრამ მხოლოდ თქვენთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავწყვიტოთ საკითხი კოლექტიურად. როდესაც შევაგროვებთ 50 მანეთს, გავყოდოთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება, და ყველანი ერთად გავიქცეთ.

—ციხიდან ციხეში მოგზაურობის დროს ექვსი კაცი ვიქნებით ერთად და აღარ მოგვეწყინება ამიტომ მეც ვუერთდები წინადადებას,—სთქვა გრიშამ, როდესაც დასრულა კაკაოს სმა და ცხვირზე სათვალეები გაისწორა.

—რომ შემდეგ ექვსივენი ეტაფით ისევ ჩამოგვიყვანონ ანგარის რაიონში, რათა უმახლობელეს გაზაფხულზე ამავე საკითხის გადაწყვეტას კოლექტიურად შევუდგეთ.

—ჩვენ ორი პირადობის მოწმობა გვაქვს ექვს კაცზე,—განაგრძო ვორონინმა. ჩვენის აზრით, ორი გავუშვათ და გზა დავულოცოთ, ხოლო ამასთან სიტყვა ჩამოვართვათ, რომ მოწმობებს უკანკე გამოგვიგზავნიან, ან ახალ მოწმობებს გვიშოვნიან.

—პრაქტიკული წინადადებაა,—ირონიით ჩაურთო სიტყვა ბეზბოროდკომ.—ვამოგზავნოს მოწმობა, რომელითაც გაეწერა, მოეწყო და ყველანი იცნობენ მას. თუ გაქცეულები გადურჩენ ხიფათს გზაში, ჩვენ ვავალებთ მათ ეს ხიუთი შეიხვედრონ დანიშნულ ადგილზე მისვლისათანავე.

ვორონინს სურდა პასუხი გაეცა თავის ოპონენტისათვის, მაგრამ მას დაასწრო სოლომონმა.

—ყველას ხომ არ სჭირია პირადობის მოწმობა. შენ, კინდერ, მაგალითად, გაიქცეოდი უპასპორტოდ?

—გავიქცეოდი,—ბოხი ხმით დაიძახა იანმა.

—იანის მდგომარეობა სულ სხვანაირია,—უპასუხა ვორონინმა. მას არას დროს არ შეუწყვეტია კავშირი ამხანაგებთან. ბალტიის მხრის ოლქში განუწყვეტლივ მუშაობენ ორგანიზაციები. მისთვის საჭიროა მხოლოდ როგორმე მიაღწიოს იქამდე და იქ კი ყველაფერი მოეწყობა. ჩვენთვის კი მთავარი დაბრკოლება ადგილობრივ არის. ყოველივე მინგრეულ მონგრეულია, ძველები დაქსაქსულნი არიან, გამოცვლილნი, ან დაპატიმრებულნი, ან და გადასახლებულნი. მხოლოდ პროვოკატორები დასეირნობენ არხეინად.

—დიახ, ლატვიაში მართლაც სხვა მდგომარეობაა, ვინემ ჩვენში,—მწუხარებით დაეთანხმა სოლომონი.

—ტალღა დასცხრა, და ეხლა ჩვენ აღარავისათვის საპირონი აღარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართ. როგორც დაჭრილები, ისე მიგვატოვეს ბრძოლის ველზე და კიდევაც დაგვიგიწყეს. მაგრამ მაინც მივწვდებით მათამდე. თუ უნდა ვიშიმშილოთ, ან დავეცეთ ბრძოლაში, უკეთესია ვიშიმშილოთ რუსეთში, ან საზღვარგარეთ, ვინემ აქ.

—არ გირჩევთ ასე დაუჩქაროთ წასვლა, მეგობრებო,—ჩაერია ლაპარაკში პეტრე პეტრეს ძე წყნარი ხმით.—როდესაც ჩვენ, გადმოსახლებულნი, ჟურნალს ვსცემდით, მე სხვათ, შორის ვაწარმოებდი გაქცევათა და მათი შედეგების სტატისტიკას. აი ცნობებიც—მომისმენეთ. ორი წლის განმავლობაში ჩვენი და მახლობელი ორი თემიდან გაიქცა 36 კაცი. მათგან ოცდათის შესახებ სარწმუნო ცნობები მოგვეპოვება, სახელდობრ: 9 საზღვარგარეთია, ჩვიდმეტი ჩავარდა. აქედან ნაწილი უკვე ეტაფით ჩამოიყვანეს უკანვე, და მხოლოდ ოთხი-ღა დაეხეტება ეხლა სადღაც, თუ უკვე დაჭერილები არ არიან. მაშასადამე, ფაქტიურად, გაქცეულნი ნაწილდებიან ციხისა და საზღვარგარეთს შორის. რას იტყვით თქვენ ამაზე?

—მე თქვენ გეკითხებით,—მიუბრუნდა სოლომონი სტუმარს და გაჩერდა მის წინ, ამ სტატისტიკის შედგენამდე რამდენი ხანი დაჰყოფით გადასახლებაში?

—წელიწად ნახევარი.

—მაშ, თქვენ ძლიერ მაკვირვებთ, რომ არ გაიქეცით ამდენი ხნის განმავლობაში!

ვორონინმა გადმოყარა გაზეთის ფურცელზე მთელი მარმელადი და წინადადება მისცა დამსწრეთ შექცეოდენ მას; თან მიუბრუნდა სტუმარს და ჰკითხა:

—აი თქვენ, პეტრე პეტრეს ძეო, მოგვიყვანეთ ჩვენ გაქცეულთა ხელახლა ციხეში ჩავარდნის სტატისტიკა. მაგრამ ბევრი მათგანი ხომ მის შემდეგ ჩავარდა, რაც ცოტა თუ ბევრი იმეშავა. ეს კი ბევრ რამეს ნიშნავს. თუ ჩვენგან სულით ეცემიან საზღვარგარეთ, ან გადმოსახლებაში, ან მეშჩანურ ცხოვრებას ეტარებენ, სამაგიეროდ პარტიული მუშაობის დროს, ან ციხეში, ასე არ დაქვეითდებიან. მაშასადამე, ქეშმარიტი სახის შენარჩუნება შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ ამ გზით და, რამდენადაც ეს ჩვენზეა დამოკიდებული, უნაყოფოდ შეიძლება არ დავკარგოთ დრო. გარდა ამისა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ითქვას შემდეგიც: თქვენ, პეტრე პეტრეს ძეო, ებრძვით და ზიზღით იხსენიებთ რენეგატებსა და ყოველი ჯურის ლიკვიდატორებს. ჩვენც ასევე ვექცევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს რენეგატებს. მაგრამ რითი ღა ვართ ჩვენ უკეთესი ლიკვიდატორებზე, თუ კი განვაგრძობთ გადასახლებაში გულხელ დაკრეფილი უსაქმოდ ჯდომას მაშინ, როდესაც ჩვენი პარტიისათვის ყველაზე მეტად კრიტიკული მომენტია დამდგარი. ეს იგივე ლიკვიდატორობაა, მხოლოდ პატივსაცემ მიზეზის—გადასახლების—ნიღაბ ქვეშ ამოფარებული. რითი შეგვიძლია ჩვენ დავამტკიცოთ, რომ, თუ არა გადასახლება და ციმბირი, ჩვენ ეხლა რუსეთში გულხელდაკრეფილი და დაჩუმებული არ ვიქნებოდით...

გრიშა და სოლომონმა ერთად დაიწყეს ლაპარაკი. მაგრამ სიტყვა დარჩა სოლომონს, რომელიც, როგორც სამხრეთის ტემპერამენტის კაცი, ასეთ შემთხვევაში სიტყვას ვერავის სხვას ვერ დაუთმობდა ხოლმე.

იანი, რომელიც შეშის მოსატანად იყო წასული, დაბრუნდა და შემოიტანა ქოხში ერთი შეკვრა ფოთლებიანი ფიჩხი, რაც მან დიდის ხმაურით დაყარა იატაკზე—ღუმელის წინ. ფიჩხი შეყარა „ჰოლანდიურ“ ღუმელში, სადაც მხოლოდ ნაკვერცხლები ღა დარჩენილიყო და ჩაუქრობელი ცეცხლი კვლავ აგიზგიზდა. ღუმელის გახურებულ მილის ნახვრეტებში გაიელვა ალის სინათლემ და ფეჩი აგუგუნდა. ბეზბოროდკომ მუქში ჩაიყარა მარმელადი, წამოწვა ლოგინზე და დაიწყო მათი ერთი მეორეზე ღეკვა.

ეკონომმა დიღის წვალებით გაჰყო ორი ფოროთოქალი შვიდ ნაწილად და შესთავაზა იგი ამხანაგებს. ჰალვასაც ეს ბედი ეწია. რამდენიმე წუთს ბაასი შეჩერდა იმ სანოვაგეზე, რომლის მომაგონებელიც ეხლა ამანათის ყუთი-ღა იყო. მსჯელობდენ საზამთროს გემოს, სამხრეთის ნესვების სურნელების, ხილის მარგებლობის შესახებ. ყველანი იმის შესახებ, რაც ეხლა მათთვის შორეული და მიუწდომელი იყო.

— დიახ, ბევრი კარგი რამ არის სამხრეთში,—სთქვა სოლომონმა, —კარგი ყურძენი იცის ყირიმშიო,—ამბობთ თქვენ, და მე კი ისევ იმაზე ვფიქრობ, როგორ გავიქცე; გემრიელი ნესვებიაო,—ღნდა გავიქცე; იაფი ატმებიაო,—უნდა გავიქცე და რაც შეიძლება საჩქაროდ.

—სამაგალითო ციხეებია,—უნდა გავიქცე,—ხუმრობით ჩაურთო გრიშამ.

—დიახ, თუ ციხეში უნდა ვიჯდე, უკეთესია ვიჯდე იქ, ჩვენ შინ, სამხრეთში—შედარებით უკეთესად მოწყობილ ციხეში, ვინმე ციმბირის რომელიმე სანაგვე ორმოში.

—მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა, პეტრე პეტრეს-ძე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორ უყურებთ თქვენ იმ საკითხს, რომელშაც ჩვენ შორის უთანხმოება გამოიწვია.—ჰკითხა ვორონინმა.

— არ ვიცი, დამეთხოვეთ. მე ვფიქრობდი, რომ ჩვენ უკვე მოვრჩით ამ კითხვას.

— თქვენი აზრი არ გამოგითქვამთ.

— მართლა? გვიბოძეთ თქვენი პირადობის მოწმობა...—სთქვა სოლოომონმა.

— არ მინდოდა ლაპარაკი... მე სავსებით ფაუსტს ვემსგავსები, ხოლო თქვენს შესახებ იძულებული ვხდები მუდამ მეფისტოფელის როლში გამოვიდე. არ ვიცი, რა აზრის ჭეშმარიტება, მაგრამ ამ შემთხვევაში ვეთანხმები გრ. გოლ პავლეს-ძეს.

პეტრე პეტრეს-ძე მივიდა კედელთან და დაუწყო თვალიერება ჩამოკიდებულ ფოტოგრაფიულ სურათებს. დიდხანს უცქეროდა იგი ერთ მელანქოლიური გამომეტყველების ასულის სურათს, რომელიც ფანჯარასთან იდგა, თითქოს რაღაცას იგონებდა. შემდეგ ღუმელთან მივიდა, ხელი მოითბო გახურებული ღუმელის მილზე და უკვე სხვა კედლთან განაგრძო.

—რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს გარდამავალი ხანა თვითგანვითარებისათვის? შეიძლება ადამიანი ამ საქმესაც დიდი აღფრთოვანებით შეუდგეს და ისე შეეხეოთ მას, როგორც პარტიულ მუშმობას. დამეთანხმეთ, რომ ყველა პარტიული მუშაკების, რ.გორც ჩვენის, ისე თქვენს, ცოდნა მეტად ღარიბია. თქვენებს ეკონომიურ სფეროდან მაინც ცოტად თუ ბევრად რაღაცეები წაუკითხავთ, ჩვენებს კი ესეც არა აქვთ. ხოლო მოთხოვნილებებს ეხლა უფრო მეტს გვიდგენენ, ვინემ წინად. ენციკლოპედისტი უნდა იყო კაცი, რომ ყველა მათგარი კეთილსინდისიერად დაკმაყოფილო, ხოლო ჩვენებსა და, თუ გინდ, თქვენებს შორის, რას ეხვდებით ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე? უმეცრების ენციკლოპედიას და მეტს არაფერს. ვკმაყოფილდებით საერთო ფრაზებით, ხოლო თუ საჭიროთ დავინახეთ, თითონვე ვთხზავთ... რევოლიუციის სასახელოდ. რაც მართალია, მართალია: ყველა ჩვენ დაავადმყოფებული ვართ უსაფუძვლო განსაზოგადოებისაკენ მიდრეკილებით..

—ძალიან ცუდია და ძნელი ძმიერ კუჭით მეცადინობა,—უპასუხა სოლოომონმა.—თავი არ მუშაობს და ჩქარა იქანცები. აი, მე ეხლა აღარ შემიძლია მეტის ჭამა, ყელამდე მაძღარი ვარ, მაგრამ თითქოს მთელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვალრბილში სიმშილი მაქვს გამჯდარი. გაიღვიძ ორი-სამი საათი და ისე ვიგრძნობ თავს, თითქოს დილიდან არაფერი მეჭამოს. ყოველგვარი თეორიული ინტერესი იკარგება, თავში ახალი აზრი არ ილვიძებს, ხოლო თუ ერთი გემრიელად გამოძახი, რაც ჩვენში ძალიან ი შვიათად ხდება,—ყველაფერი ერთბაშად გამოიცვლება, ახალი ენერგია ებადება ტვინს. გინდა იკითხო, დაიწყოთ აზროვნება... გეფიცებით, ასეთ პიროებებში კაცი შეიძლება უფრო ჩქარა გამოსულელდეს. დაივიწყეს იმასაც კი, რაც იცოდი, თორემ ახალს ვერაფერს ვერ შეიძენ. დაწყველილი ცხოვრებაა, ეშმაკმაც დალახვროს იგი!

— უნდა მოვწყოთ უფრო საფუძლიანად, თორემ თქვენ ისე ცხოვრობთ, როგორც სამგზავროდ განმზადებულ ბანაკში. არაფერს არ იმარაგებთ თავის დროზე, ხელიდან უშვებთ ხელსაყრელ შემთხვევას სანოვაგის საყიდლათ, ყველა ხელოვნით არ სარგებლობთ. პური უნდა იყიდოთ შემოდგომაზე და ორასი ვერსის შიშორეზე აქედან—მდინარის პირას. ნანადირევი შემოდგომაზე უნდა დაგეშაშხათ, როდესაც იგი მრავლად მოგეთოვებოდათ, აგრეთვე დაგემარილებიათ თევზი, სოკოები. თქვენ ახლა შეშა თითქმის არა გაქვთ... შეშა გაზაფხულზე უნდა დაგეხერხათ, როგორც ამის აქაურები სჩადიან. თორემ ეხლა თქვენ ცხენსაც კი არავინ განდობს, რომ ასეთ თოვლში ფიჩხი მოზიდოთ. თრითინას სეზონი ხელიდან გაუშვით შემოდგომაზე, თორემ თქვენ, მონადირეებს ამაზე შეეძლოთ ასი მანეთი მაინც ეშოვნათ. შესაძლებელია საკუთარი ბოსტანის გაშენებაც მშვანილისათვის. განა ცოტა რამის გაკეთება შეიძლებოდა?

—კი, მაკრამ, თრითინასათვის ცოტა რამ წინდაწინვე უნდა მოამზადო,—უპასუხა ეკონომმა ისეთი კილოთი, საიდანაც იმის გამოყვანა შეიძლებოდა, თითქოს ამ საკითხზე კომუნაში უკვე იყო მსჯელობა.—უნდა იყიდო კარგი ძაღლი, ხოლო თუ ორი კაკი დადის სანადიროთ, მაშინ ორი ძაღლია საჭირო. ხოლო ამას კი თხუთმეტი მანეთი მაინც დასჭირდება. სეზონის დასაწყისში კარგ ძაღლებს არავინ ვაყიდის, მაშასადამე, უნდა იყიდო რამდენიმე თვით ადრე და შენახო, აპამო-გამოზარდო. ჩვენ კი საკმაო პური ჩვენთვისაც ვერსად გვიშოვია. გარდა ამისა საჭიროა წრიალები ორი კაცისათვის. ამასაც, დაახლოვებით, ათი მანეთი დასჭირდება. უნდა გაკეთო საზამთრო გომური ტაიგაში. ხოლო ამისათვის ისევ ფულები და დროა საჭირო. აგრეთვე უნდა მოიმარაგო გამხმარი პური მონადირეთათვის და ფქვილი ძაღლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისათვის. ყოველივე ეს ტაიგაში უნდა წაიღო, ესე იგი, იქირაო ცხენი. ერთი სიტყვით, ბევრი რამ არის საჭირო, და ჩვენ რომ ყოველივე ამისათვის საჭირო ფული გვქონდეს, უკეთესი იქნებოდა ორი კაცი მოგვემზადებია და გაგვექცია.

—ესეც არ იყოს, პსიქოლოგიურათ, მაგალითად, ჩემთვის მიუღებელი ნა წარმოუდგენელია ის, რასაც თქვენ გვეუბნებით,—განაცხადა სოლომონმა.—რომ ერთი წლისათვის შეშა მოიმარაგო, დარწმუნებული უნდა იყო იმაში, რომ აქ ერთ წელიწადს იცხოვრებ. მე კი მარჩენია გავიყინო და ვიშიმშილო, ვინემ ამ აზრს შეურიგდე.

—დიახ, ბევრად უფრო ადვილია იცხოვრო ასეთ პირობებში ორი წელიწადი და ფიქრობდე კი, რომ, აი, ერთი თვის შემდეგ დასტოვებ აქაურობას,—გესლიანად შენიშნა გრიშამ.

— ყოველივე ის, რასაც თქვენ გვირჩევთ, პეტრე პეტრეს-ძეე,— განაგრძო ეკონომმა,—მეტად პრაქტიკულია. ჩვენთვის კი, პირიქით სრულიად მიუღებელია.

ჩვენ ვცხოვრობთ ისე, როგორც გასაქცევად გამზადებული ხალხი. ასეთ ცხოვრებას კი თავისი ლოდიკა აქვს. მოიგონეთ ისეთი რამ, რომ ჩვენ მოკლე ვადის განმავლობაში შევძლოთ ყველას გასაქცევად საჭირო თანხის შეკოფვება. მაშინ გეტყვით უფრმეს მადლობას. რაიცა შეეხება მეცადინეობას, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ციხეში მე გადასახლებაზე ვოცნებობდი ისე, როგორც უნივერსიტეტზე. მთელი პროგრამაც კი შევიმუშავე მეცადინეობისათვის. სხვათა შორის, გადაწყვეტილი მქონდა ხელ-ახლა ჩავჯდომოდი „კაპიტალის“ ყველა ტომების შესწავლას...

— ხოლო ურემი ისევ ურავად სდგას, არა?—დიმილით შენიშნა სტუმარმა.

— დიახ, კითხულობ „ფული—საქონელი—ფული“. ამ დროს გაგიელვებს თავში: კომუნალურ კასაში ფული ცოტაა და რა კარგი იქნებოდა, რომ ახლო მომავალში მისაღებ ფოსტას თან მოყვეს ერთი სტერლინგიც. კითხულობ „პურის კანონები“, ხოლო თავში კი სულ სხვა რამ ტრიალებს: პურიც გველევა... ნეტავ სად შეიძლება ვიყიდოთ... „100 კოდი ხორბალი“, და თან ფიქრობ: კარგა ხანია, რაც ხორბლის პური არ გვიჭამია. რა კარგი იქნება, რომ ეხლა მოგვცა იგი და მასთან კარაქიც. . და ასე, ამ რიგად, ორმაგი ბუხჰალტერიაა. ყოფნა განსაზღვრავს შეგნებას,—ვერაფერს ვერ იზამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ნათქვამია სოციალური ყოფნის შესახებ,—წაიბუტბუტა ბეზბოროდკომ.

— ფიზიოლოგიურ ყოფნაზედაც შეიძლება ითქვას,—წაეხმარა სოლომონი.—განა მარტო ხორბლის, პურის აზრი იქრება თავში? იმავე „კაპიტალში“—გადაფურცლავ თავს: „დედაკაცის შრომა“ და... სოლომონმა ხელი ჩაიქნია და გაიცინა.

— და... განაგრძეთ სოლომონ დავითის-ძე, განა შეიძლება ასე შეუბრალებლად შესწყვიტოთ ყველაზე მეტად საინტერესო ადგილზე?—ეთხრა მას გრაშამ.

ქალთა საკითხში თითქმის ყველა კომუნარი მკაცრი პურიტანი იყო და გაუკბოდენ ამ საკითხის გადაჭრას ადგილობრივ მკვიდრთა ქალებთან ხანმოკლე ალიანსების საშვალებით. და შეიძლება სწორედ ამიტომ ხშირად იმართებოდა ხანგრძლივი საუბარი ქალთა საკითხის შესახებ. სულ უბრალო საბაბი: წაკითხული მოთხრობა, ცნობა ამა თუ იმ ამხანაგის შესახებ, რომელმაც გულის სტრფო ამოირჩია და სხვა —იძლეოდა დაულეველ მასალას გაცხარებული და ხანგრძლივი კამათისათვის. არჩევდენ ტურგენევის, დოსტოევსკის, ტოლსტოის და რუსეთის სხვა მწერლების ქალთა ტიპებს, მსჯელობდენ რევოლიუციონერთა შორის სიყვარულისა და ოჯახის საკითხების შესახებ. ექსკურსიას აკეთებდენ მომავლის საზოგადოებაში და სხვ. და ამ საუბარში, თვით მონაწილეთა შეუმჩნეველად, ერთგვარ გამოხატულებას პოულობდა დაუმაყოფილებელი მოთხოვნილება სიყვარულისა.

— ვითომდა რაო,—უპასუხა სოლომონმა გრაშას წაქეზებაზე.—ჩვენს თემში 25 პოლიტიკურია და არც ერთი ქალი; მეზობელ თემში —30 პოლიტიკურზე—ერთი ქალია და ისიც ამხანაგის ცოლი. სავსებით გასაგებია, რომ ყოველგვარი მრუშება იბუდებს თავში. ვცხოვრობთ აქ როგორც რაფაც მახინჯები. ძალადობას ვხმარობთ ჩვენ საკუთარ ბუნებაზე და ყველაზე ცუდი ის არის, რომ მორალურად მარცხენები ვართ, როცა ასეთ ძალადობას მივმართავთ. გამოსავალი კი ორგვარია მხოლოდ: ან უნდა გავიქცეთ აქედან, უკან მიუხედავად, იქ, სადაც შეიძლება შეეხვედეთ ქალსა და ამხანაგს, შევიყვაროთ იგი და ადამიანურად გადავსწყვიტოთ ეს საკითხი, ან და უნდა ვისხდეთ აქ და უცადოთ იმას, სანამ სქესობრივი ინსტიქტის გავლენით როველიმე დუნიაში თქვენს გონებაში არ მიიღებს მშვენიერ ელენეს სახეს. მაშასადამე საჭიროა გასულელება. არ მინდა გასულელება, არა მსურს! გავიქცეთ, გავიქცეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინტელიგენტურ ქალთა ქვეყანაში,—ჩაურთო სტუმარმა.

— ამხანაგი ქალების ქვეყანაში,—გაუსწორა მას სოლომონმა.

— მართლაც და მშვენიერ ელენეთა და იაფ ფორთოქლების ქვეყანაში...

დროა, ძმავ, დრო.

იქიდან, სადაც მონავარდობს ტაიგებში ანგარა,—იქ"... ტენორის ხმით დაიწყო ვორონინმა, ოგრომ მას ხმა ჩაუწყდა მაღალ ტონზე.

— როგორ უყურებთ თქვენ აქაურ ქალებთან ვანსაზღვრული კავშირის დაჭერის საკითხს,—განაგრძო საუბარი ვორონინმა.—დასაშვებად მიგაჩნიათ თუ არა ასეთი კავშირი?

— მე ვფიქრობ ასე: თავის შეკავება—იდეალია, ხოლო ვისაც ეს არ შეუძლია,—მას არ დაუწყებენ გასამართლებას.

—საინტერესო იქნება მოვაწყოთ ანკეტა ჩვენ კომუნარებს შორის. თქვენ, გრიშა, როგორ ფიქრობთ?

—ესე იგი, რას?

—მომხრე ხართ ამურის კავშირისა აქაურ ქალებთან თუ არა?

—არა ვარ მომხრე...

—თქვენ, კინდერშტიმეი?

—მეკ წინააღმდეგი ვარ.

—სოლომონ, თქვენა?

—თუ ამ გაზაფხულზე არ გავიქეცი, მაშინ მომხრე ვიქნები.

ყველას გაეცინა.

—გავყვეთ ქვევით. შენ, კადო?

—მეც მომხრე ვარ.

—რასაკვირველია, შენ ჯერ კიდევ ოქტომბრიდან იყავი ამის მომხრე.

გრიგოლაძე მთლად გაწითლდა და ჩუმად ჩაიცინა. ყველას გულიანად გაეცინა, როდესაც მისი შეშფოთება შენიშნეს.

—ამ რიგად, დასკვნა გამოვიყვანოთ,—სთქვა სოლომონმა,—ოთხი წინააღმდეგია, ერთი მომხრე, ერთმა თავი შეიკავა.

ამანათიდან სუფრაზე დარჩა მხოლოდ გამქუნარი ყურძენი და—ნაზი სურნელება სურნელოვანი წყლისა ჰაერში. ვიღაცას მზრუნველ ხელს სურნელოვანი წყლის რამოდენიმე წვეთი მოეკურცხა ამანათის ყუთში, რათა ამით მოეგონებია მთთვის ზორეული სამშობლო. ეკონომმა, მიუხედავ-თ ბეზბოროდკოს პროტესტისა, მაგრამ სხვათა დასტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით, დაიწყო გამჭკნარი ყურძენის თბილ წყალში გარეცხვა. დაანაწილა იგი და შესთავაზა დამსწრეთ მიერთმიათ იგი ამანათის გამომგზავნელის სადღეგრძელოდ. ყველას მოეწონა ეს აზრი, მაგრამ ბეზბოროდკომ მაინც შენიშნა, რომ სადღერგრძელოს კი არ მიირთმევენ, არამედ სვამენ. კომუნაში მხოლოდ ის არის ერთი, რომელიც არ სულელობს და სვამს. ყველა დანარჩენი კი არ სვამენ და ამიტომაც მისი წინადადება უარყვეს. მართალი რომ ვსთქვათ, ეს წინადადება არც კი განუხილავთ, როგორც არა სერიოზული წინადადება. ამას გარდა ბეზბოროდკომაც ისე, უბრალოდ შემოიტანა წინადადება და არც კი ჰქონებია არავითარი იმედი მისი მიღების, ვინაიდან კომუნის თანხები ასეთი ფუფუნების ნებას არ იძლეოდენ.

—ამხანაგებო, ისიც საინტერესოა, თუ რომელი თქვენთაგანი, აქ მსხდომთა შორის, პირველი მოხვდება ციხეში,—იკითხა ვორონინმა.

—ვინც პირველი გაიქცევა, პირველადაც იგი მოხვდება ციხეში,—სთქვა გრიშამ.

—ე. ი. თქვენ გინდათ სთქვათ, რომ სოლომონი?..

—დიახ, თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში.

—არა, მე არ გეთანხმებით, პირველათ „ბალღი“ მოხვდება ციხეში,—წამოიძახა ბეზბოროდკომ.

—შეიძლება. ფიზიონომია არა ლეგალური აქვს,—მხარი დაუჭირა მას სოლომონმა და გადახედა ვორონინს. ყველამ თვალები მიაპყრო მათთვის კარგად ნაცნობ ეკონომის სახეს, რათა შეემოწმებინათ განსაზღვრის სისწორე.

—სოციალ-დემოკრატიული ფიზიონომიაა, თითქმის უხეში სოციალ-დემოკრატიული,—დეთანხმა გრიშა.

მაგიდაზე დადგეს ადუღებული ჩაინიკი, რომელშიაც ჩაეყარათ აგურის ჩაი. ქონიანი ჩაი. ქონიანი და მარილიანი მოხრაკულის შემდეგ, ყველას სურდა ჩაის დალევა. ჩაის სმის დროს საუბარი ისევ თავს დასტრიალებდა გადასახლებულთა ცხოვრების უარყოფით მხარეებს, იმას, თუ როგორ ჩლუნგდებოდა გონება ცხოვრების ერთფეროვან პირობებში, როგორ ჩხუბობდენ სულ უბრალო რამეზე უახლოესი მეგობრებიც კი, როგორი ავადმყოფური ენერგია ადიდებდენ ერთმანეთის სულ მცირეოდენ ნაკლსაც კი და ივიწყებდენ მეტად ეშვიათ და ძვირფას დადებით თვისებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—თქვენ ხარ ამ მხრით შესანიშნავად სცხოვრობთ,—სთქვა პეტრე პეტრეს-ძემ.—თქვენ უნდა გენახათ, როგორ ვცხოვრობდი მე აქ პირველ წელიწადს. ჩვენ ვიყავით სამი პოლიტიკური. ერთს ბოიკოტი გამოუცხადეთ ხულიგანური საქციელისათვის. იმას თქვენ იცნობთ. მეორე, სოც.-დემ. კურგანოვთან ერთად—ჩვენ ორივენი შევადგენდით მთელ პოლიტიკურების კოლონიას. რა არის კინკლაობა, თუ ჩხუბი, როდესაც ბევრნი ხართ. ერთს თუ არა სცემ ხმას, სამაგიეროთ მეორეს დაელაპარაკები. ჩვენ არც კი შეგვეძლო ერთმანეთს წაკიდებოდით, როგორც ეს შესაძლებელია, რადგან ასეთი რამ ჩვენთვის მიუღწეველი ფუფუნება იყო. თუ წაეკიდები, ვიღასთან ვინდა დარჩე, ვის გაუზიარებ ახალ ამბებს, წერილის შინაარსს. ვისთან გეძნება მსჯელობა გაზეთებში ამოკითხული ცნობების შესახებ და საერთოდ, ვისთან უნდა იგრძნო შენი თავი, როგორც ადამიანი? იგი დაიწყებდა ესერების დაცინვას, მე კიდევ, ჩემის მხრით, ესდეკებს დავცინოდი. ხოლო როგორც კი საქმე მივიდოდა განვითარების უმაღლეს წერტილამდე და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობამდე,—მაშინვე ორივენი უკან დახევას ვიწყებდით. ასე ვცხოვრობდით მთელი წლის განმავლობაში პოლიტიკურების ახალი პარტიის ჩამოყვანამდე.

—როდესაც თქვენ შესაძლებლობა მოგეცათ საბოლოოთ წაკიდებოდ-თ ერთმანეთს, არა?—ჰკითხა გრიშამ.

—არა, ჩვენ დავცილდით ერთმანეთს, როგორც მეგობრები, ვინაიდან იგი ჩქარა ამის შემდეგ გაიქცა, მაგრამ კიდევ უარესი მდგომარეობა მქონდა, როცა ერთი ზამთრის განმავლობაში სოფ. ტაეფნაში მე ვამაცადინებდი გლეხთა ბავშვებს. არავინ ამხანაგი არა მყავდა. სოფელში ოცდა ათი ქოხი იდგა. თავი მომაბეზრეს ადგილობრივმა გლეხებმა თავისი თრითინათი, ხაფანგებით, ნადირობით, ისევ თრითინათი, ხაფანგებით და სხვა. და აი, დამიდგებოდა თითქოს ისეთი ხანა, განსაკუთრებით საღამოობით, როდესაც არაფრის გაკეთება არა გსურს: არც მუშაობა, არც კითხვა და არც წერა. მაშინ წამოვდგებოდი, ჩავიცვამდი ძალიან თბილად, წელში წალდს გავირჭობდი, მხარზე თოფს გადავიკიდებდი და გავსწევდი ტაიგაში. ავცოცდებოდი რომელიმე გორაკზე, მოვჭრიდი რაც შეიძლება მეტ ფიჩხს, გავაჩაღებდი დიდ ცეცხლსა, უთავბოლოდ ვწვავდი ნაძვის თუ ფიჭვის ტოტებს, ვაქცევდი ტყეს, ერთორაჯერ გავისროდი თოფს ამ ტაიგის თვალუწვდენელ სივრცეში და თითქოს გულსაც მოეშვებოდა. შინ გვიან ვბრუნდებოდი და როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდარს ისე ჩამეძინებოდა. და ასე გრძელდებოდა, როდესაც სკვდის ახალი ტალღა მომაწვებოდა.

კედლის საათმა, რომელიც ძველი, 90-ანი წლების პოლიტიკურ-რების მემკვიდრეობა იყო,—დაჭკა რვა და დაარღვია ის დუმილი, რომელიც ჩამოვარდა პეტრე პეტრეს-ძის მიერ თავისი ისტორიის მოთხრობის შემდეგ. მთელი ამანათი განადგურებული იყო, ასე რომ ნამ-ცეცებიც კი არსად დარჩენილა. დარჩა მხოლოდ კაკაოს ნაწილი ბან-კაში, რომელიც ეკონომმა, სუფრიდან ქალალდების ალაგების შემდეგ, შამოდვა თაროზე, რომელიც მათ შკაფის მაგიერობას უწევდათ. მაგიდა დაცარიელდა. მოგონებანი სამშობლოს შესახებ, რომელიც გამოიწვია სამ-ხრეთიდგან მოსულმა ხილმა, ვიდრე იგიმაგიდაზე ელაგა, უეცრად გაქარ-წყლდა, როდესაც მაგიდის ცალიერი ფიცრები გამოჩნდა. მათში გაი-ღვიძა და თვალწინ დაუდგათ მთელი თავისი სიძლიერით, ეხლა უფრო აშკარად, ვინემ ოდესმე, ჩვეული წრიდან მოწყეტილობის გრძნობამ, საკუთარი გამოუსადეგარობის შეგნებამ, დასასრულ, ვიწროობის თითქ-მის ფიზიკურმა გრძნობამ. მტანჯავი და მოსაწყენი სივიწროვისა ამ უსაზღვრო ტაიგის სივრცეში, იმ სივიწროვისა, რომელსაც იცნობენ მხოლოდ ისინი, რომელნიც თავისუფლად სუნთქავენ მხოლოდ ადამი-ანია ჯგუფების დუღილში, ვინც ნორმალურად სუნთქავს მხოლოდ თავისსავე მსგავსთა ასეულებისა და მილიონების ატმოსფერაში. ასეთ გრძნობათა მთელმა ჯაჭვმა შებოჭა დამსწრენი: რა იქნება ხვალ... ხვალ კი ისევ ის მომაბეზრებელი მსჯელობა შესახებ იმისა, თუ სად ვიშო-ვოთ პური, უკვე ყველასაგან მობეზრებული მეკვე პური, და ამასთან ყველას ცხვირჩამოშვებული ფიზიონომია, ჭკუაზე შემშლელი ზეიმობა და სხვ. ხვალ ჩვეულებრივი შეხუთული ჰაერი ამ ოთახისა გამოაძევებს აქედან ნაზ ქალურ სურნელებას სურნელოვან წყლებისას...

სოლომონმა აუჩქარა ბოლთის ცემას, ვორონინი და სტუმარი ჩუ-მად ახვევდენ თამბაქოს. იანი კვლავ შეუდგა ღუმელში ცეცხლის შეკე-თებას. ვორონინმა ლამპაზე მოუკიდა პაპიროსს, წამოდგა მაგიდიდან, ორჯერ მაგრად მოსწია პაპიროსი და დაიწყო:

—ხომ არ გავსწიოთ, ამხანაგებო, ეხლავ ანგარასკენ, გავაჩაღოთ ცეცხლი, როგორც ამას პეტრე პეტრეს-ძე სჩადიოდა ტაიგაში.

—სწორედ რომ ეგა სჯობს,—გაუხარდა სოლომონს, თითქოს იგიც ამასვე ფიქრობდა იმ წუთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მშვენიერი იდეა... წავიდეთ,—დაეთანხმნენ სიამოვნებით მას ვრიშა და სტუმარიც.

ყველა მოიცვა რაღაც შეღავათისა და მოლოდინის გრძნობამ, თითქოს გამონახულ იქნა გამოსავალი ამ ძმიმე მდგომარეობიდან. ყველა დაფაცურდა: დაიწყო მზადება.

—დუმელს რაღა უყოთ, ხომ არ ჩავაქროთ წყლით,—უცბათ მოაგონდა ეკონომს.

—მე დავრჩები,—გადაჭრით განაცხადა ბეზბოროდკომ.

—ძალიან კარგი. მაშ მომეცი შენი თბილი ფეხსაცმელები.

ვორონინმა გაეძრო ლოგინზე გაშხლართულ თავის მეგობარს „ვალინკები“ და თვითონ ჩაიცვა, ხოლო მისი წაღები კი იმ წამსვე ჩაიცვა სოლომონმა, რომელმაც თავისი ფეხსაცმელები ლოგინ ქვეშ შეუყარა. საერთოდ მთელი კამპანია მოგვაგონებდათ ფრანგების იმ ჯარს, რომელიც მოსკოვიდან უკან გარბოდა. სოლომონს ეცვა კარგი დრაპის პალტო, ხოლო თავზე ეხურა დაგლეჯილი თათრული ქუდი, რომელიც ცხვირამდე ჩამოეფხატა. სამგიეროდ გრიგოლაძეს ეხურა მშვენიერი კავკასიური ბუხრის ქუდი, ხოლო ეცვა პატიმართა ნაცრისფერი ფარაჯა, რომელზეც გარედან შემოჭირებული ჰქონდა ბამბის ხალათი, იანს წესიერი ტანსაცმელი ეცვა მხოლოდ მუხლებამდე, ვინაიდან ფეხზე ეცვა „ჩირკი“—ადგილობრივ გლეხთა ფეხსაცმელი, რომელიც ჩვენებურ ქალამნებს წაგავდა—პაიჭებით. ეს „ჩირკი“ მას იმ „ბოსიაკს“ ამსგავსებდა, რომელიც ლოთობისათვის ტანსაცმელის გაყიდვას ფეხსაცმელებიდან იწყებს. მხოლოდ გრიშას, როგორც თითქოს ბუნებრივ ციმბირელს, ჰქონდა გვარიანი ცხვრის ტყავის ქურქი და თრითინას ქურქისაგან გაკეთებული ქუდი. ამასთანავე, პეტრე პეტრეს-ძესაც, როგორც აქაური ძველებურ მოსახლეს, ყველაფერი სათანადო ეცვა. ვორონინმა ჩამოიღო კედლიდან დაჭანგული ორლულიანი ძველებური თოფი. იანმა წელში ნაჯახი გაირჭო და ყველანი ხმაურობით გაუდგნენ გზას.

—გაუაროთ ესერებს და ყველანი წავიყვანოთ,—წინადადება მისცა ამხანაგებს პეტრე პეტრეს-ძემ.

წინადადება მიიღეს. ქუჩებში ერთი სულიც კი არსად სჩანდა. თვითეული ქოხთან მგზავრებს ყეფით ხვდებოდნენ ძაღლები, რომელნიც გამოიწვევდენ რა მეზობელი ძაღლების ასეთსავე გამოხმაურებას, თავისი მოვალეობის შესრულების სრული შეგნებით, გარბოდენ უკანვე ქოხის მოფარებულ კუთხეში მოსაკალთებლად. თითქმის სოფლის განაპირა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბანში, უკანასკნელი ქოხის წინ, რომელიც სავსებით მოშორებული იყო სოფლის დანარჩენ ქოხებს და რომელიც წარმოადგენდა ესერების „ხუტორს“, ეორონინმა დასძახა თავისი მაღალი ტენორით: „ლრუჟნო ტოვარიშჩი ვნოგუ“ (რეეოლიუციონური სიმღერა). გრიშამ ხმა შეუწყო მას, იანმაც ბანი უთხრა, ხოლო სოლომონი აღფრთოვანებით ჩაერია სიმღერაში და, მიუხედავად იმისა, რომ ხან უცბათ ტენორის და ხან ბასის ხმაზე დაიწყებდა სიმღერას, მაინც აჩქარებდა სიმღერის ტემპს. პეტრე პეტრეს-ძე და გრიგოლაძე, ფელთაც ხმა არ ჰქონდათ, როგორც შეეძლოთ ისე მღეროდენ და ეხმარებოდენ საერთო სიმღერას.

დიდის ხმაურობით შეაღეს ქოხის კარები და მთელი ჯგუფი შეგრიალდა ოთახში. ისინი მაინც და მაინც არ ზრუნავდენ იმაზე, რომ სჩქაროდ მოეხურათ კარები, რათა არ გაეცივებიათ ოთახი. სიმღერის დაუთავებელი კუპლეტიც დაასრულეს და როგორც მეალილოვენი, ისე შეჯგუფდენ და გაჩერდენ.

გაკვირვებული ფიზიონომიით ათვალიერებდენ ოთახის პატრონები ამ მოულოდნელ სტუმრებს, კარებთან ყველაზე უფრო ახლოს იწვა ლოგინზე კომუნის ეკონომი მაზუროვსკი, ხახოლი, 30 წლისა, ყოფილი სემინარიელი, ზარმაცი და აუშფოთებელი წყნარი, ან აღმაშფოთებლად წყნარი, როგორც მასზე ამბობდა პოლიტიკურების ექსპანსიური ნაწილი. სტუმრების შემოსვლისას იგი არ ამდგარა, არამედ წამოიწია ლოგინზე და ნამძინარევი სახე მოაბრუნა კარებისაკენ. ამ მდგომარეობაში დარჩა იგი ბოლომდე და უცდიდა იმას, თუ რითი გათაყდებოდა მთელი ეს ისტორია. მეორე კომუნარი იყო ბერეზოვი ხოხოლი, 22 წლის ახალგაზდა გლეხი, სიმპატიური და გულუბრყვილო სახის ჭაბუკი. სტუმრების შემოსვლისას იგი ჩამოხტა რუსული დუმელიდან და ეხლა ჩამდგარიყო მათ შუაში, დოინჯი შემოეყარა და უცდიდა რა მოხდებოდა. მაგიდიდან წამოდგა მაღალ-მაღალი გამხდარი ჭაბუკი, რომელსაც გრძელი შავი თმები ჰქონდა და ნერვიული ინტელიგენტური სახე. მან გადახედა ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს, თვალი შეავლო თოფს, მერე იანის ნაჯახს და გაკვირვებით წამოიძახა: „ეს რა ივავია“. ეს იყო გრუშევსკი, ისეთივე „ტერმომეტრი“ ესერების კომუნისა, როგორც ესდეკებში იყო სოლომონი. მაგიდას უჯდა მეოთხე კომუნარი, ისიც ახალგაზრდა ჭაბუკი, ქერა სახის, ამაყი გამომეტყველების ადამიანი, რომელსაც წინა კბილი ამოვარდნილი ჰქონდა. წაღა, რომელსაც იგი აკერებდა, ისე შერჩა მას მარცხენა ხელში, როგორც ეკავა, ხოლო მარჯვენა ხელი კი უნებურად დაუშვა მუხლზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მოსულმა სტუმრებმა სიმღერა გათავეს, ყველამ ერთბაშად დაიწყო გამოკითხვა.

— ჩაიცვით, ეხლავ, საჩქაროდ და რაც შეიძლება თბილად,—გამოაცხადა ვორონინმა ისეთი კილოთი, რომელიც შეპასუხებას არ დაუშვებდა.

— ჩქარა, ჩქარა, მაზუროვსკი, ჩაიცვით სასწრაფოდ,—აჩქარებდა მას პეტრე პეტრეს-ძე. სხვა სტუმრებმა ხელი მოკიდეს კომუნარების ჩაცმის საქმეს.

— კაცო, რაშია საქმე. გაგვაგებინეთ ადამიანურად,—გაკვირვებით იკითხა მაზუროვსკიმ, რომელიც ადგილიდან არ იძიროდა.

— არა გვცალია, გზაში აგიხსნით, ეხლა კი დატრიალდით, ჩქარა.

კომუნარები საჩქაროდ მოემზადნენ და გამოჰყვენ ოთახიდან სტუმრებს, თან ოთახში სინათლეც ჩაქრეს.

— ეკატერინოსლავში,—გაისმა ლოზუნგი. „შალიტე, შალიტე, სკაჟენი კატი“ (ძაური სიმღერაა), დასძახა ვორონინმა, რათა ამით თავიდანვე ჩაება საქმის ვითარებაში ხოხოლები.

სიმღერა მწყობრად დააგუგუნეს ყველა მომღერლებმა, რომელთაც შემატათ ახალი ძალები. კარგი ტენორი პავლიუკა და ბარიტონი მაზუროვსკი. ამ უკანასკნელმა სიმღერა დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც პეტრე პეტრეს ძისაგან დიდის წვალების შემდეგ მიიღო განმარტება შესახებ იმისა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ამ მგზავრობას. მღეროდენ სწრაფად და სცდილობდენ სიმღერის ტემპი შეეფარდებიათ ფეხის ნაბიჯისათვის: გაყინულ თოვლს ხრაშუნი გაქონდა მათ ფეხებს ქვეშ. სიმღერის ხმა გაისმოდა სოფლიდან შორს, ხოლო დამფრთხალი ძაღლები ერთიორად აძლიერებდენ ყეფას და ღაღადს. მთავარი ქუჩის შუაგულში მგზავრებმა შეუხვიეს იმ პატარა შესახვევში, სადაც რამდენიმე ეზო უთავბოლოდ იყო ამართული. ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც გარს ერტყა, ნახევრად მინგრეული ღობე, მიაშურეს მოგზაურებმა. ამ ეზოს ფანჯრებიდან, არა მჭიდროთ მიხურულ დარაბებს შორის, გამოჭიოდა სანათლის შუქი. მიგნიდან კი მოისმოდა ჩაქუჩის რკინაზე დარტყმის ხმა. აქ სცხოვრობდა ორი ეკატერინოსლაველი მუშა ზეინკალი, რომელნიც გადმოსახლებულნი იყვნენ სოც.-დემოკრ. პარტიის წევრობისათვის. ისინი დიდი ხანი არ იყო, რაც ჩამოსულიყვნენ, მაგრამ უკვე მოეხერხებიათ საზეინკლო იარაღების შოვნა და კიდევაც გახსნეს სახელოსნო. გარდა დურგალი რობლეფისა, რომლის თანამემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულენიც ისინი იყვნენ, გადმოსახლებულთა დანარჩენ კოლონიის ესორი მუშა ჯერ კიდევ არცნობდა. აგერ უკვე მეორე კვირა გადიოდა, რაც ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, წაკიდებულნი იყვნენ, თუმცა ეს მათ ხელს არ უშლიდა საჭელი ერთი ჯამიდან ეჭამათ, ემუშავათ ერთი და იგივე სამუშაო და საერთოდ წინანდელებურად ერთად ეცხოვრათ.

როდესაც მგზავრებმა გაიარეს ვიწრო ჭიშკარი და ქოხის წინ კარის ფიცრებმა ჭრაჭუნი დაიწყეს მათ ფეხებს ქვეშ, ჩაქუჩის ხმა შეწყდა სახელოსნოში. მგზავრებმა კარები შეაღეს და მასპინძლები დაინახეს ოთახის სხვადასხვა კუთხეში მუშაობაში გართულნი.

როდესაც რამოდენიმე ხმის ბრძანება ჩაცმის შესახებ ერთად გაისმა, ერთმა მათგანმა მაშინვე გადააგდო პაპიროსი და დაიწყო ჩაცმა. მეორემ მოასწრო ეკითხა: „სად მივდივართ“, მაგრამ თვითვე აღარ დაუცადა პასუხს და გაიქცა ჩასაცმელად.

ასეთი მოულოდნელი დანებება, გარეშე ყოველგვარი წინააღმდეგობისა, იწვევს თავდასმსმელებში ახალ-ახალ ახირებულ აზრებს. ეკატერინოსლაველებიდან მიაშურეს რუბლევს, რომელიც იქიდან შორს არ სცხოვრობდა. რუბლევს ეკავა ადგილობრივი გლეხის ქოხის მთელი ნახევარი. აქ იყო მოთავსებული მისი სახელოსნო და აქვე სცხოვრობდა თვითონ ისიც. ეზოში მგზავრებს დიდი იერიშით შეუტია რუბლევის ორმა ძაღლმა, მაგრამ ბევრი მათგანი იცვნეს და ჩქარა დაჩუმდენ. ყველანი შევარდენ სახელოსნოში. აქ სრული ქაოსი იყო გაჩეფებული. იატაკზე მიყრილ-მოყრილი იყო მთელი გროვა ნაფოტებისა, ნახერხისა, ეყარა მრავალი გამხმარი ფიჭვის ფიცარი, დაუმთავრებელი სამუშაოები ერთად იყო დაგროვილი და დუმელის წინ უთავბოლოდ ეყარა შეშა. გასავალ კარების კედელთან იდგა ლოგინი, რომელზედაც იწვა თვითონ რუბლევი. ეს იყო მაღალი, გამხდარი ტანის, შავგრემანი, 32 წლის შავ წვერულვაშიანი, შავი-ციგანისებურ თვალებიანი კაცი. ხელში მას ალმანახი ეჭირა, რომლის კითხვაც შეუშალა სტუმრების შემოსვლამ.

პეტრე პეტრეს ძე მივიდა ლოგინთან, გამოართვა რუბლევს წიგნი ხელიდან და წინადადება მისცა ტანთ ჩაეცვა.

—სად მივდივართ და რისთვის?

—ჩაიცვით, მავალ შემდეგ გაიგებთ.

—არ წამოვალ, თუ არ მეტყვით.

—ადექი, ბევრს ნუ ლაპარაკობ. გაინძერი ჩქარა,—ერთად ეუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდენ ორივე ეკატერინოსლაველი მუშები. თუმცა ჯერ მათაც კარგად ვერ გაეგოთ გზაში, თუ სად მიდიოდენ, მიუხედავად ამისა რუბლევს გადაჰქრით ელაპარაკებოდენ, თითქოს მათაც იცოდენ საიდუმლოების შინაარსი.

—ამიხსენით მაინც, რაშია საქმე, ეშმაკმაც დაგწყევლოთ,—გაკვირვებით ამბობდა რუბლევი და მხრებს მაღლა სწევდა.

—ქურჭი და ქუდი მოიტა,—გაისმა პეტრე პეტრეს-ძის ბრძანება.

რუბლევი წინააღმდეგობის გაწევას ლამობდა, მაგრამ როდესაც მას დაახურეს ის ქუდი, რომელიც არ უნდოდა,—თვითონ წამოდგა, დაიხურა ქუდი, რომელიც საჭირო იყო, ჩაიცვა ქურჭი, რომელსაც ზევით პატიმართა ტილო ჰქონდა გადაფარებული, და შეუფოთდა მგზავრებს.

—ალბად რაღაც სისულელე განიზრახეთ და მე კი საინტერესო წიგნის კითხვა შემაწყვეტინეთ,—სთქვა მან, გამოდენა სტუმრები ოთახიდან, ლაპა ჩააქრო და თვითონაც გამოვიდა.

როდესაც ყველანი გამოვიდენ, გაისმა ყვირილი: წავიდეთ პანთან.

—რასაკვირველია, აუცილებლად,—განაცხადა რუბლევმა,—მე ამ ყინვაში გარედ გამომათრიეთ, ჭირი დაგერიოთ თქვენ, და პანი ხომ მით უფრო უნდა წამოვაირიოთ.

პან სკარეინსკი იყო პოლონელი, პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი, რომელსაც 4 წელიწადი კატორღაში დაეყო.

გზაზე დაიწყეს „ვარშავიანკას“ მღერა; ეხლა სიმღერაში ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუბლევი. ორი ქოხიდან, სიმღერის გაგონებაზე, გამოვარდენ გლეხის გოგონები, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ ღამის მყუდროებას პოლიტიკურები ირღვევდენ, უკანვე გაიქცენ.

პანს ეჭირა ახალი ქოხის ნახევარი. მის ოთახში სიწმინდეა, გვარიანი მოწყობილობაც აქვს. ახალი შპალიერია გაკრული, იატაკზე ორი ნოხია გაგებული. ერთი სიტყვით, აქ სჩანდა ყველა ნიშნები შეძლებული პირის ცხოვრებისა—გადმოსახლებულთა თვალსაზრისით. მას მგზავრებმა მიუსწრეს იმ დროს, როცა იგი წერილს სწერდა. რუბლევმა არც კი დაიცალა მას კითხვის მიცემა და ისე პირდაპირ მიაძახა ბრძანების კილოთი:

—ჩაიცვი ეხლავე და წავიდეთ.

—სად უნდა წავიდეთ,-იკითხა პანმა პოლონური კილოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—თუ დიდხანს დაგჭირდათ ჩაცმაზე ზრუნვა, ჩვენ ყველანი ეხლავე წავალთ. წამოიღეთ რევოლვერიც.

პანმა მიაშურა შკაფს. დაიწყო ჩაცმა, რასაც მართლა დიდხანს მოუნდა. მას დაეხმარენ და რუბლევმა თითქმის ძალით გამოათრია იგი გარეშე, როდესაც მან მოისურვა კვლავ შებრუნებულიყო ოთახში ცხვირსახოცის წამოსაღებად.

მას უკან მოსდევდა მისივე ძაღლი, რომელსაც „ყაზახ“ ეძახდა.

—აი, ამ ვაჟბატონსაც ჩამოვახრჩობთ,—გამოუცხადა მას რუბლევმა, რომელიც დიდიხანია ურჩევდა პანს თავიდან მოეშორებია ყოვლად გამოუსადეგარი ძაღლი.

—არავითარ შემთხვევაში,—უპასუხა პანმა საერთო სიცილში.

ალარავისათვის აღარ უნდა გაევლოთ წასაყვანად, რადგან პეტრე პეტრეს-ძემ ურჩია მათ თავი დაენებებიათ მისი ანარქისტისათვის. ამიტომ მგზავრები გაემართენ ანგარისაკენ, რომლისაკენაც მიდიოდა პატარა ბილიკი-თოვლში გაკვალული.

თოვლში გაკვალული ბილიკი უსწორმასწორო იყო და გაუტკეპნელიც. თუმცა მთვარე საკმაოდ ანათებდა, მაგრამ ყველანი გაუბედავად მიდიოდენ, ბორძიკობდენ. პირველად მწყობრად გაისმოდა სიმღერა. მღერა სიარულის დროს ძნელია და ყველანი დაჩუმდენ ყინვა, რომელიც სოფლად ისეთი ძლიერი არ იყო, აქ, ანგარას ჩეიულებრივი სასტიკი საჰაერო მიმდინარეობის გამო, თანდათან მკაცრი ხდებოდა. გაისმა მაზუროვსკის გაუბედავი და განმარტოებული ხმა, რომ თავი დაენებებიათ ასეთი სულელური საქმისათვის და უკან დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ყველას მტკიცე სულიერი განწყობილება ემჩნეოდა. მაზუროვსკის წინადადებას შეუბრალებელი წინააღმდეგობით შეხვდენ, „მოლალატეც“ კი უწოდეს და ისიც იძულებული გახდა დამორჩილებოდა აუცილებლობას. მდინარეს აქ ფართო კალაპოტი ჰქონდა ორი ვერსის მანძილისა და თითქმის ნახევარმა საათმა განვლო მანამდე, სანამ მგზავრები მეორე ნაპირზე გავიდოდნენ.

—ეხ, რა კარგი იქნებოდა, რომ ძველებური მოგვეგონებია და ყველანი ერთად წავსულიყავით რკინის გზისაკენ,—უთხრა ვორონინმა პეტრე პეტრეს-ძეს.

—დიდხანს არ გვეყოფოდა წამალი,—უპასუხა მან.—რამდენიმე ათეულ ვერსს გავივლიდი, გავიყინებოდით და ეკანვე დავბრუნდებოდით. ეხლაც დრო არის, რომ ვთბებოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასწყვიტეს ცეცხლი გაეჩაღებინათ იმ ქოხიდან მოშორებით, საიდაც ზაფხულობით ნავით გადამხიდავნი სცხოვრობდენ. მოზიდეს რამდენიმე გროვა ფიჩხისა, რომელიც გადამხიდავთ დარჩენოდათ შემოდგომის მარაგიდან, ლოტაოდენი თივა ნახევრად დანგრეული კარავიდან და აგიზგიზდა ცეცხლი დატკეპნილ ადგილზე, მდინარის ახლოს. ცეცხლისაგან განათებულ ტაიგაში ამუშავდა ნაჯახები. მოსჩრეს მთელი გორა ფიჩხისა, წამოაქციეს ორი გამხმარი ფიქვი და ჩქარა უზარმაზარი ცეცხლი სინათლის შუქს ფენდა ყოველ მხრით და დიდ მანძილზე ანათებდა მდინარის თოვლით მოვერცხლილ ზედა პირს. შემდეგ ყველანი გარს შემოერტყენ ცეცხლს და დუმილით მოცულ თვალ უწვდენელ ტაიგის სივრცეში, ასეთი დროისა და ადგილისათვის უჩვეულო პირობებში, ერთი მეორეზე გაისმოდა ხან უკრაინული და ხან რევოლიუციონური სიმღერების ხმა.

აღფრთოვანებამ გაიტაცა ყველანი. როგორც გამოუსადეგარი და დახავსებული ძველი ნივთები, ისე იწვებოდა, გამაერთიანებელ და გამათბობელ ამ ცეცხლზე. წვრილმანი შეურაცყოფანი, კინკლაობა და შუღლი. ყოველივე ის, რაც შევიწროებისა, გაჭირვებისა და იძულებითი უსაქმურობის ავადმყოფურ ატმოსფერაში, ფარავდა იმ დიადსა და მეტად მნიშვნელოვან გრძნობებს, რომელიც აიძულებდა ყველა მათგანს შემდგარიყვნენ ბრძოლისა და ტანჯვა-ვაების გზაზე და ასახლებდა მათ ამ შორეულსა და უცხო მხარეში. ყველას სურდა ბევრი რამ დაევიწყებია, ან მოეგონებია. ხოლო მოსაგონებელი კი თვითეულ მათგანს ბევრი ჰქონდა.

მღეროდენ და შორს გაისმოდა უკრაინული სიმღერების ხმები.

ისროდენ თოფებიდან, ხელ-ახლა იწყებდენ სიმღერას და შემდეგ ისევ თოფს ისროდენ. სიმღერ-ს შეწყვეტის შემდეგ ხშირად ცეცხლს ურთავდენ გამხმარ ფიჩხსა და მხურვალედ ბაასობდენ. ეკატერინოსლაველებმაც ერთმანეთს მოუკიდეს პაპიროსი და კიდევაც გამოელაპარაკენ ერთი-მეორეს.

მას შემდეგ, რაც ყველანი წავიდენ და რაც ბეზბოროდკოს მოესმა შეხმატკბილებული სიმღერა, როდესაც მგზავრები ესერების „ხუტორიდან“ ეკატერინოსლაველებთან მიდიოდნენ, მას აღეძრა სურვილი ჩაექრო ცეცხლი და შეერთებოდა ამბანაგებს. მაგრამ შერცხვა იმისა, რომ ბოლომდი ვერ აასრულა თავისი სიტყვა, დაიცხრო გულში ასეთი სურვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, ძლიერად გაახურა ღუმელი და დაადგა ზედ წყლით სავსე „ბაიკალ“-ი. საათმა დაჰკრა უკვე ათი, როდესაც ანგარას მეორე ნაპირიდან ყრუდ გაისმა თოფის ორჯერ გასროლა. იგი გიმოვიდა ქოხიდან და გასწია ნაპირისაკენ. მდინარის მეორე ნაპირას გიზგიზობდა დიდი ცეცხლი, რომელიც მ მეენივრად ანათებდა მდინარის ნაპირზე ამოსულ ფეშვნარს და გადამზიდველთა ქოხს. ადამიანთა გარჩევა ძნელი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ამ მყუდრო ღამეში მკაფიოდ მოისმოდა დაძინებულ სოფელშიაც სიმღერის ხმა.

ცოტა ხანს დაჰყო მან ნაპირთან და შემდეგ ნელი ნაბიჯით გამობრუნდა თავის ქოხისაკენ. ვიღაც ადგილობრივი გლეხი, რომელიც გამოსულიყო, ალბად, ცხენების დასათვალიერებლად, —ეხლა ეიზკარს ხურავდა.

—პოლიტიკა ქეოფობს, დამთვრალა, —უთხრა მან მეზობოროდ-კოს, რომელიც თავისი მეზობელი ეგონა.

მან პასუხი არ გასცა და ეიზკარი მიიხურა. მდინარის მეორე ნაპირიდან კვლავ მოისმა თოფის ხმა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თვითმპყროველობის გურჯნი.

რკინის გზის პროლეტარიატი იმ თავიდგან რევოლიუციის ავანგარდს წარმოადგენდა. ვის არ ახსოვს მისი ღვაწლი და თავგანწირული ბრძოლა 1905 წლის რევოლიუციის დროს. 1905 წლის რევოლიუციამ თვალი აუხილა მეფის მთავრობასაც. იგი დარწმუნდა რომ მარტო ხიშტებით ვერას გახდებოდა რკინის გზის პროლეტარიატთან.

მან გადასწყიტა რკინის გზის პროლეტარიატის შიგნიდგან აეფეთქება. ამიტომ გაიცა განკარგულება ყოველ გვარი ზომების მიღებისა რკინის გზელების და ტელეგრაფისტების თავისკენ გადაბირების შესახებ და ამნაირათ ისეთი ორგანიზაციის შექმნისა, რომლის დახმარებითაც მეფის მთავრობა შესძლებდა გაფიცვის დროს ტელეგრაფის და 2—3 მატარებლის ამოძრავებას.

ამუშავდა ჟანდარმერია და შავრაზმელი რკინის გზის მოხელენი. მათმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და რკინის გზის მუშა მოპასახურეთა შორის აღმოჩნდა მოღალატენი, რომლებმაც დაუჭირეს მხარი თავრობას, აღუთქვეს ერთგულება და დასთანხმდენ მუშაობაზე გაფიცვის დროს, მათი ამხანაგების და რევოლიუციის დასამარცხებლათ.

რკინის გზის სამმართველომ და უბნის უფროსებმა შეადგინეს თავის ერთგულ და სანდო პირთა სიები და წარუდგინეს ჟანდარმთა სამმართველოს სახელმძღვანელოთ. ერთი ამგვარი სია და გეგმები აღმოჩნდა ამიერ კავკასიის რკინის გზების ჟანდარმთა სამმართველოს ბათუმის განყოფილების საქმეებში,

ჩვენ სიამოვნებით უთმობთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ადგილს ამ სიებს და ვუქადავთ მათ უცვლელათ. [1]) „ანგარიში იმისა, თუ რამ-

[1]) ქვემოთ მოთავსებული სია მოგვიწოდა რევულ.-მეზუუმმა.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი კოდუქტორი-იქნება საქირო ფოსტის მატარებლის და ერთი საქონლის მატარებლის სამუშაოდ ბათუმის ხაზზე გაფიცვის დროს:

სადგური	უბანი	მატარებლის ხარისხი	ბრიგადის რაოდენობა.	მეგენერ. კონდუქტ.	საქონლის კონდუქტ.	კონტროლიორ.	ტრანზიტ. კონდუქტ.	ფოსტის კონდუქტ.	სულ.	შენიშვნა.
ბათუმი	ბათუმ—სამ-სამტრედია	საქონლის მატარებელი	2	2	2	—	6	—	12	
სამტრედია	სამტრედია—ყვირილა	„	2	2	2	—	12	—	18	
ფოთი	ფოთი—სამ-ტრედია	ფოსტის მატარებელი	2	2	2	2	4	2	14	
		სულ.							44	კაცი.

„ამიერ კავკასიის ყანდარმთა სამმართველოს ბათუმის განყოფილებას საიდუმლოთ“.

„სია IV' უბნის წევის საპასახურის იმ საიდუმლო მოსამსახურეთა, რომელნიც ჩვენთან იქმნებიან რკინის გზაზე გაფიცვის გამოცხადების ღროს და დაკისრებულ მოვალეობას პირნათლათ შეასრულებენ“.

1. **მორაშევი** მიხეილ . . . . . პირველი კლასის მემანქანე
2. **ბაგინკი** ადამ . . . . . „ „ „
3. **სკარდონა** ემანუილ . . . . . მეორე კლასის მემანქანე
4. **ობოზნინი** ვალენტინე . მემანქანის თანაშემწე მეორე კლასის
5. **გროხოლსკი** იაკობ . . „ „ პირველ. კლასის
6. **გვაზავა** მიხეილ . . . . . კაჩეგარი
7. **მიქაძე** იოსებ. . . . . „
8. **სტურუა** მიხეილ . . . . . მრეცსივი
9. **ჟილიაევი** ვასილ . . . . . ვეგონების გამსინჯავი.
10. **გეგენავა** ტარასი . . . . . ვაგონების მწმენდავი
11. **გეზენკო** ონუფრი . . . . . მეჭედელი,
12. **კრასნოუენი** თეოდორე . . . . . ჩაქუჩის დამრტყმელი.
13. **ალფორისი** ივანე . . . . . ზეინკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. **კრავიჩენკო** სერკია . . „
15. **შერგინევი** გაბრიელ . „
16. **არავბენკო** პეტრე . . „
17. **შენიბტი** ფილიპე . . „
18. **ოდიკაძე** სპირიდონ . . „
19. **პირიკოვი** პეტრე. . . „

წევის უფროსი მე II' უბნისა ინჟენერი (ხელს აწერს).

„სია ფოთის დეპოს მოსამსახურეთა, რომელნიც გაფიცვის დროს რკინის გზაზე შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას („სიმედონი").

1. **კირია** მერაბ ივანესძე . . . . . დეპოს გაჩეგარი,
2. **სიხარულიძე** სერგო ივანესძე . . . „ „
3. **კოდუგა** ივანე შეროაშუნისძე . . . ვაგონების გამინჯავი.
4. **მახარაძე** ნელფიტე მიხეილისძე . . „ „
5. **კადუა** გერასიმე ბურღუას-ძე . . ზეინკალი

ფოთის დეპოს უფროსი (ხელს აწერს).

„სია იმ კონდუქტორთა, რომელნიც გაფიცვის დროს იმუშავებენ და გაყვებიან ფოსტის მატარებელს".

1. **ხოპერია** ალექსანდრე . . . მთავარი კონდუქტორი ფოთი.
2. **ულენტი** მოსე . . . . . „ „ „
3. **პრივალოვი** . . . . . საქონლის კონდუკტ. „
4. **ქუთათელაძე** ექვთიმე . . . „ „ „
5. **ქავთარაია** არსენ . . . . . კორესპონდენ. კონდუ. „
6. **კაჭკაჭოვი** მიხეილ. . . . . „ „ „
7. **ლევიცკოვი** გრიგოლ . . . ფერშალ კონდუქტ. „
8. **რედაკა** თომა . . . . . „ „ „
9. **მეიშვილი** ივანე . . . . . ტორმუზის კონდუქ. „
10. **კაკულია** ანტონ . . . . . „ „ „

გამოსანაცვლებლათ 15%

1. **შამატავა** იონა.
მოძრაობის უფროსი ინჟენერი (ხელს აწერს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სია იმ კონდუქტორებისა, რომელებიც გაფიცვის დროს იმუშავებენ ერთი წყვილი საქონლის მატარებლის სამოძრავებლათ:

1. მიგაკოვი კონდრატე . . . მთავარი კონდუკტორი ბათუმი.
2. ლენჩევსკი ვლადიმერ. . . „ „ „
3. ბუცი მაქსიმე. . . . . საქონლის კონდუქტორი „
4. კორძაია იოსებ . . . . . „ „ „
5. ბორეზინი ათანასე . . . . . ტორმოზ. კონდუქ. „
6. გრაფი პეტრე . . . . . „ „ „
7. პლაშჩევი პეტრე . . . . . „ „ „
8. რივკინი ნიკოლოზ . . . . „ „ „
9. ფედორკინი ისიდორე. . . . „ „ „
10. ბალუევი იაგორ . . . . „ „ „
11. პრილუცკი გრიგოლ . . . მთავარი კონდუქ. სამტრედია.
12. კრავცევი გალაქტიონ . . . „ „ „
13. მანუკოვი ევსტაფი: . . . საქონლის კონდუქტ. „
14. პაშკოვი მიხეილ. . . . . „ „ „
15. ნაციევსკი აპოლინარეს . . ტორმოზ. კონდუქტ. „
16. ბოტანი ასლანი . . . . . „ „ „
17. ვარდოსანიძე ასლან . . . „ „ „
18. განგია მიხეილ . . . . . „ „ „
19. დონდუა ფარნაოზ . . . „ „ „
20. ზაქარაშვილი ნიკო . . . „ „ „
21. კიკნაძე პარმენ . . . . . „ „ „
22. ლომაძე ირაკლი . . . . „ „ „
23. ძეიშვილი ამბაკო . . . . „ „ „
24 პაპავა ივანე . . . . . „ „ „
25. სტურუა ოქროპერ. . . . „ „ „
26. ხონელიძე რომან . . . . „ „ „

გამოსანაცვლებლათ 15%

1. ბახტინი ანდრია. . . . . „ „ „
2. ვოიტოვი ტიტე . . . . . „ „ „
3. ახობაძე მიხეილ . . . . „ „ „
4. ჭუმბურიძე ვლიტადიმერ . „ „ „

მოძრაობის უფროსი (ხელს აწერს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ს ი ა

სად და რამდენი ტელეგრაფისტებია საჭირო ტელეგრაფის მუშაობა რომ არ შეჩერდეს გაფიცვის დროს ამიერ კავკასიის რკინის გზების ჟანდარმების სამმართველოს ბათუმის განყოფილების ფარგლებში.

სადგური ბათუმი	3	სადგური გუმათი	
„ „	2	„ ლანჩხუთი	2
„ ჩაქვა	1	„ ნიგოეთი	
„ ქომულეთი	2	„ საკავახო	
„ სუფსა		„ სამტრედია	6
„ კაპიტნალი		„ ქვალონი	
„ მეხიანი		„ ჭალადიდი	
„ აბაშა		„ ფოთი	2
„ ნოვოსენაკი			
		სულ	13 კაცი.

„საიდუმლო“

„ს ი ა

იმ ტელეგრაფისტთა ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჟანდარმების სამმართველოს ბათომის განყოფილების ფარგლებში, რომელნიც საიმედონი არიან და გაფიცვის დროს დარჩებიან ერთგულნი თავისი მოვალეობისა.

№№ რიგ.	გვარი და სახელი.	თანამდებობა	სამსახურის ადგილი
1	**ციგანდტი** ადოლფი	მეხანიკი 1 უბ. ტელ.	ბათუმი
2	**ტელნოვი** მიხეილი	უფროსი ტელეგრაფ.	„
3	**ნესრასოვი** გრიგოლი	უმცროსი ტელეგრაფ.	„
4	**სტაცკოვეცი** ანტონი	„ „	„
5	**ანტონოვი** პავლე	„ „	„
6	**პუშკარენკო** ანდრია	უფროსი ტელეგრაფ.	ჩაქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

7	**დუდუჩავა** ვასილი	„ „	ქობულეთი
8	**მენაგარიშვილი** კონსტანტინუ .	უმცროსი ტელეგრაფ.	„
9	**იარდთლოვიჩი** სიმონი	„ „	„
10	**ზარჟეცკი** ადოლფი	„ „	„
11	**ნელადავი სტ**ეფანე	უფროსი ტელეგრაფ.	ნ.ტანები
12	**მგელაძე** ხარლამპი	„ „	ლანჩხუთი
13	**არდ**შვილი ვარდენ	„ „	საკუევახრ
14	**რატ**�ფილიპე	გამგე ტელეკ.განყოფ.	სამტრედია
15	**ზ**აბელინი სიმონი	უმცროსი ტელეგრაფ.	„
16	**დუგლ.ძე** კონსტანტინე . . .	„ „	კოპიტნარი
17	**ორტროშეეცკი** დიანოს	უფროსი ტელეგრაფ.	ფოთი
18	**სოლომაშენკო** მაქსიმე	უმცროსი ტელეგრაფ.	„

ფოსტა ტელეგრაფის უფროსი (ხელს აწერს)

აი, ვისი იმედი ჰქონდა მთავრობას ბათომის უბანში რკინის გზებზე გაფიცვის გამოცხადების დროს! აი, ვინ ღალატობდა ოკინის გზის პროლეტარიატს და უმაგრებდა ზურგს თვითმპყრობელობას! უეჭველია სხვა უბნებშიც იქნებოდნენ ამგვარი „ჭეშმარიტნი“, რომელთა გაგება ჩვენთვის არ იქნება ინტერეს მოკლებული. ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ აქ დასახლებულნი თვითმპყრობელობის ბურჯნი, ახლა ვისთან არიან და ვის რიგებს ამშენებენ!.

ჩვენ გვგონია, რომ რკინის გზის პროლეტარიატი მათ ვერ ენდობა. ვინ არის თავდები, რომ ისინი საჭიროების დროს კვლავ არ უღალატებენ პროლეტარიატს და ზურგს უკან მახკილს არ ჩასცემენ მას?.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. სვეტლოვა.

ტფილისის საგუბერნიო საპყრობილისა და მეტეხის ციხის უფროსი სტანისლავ რიმკევიჩი [1])

(1908—1914 წ.).

1905 წლის რევოლიუციას მოჰყვა რეაქციის შავბნელი წლები. რუსეთისა და ამერიკავკასიის საპყრობილენი აივსო თავისუფლებისათვის მებრძოლთაგან. დაიწყო სასტიკი დევნა მათ წინააღმდეგ, ვინ კ გაბედა და გაილაშქრა „ურყევ ძირითად საფუძვლები“-ს წინააღმდეგ. ვისაც დახრჩობა და სიკვდილით დასჯა ვერ მოხერხდა, მას სიცოცხლეს უსპობდენ შიმშილით და სიცივით. ეს ხდებოდა წინ და წინ შედგენილი გეგმის მიხედვით, რომელიც ეგზავნებოდა ცირკულარის სახით საპატიმროთა უწყებას. ამას შედეგად მოყვა პოლიტიკურ პატიმართა ენერგიული ბრძოლა ციხეების ადმინისტრაციასთან. ამ ბრძოლამ არა ერთი და ორი გასისხლიანებული ფურცელი შეიტანა რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში.

1908 წლის შუა ხანებში საპატიმროთა უწყებამ გადასწყვიტა საბოლოო ყურადღება მიექცია ამერიკავკასიის საპატიმროებისათვის, სადაც პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა აქამდე მაინცადამაინც ცუდი არ ყოფილა. და აი, 1908 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ტფილისის საგუბერნიო საპყრობილის უფროსად დაინიშნა სტანისლავ რიმკევიჩი. რიმკევიჩი ბოლო დროს ცარიცინის საპყრობილის უფროსად იყო. იქ მან ისახელა თავი უდიერი და მბეცური მოპყრობით პატიმრებისადმი და იმ ზომამდეც კი მიიყვანა უკანასკნელნი, რომ ერთი პატიმარი დანით მივარდა მას და ყელში დასჩრა. და ახლა სწორედ ამ „გმირს“ მიანდვეს ამერ კავკასიის საპყრობილეთა „საქმეთა მოგვარება“.

ქარიშხალივით შემოიქრა რიმკევიჩი ტფილისის საგუბერნიო საპყობილეში. შემოიქრა იგი შეიარაღებული რაზმით და შეუდგა ახალი წესების დამყარებას. გაისმა ბრძანება: „სმენა, ადექით, მოიხადეთ ქუდები“!

---

[1]) ვსარგებლობ რევოლიუციონურ მუზეუმის მასალებით, საიდანაც არის ამოკრეფილი რიმკევიჩის ბრძანებანი.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ პირველ ბრძანებაში [1]) 1908 წ. ივლისის 25-ის თარიღით ჩვენ ვპოულობთ შემდეგ სტრიქონებს:

„ . . . . . მოვითხოვ ყველასგან სასტიკ დისციპლინას. ბოლო მოეღოს არსებულ თავვასულობას, როგორც მეკლიტეთა, ისე, განსაკუთრებით, პატიმართა შორის“...

. . . . . „წინადადებას ვაძლევ ყველა მეკლიტეთ უყოყმანოდ და სისწორით შეასრულონ ყოველი ჩემი ბრძანება, სახელდობრ: როცა უფროსი პირი ეზოში შემოვა, მორიგი მოდარაჯე მეკლიტე უბრძანებს პატიმართ: „სმენა“! ამის შემდეგ პატიმარნი უნდა ჩამუკრავდნენ და შესწყვიტონ ყოველგვარი ხმაური და ლაპარაკი ერთმანეთ შორის. . პატიმრებს ტანსაცმელი შებნეული უნდა ქონდეთ. ყველა შეკრეჭილი და გაპარსული უნდა იყოს. საერთოდ ყველას უნდა ემჩნეოდეს სრული მორჩილება და მკაცრი დისციპლინა... ამა ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავე სასტიკად დაისჯება“.

პოლიტიკურებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ ვადაქცეულიყვნენ ყურმოჭრილ მონებად და სრულებით არ იჩენდნენ „სრულ მორჩილებას“ საპატიმროს ადმინისტრაციის წინაშე. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა. ურჩებს სათითაოდ მიათრევდნენ ბნელსა და ნესტიან სენაკებში („კარცერებში), აწამებდენ შიმშილით და სიცივით. უსჯიდენ მათ მთელი თვეობით ნათესავ-ნაცნობების ნახვას. მაოგან სასმელ-საჭმელის, წიგნების მიღებას და ავადმყოფობის დროს საექიმო დახმარებას. ისინი შავი პურით და გადმოუდეგებელი წყლით უნდა დაკმაყოფილებულ იყვნენ.

პოლიტიკურების, განსაკუთრებით ქალების, ურყევი წინააღმდეგობა მთლად აგიჟებდა და ბრაზს ჰგვრიდა რიმკევიჩს. იგი საიმედო რაზმის თანხლებით დაძრწოდა საპყრობილის ეზოებში და ხელში მომარჯვებული ბრაუნინგით აყარებდა „წესიერებას“. აი, მაგალითად, ერთი ჩვეულებრივი სურათი ციხის იმ დროინდელი ცხოვრებიდან: პოლიტიკური ქალები სასეირნოდ არიან გამოსულნი თავიანთ ეზოში; ზოგი სკამებზე ზის, ზოგიც მიდ-მოდის. ერთბაშად ალაყაფის კარი გაიღო და ეზოში შემოცვივდენ ზედამხედველნი და ჯარისკაცნი რიმკევიჩის მე-

[1]) ბრძანებანი ტფილისის საგუბ. საპყრობილისა და მეტეხის ციხისადმი 1908—1909 წ. დედანის სტილს ვტოვებთ უცვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურობით. გაისმა ბრძანება: „ადექით, სმენა“!. ასეთ შემთხვევებში, ვინც იჯდა—ადგილიდგანაც არ იძროდა ხოლმე, ხოლო ვინც ფეხზე იდგა მყისვე ჩამოჯდებოდენ, რომ გაეზიარებიათ თავიანთი ამხანაგების ბედი. „აეყენეთ“!, დაიღრიალა რიმკევიჩმა და ნამეტანი სიბრაზისაგან მას სახე დაეშალა. ჯარისკაცები მივარდენ ჩამომჯდარ ამხანაგებს, ზეზე წამოყარეს ისინი, ხოლო სკამები გაიტანეს ეზოდან, რომ კვლავ არავინ დამჯდარიყო. ძალაუნებურად ყველა ფეხზე სდგას—მიწაზე ვინ დაჯდებოდა! რიმკევიჩი კი ყველას პირში სჩრის თავის ბრაუნინგს და მრისხანე ხმით გაიძახის: „მე გაიძულებთ დაემორჩილოთ ჩემს წესებს. ხოლო თუ იქ, გარედ, რომელიმე თქვენი ამხანაგი გამოგექომაგათ და განიზრახა ჩემი მოკვლა, მე, უწინარეს ყოვლისა, ძალღივით გავსრეს ასეთ არამზადას, სერე კი აქ მოვალ და ყველას სათითაოდ დაგხვრეტავთ!“ შედეგად ჩვენ გვაჯილდოებდენ ბნელი საკანით, „საკარცერო“ წესებით, და სხ. და სხ.

ამიფგბდა რა საპატიმრობაში ნამდვილ საკატორღო წესებს, რიმკევიჩი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ პოლიტიკურების უმრავლესობა, ან გამოძიების ქვეშ იმყოფებოდა, ან ციხეში იხდიდა სასჯელს, ან და ხანმოკლე დაპატიმრებას, როგორც ადმინისტრატიული დამნაშავე.

რიმკევიჩი მეტეხის ციხის ოფიციალ იყო. აქაც თავისი ახალი წესები შემოიღო. აქაც გაისმოდა—„სმენა“ და სხვ. შემოღებულ იქნა წყვილ-წყვილად სეირნობა წრის გარშემო და სხვა ამგვარი შეურაცხმყოფელი წესები. ბრძანებაში 84 №-ით, 1908 წლის აგვისტოს 14-ის თარიღით ვკითხულობთ შემდეგს:

..... „ყოველ-გვარი უწესოების თავიდან ასაცილებლად, ღღესვე ვამყარებ წყვილ-წყვილად სეირნობას წრის გარშემო; მანძილი წინა და უკანა წყვილს შორის უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი ნაბიჯისა; ამასთანავე სეირნობის დროს პატიმარნი არ უნდა ლაპარაკობდენ ერთმანეთ შორის. პაპიროსის წევა სეირნობის დროს აკრძალულია და საერთოდ ვბრძანებ, რომ საპყრობილის ადმინისტრაციასთან არც ერთმა ტუსაღმა არ გაბედოს თამბაქოსწევა“.

აძლიერებდა რა სისასტიკეს, განსაკუთრებით მეტეხის ციხეში მოიხდარი ტრაღედიის შემდეგ, რომელსაც აღგილი ქონდა 1909 წ. (ამის შესახებ ქვემოდ), რიმკევიჩი თავის ბრძანებაში სეირნობის წესის შესახებ იძლევა ასეთ განკარგულებას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . „ყველა პატიმართა სასეირნოდ გამოყვანას, სპოლიციო ნაწილის გამგის თანაშემწის გარეშე, მე სრულიად ვკრძალავ. სასეირნოდ გამოყვანილ იქნნეს ხოლმე არა უმეტეს ორი კაცისა ერთ რიგობაზე და სასეირნოდ ვიძლევ მათ 15 წამს. გარდა ამისა ორ მოსეირნეზე უნდა იყოს ოთხი მეკლიტე და ერთი თანაშემწე; თან სეირნობის სიზღვარი სისწორით უნდა იქნეს გამორკვეული, თუ ტუსაღი გადაბიჯავს დანიშნულ ხაზს, ესროლეთ და იქვე მოჰკალით“... და სხვ. (,რძანება № 103 1909 წ., მაისის 22).

სისხლის სამართლის ტუსაღთა მდგომარეობაც მეტის მეტად მძიმე იყო. დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, რომკეგრჩა განიზრახა ამ კატეგორიის პატიმარნი შემოსავლის წყაროდ გაეხედა. მისი განკარგულებით ციხეში მოეწყო სახელოსნოები. მან ბრძანა ძალით „გარეკონ“ სახელოსნოებში არა მარტო მოკლე ვადით დასჯილი სისხლის სამართლის ლამნაშავენი, არამედ სხვა კატეგორიებიც. განსმკუთრებით კატორღამისჯილნი. რადგანაც სასყიდელი აღნიშნულ სახელოსნოებში მეტად უმნიშველო იყო (კატორღელს დიდი გაპირკვებით შეეძლო მიეღო დღეში სამი კაპიკი, ხოლო სხვა კატეგორიის პატიმარს 9—12 კაპ.), ხოლო რეჟიმი კი ისეთივე აუტანელი, როგორც საკანში. ამიტომ ტუსაღები ყოველნაირად ცდილობდენ ეხსნათ თავი სახელოსნოში მუშაობისაგან. ამ საგანზე ფრიად საინტერესო სტრიქონებს ვპოულობთ ბრძანებაში 105 №-ით, 1909 წ. სექტემბრის 24-ის თარიღით.

. . . . . „დღეს დილის $6^1/_2$ საათზე, შემოწმების დროს, მე ვერ ვნახე ვერც ერთი ტუსაღი სამუშაოზე იმ სახელოსნოში, რომელიც ახლა არსდება. ამავე დროს მე დავავალე ჩემს თანაშემწეს ბ. კრიჟანოვსკის და უფროს მეკლიტეს—ჟურბას, ფისენკოს და გალდინს—მუშა-ტუსაღები გაერეკათ ხოლმე სამუშაოდ დილის 6 საათზე.... (შემდეგ არის სასჯელი და ჯარიმა დამნაშავე ადმინისტრაციისთვის).... შემდეგ მივაქცევ ბ. ბ. თანაშემწეების ყურადღებას და არ შემიძლიან არ გამოვსთქვა ჩემი უკმაყოფილება იმის გამო, რომ არა ერთხელ შევეკითხე სხვადასხვა ხელოსნებს, მათ შორის მხურავებს, და სულ ერთი პასუხი მესმოდა:—ტუსაღებში მხურავები არ არისო. დღეს, რაღაც მიზეზით, მე თვითონ ვნახე ოთხი გამოცდილი მხურავი და რამდენიმე დურგალი. აქედგან მე ის დასკვნა გამომყავს, რომ ტუსაღები განზრახ აცხადებენ, თითქოს არ იციან ზოგიერთი სპეციალური მუშაობა. ნამდვილად კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდათ იმუშაონ, ან და ზოგიერთი არამზადა ტუსაღი სიკვდილით ემუქრება მათ და აგულიანებს არ გავიდეს სამუშაოზე. ამ უწესოების თავიდგან ასაცილებლად საჭიროა ენერგიულად და საიდუმლოთ შევიტყოთ სხვა მუშა-ტუსაღებისაგან და თვით ტუსაღების სანახავად მოსული ნათესავებისაგან: რა საქმეს ეწეოდა ტუსაღი თავისუფლების დროს და რა ხელობას სწავლობდა შინ. დამნაშავე, რომელიც აქეზებს ტუსაღებს რათა არ იმუშაონ, ყოველი მიზეზის გარეშე უნდა იქნეს აღმოჩენილი და ასეთები ჩემთან წარმოდგენილი. მე მათ მოველაპარაკები რუსულად და ღრმად დარწმუნებული ვარ თვალის დახამხამობის უმალ შევასწავლი მათ რაიმე ხელობას. ხვალვე გამოუცხადეთ ყველას, რომ ასეთ ვაგბატონებს მე გაუსწორდები. მათთვის სასიამოვნო არ იქნება ჩემთან ახსნა-განმარტება და პირიქით, თვითონ მთხოვენ შენდობას და რაიმე სამუშაოს. უკანასკნელი კი მე ნაკლებად მექნება, განსაკუთრებით წამქეზებლებისა და ზარმაცებისათვისა, რომლებთანაც მუშაობა მე თვითონ ძალზე მიყვარს. ბრძანება გამოეცხადოს ყველა ტუსაღს, რაც მათ შეეხება".

თუ როგორი რეჟიმი იყო სახელოსნოებში, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ 1909 წ. დეკემბრის 3-ს თარიღით და 145 №-ით ბრძანებიდგან.

. . . . . „საზეინკლო სახელოსნოს უფროსმა ოსტატმა მომახსენა, რომ ტუსაღი-კატორღელი—არაქელა ოქუაშვილი და გამოძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი პსარსკი—ხელს უშლიან ტუსაღებს მუშაობაში. ვუბრძანებ უფროს მეკლიტეს გალდინს: ასეთ შემთხვევაში ამიერიდან, ჩემდამი ყოველგვარი წინასწარ მოხსენების გარეშე, მიუსაჯოს დამნაშავეს ბნელი საკანი, სადაც იგი მას წაიყვანს ნაბიჯით კი არა, არამედ სირბილით. უკეთუ ეს შესრულებული არ იქნება, მომხსენდეს მე და თვითონ ვაიძულებ ყველას—დამემორჩილონ ჩემს ბრძანებას. ზემოხსენებულ დანაშაულისათვის კი ტუსაღი არაქელა ოქუაშვილი მოთავსებულ იქნეს ბნელ საკანში 10 დღით, ხოლო პსარსკი 7 დღით. ამასთანავე პსარსკი გადაყვანილ იქნეს მეტეხის ციხეში სასტიკ წესებზე, რაიც ეცნობოს ციხის გამგეს აღსასრულებლად. გარდა ამისა, ვიმეორებ ჩემ სიტყვიერ განცხადებას, რომ როზგით გაუსწორდები ყველა კატორღელს სახელოსნოში მცირე დანაშაულისათვისაც კი. წინადადებას ვაძლევ ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაშემწეს, ბ. ელინს, სათანადოთ ასასრულებლად, რათა აუხსნას ყველას, რომ ვინც ცუდათ იმუშავებს, ან წინააღმდეგობას გაუწევს სხვებს მუშაობაში, — იგი ვერ ეღირსება ჩემგან რაიმე შენდობას და სიბრალულს".

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა რიმკევიჩი კატორღელების მიმართ. შეუდგა თუ არა თანამდებობის აღსრულებას, მან ყველას ფეხებზე ბორკილები დაადო, ზოგს კატორღელს კი ხელებიც ხუნდებით შეუკრა. რიმკევიჩი აინუნშიაც არ აგდებდა ექიმის მოწმობას, რომლის ძალითაც ზოგიერთი ტუსაღი განთავისუფლებული იყო ბორკილებისაგან სისუსტისა და ავადმყოფობისა გამო. მაგრამ, როგორც სჩანს ბრძანებიდგან 106 №-ით 1909 წ. სექტემბრის 25-ს თარიღით, რიმკევიჩმა ეს არ იკმარა:

„სამეფოლოში ტუსაღების მუშაობის შემოწმების დროს აღმოვაჩინე, რომ ბორკილები კეთდება არა დაწესებული ფორმისა. მოვახდინე რა განკარგულება მუშაობის შეჩერების შესახებ, ბორკილების ანა სწორი კეთების დაშვების გამო, ვაჯარიმეს უფროს ზედამხედველს ფილატოვს ერთი მანათით და უცხადებ ჩემ თანაშემწეს ბ. კრიჟანოვსკის საყვედურს მაზედ, იმიტომ, რომ მან თავის დროზე არ მომახსენა ამის შესახებ და არ წარმომიდგინა ბორკილების პირველი ნიმუშები. წინადადებას ვიძლევი ამიერიდგან ყოველივე, რისი გაკეთებაც განზრახულია, თავის დროზე მეცნობოს მე — დასკვნისათვის. ხოლო ბორკილები, ვბრძანებ, გაკეთებულ იქნეს უფრო მსხვილი რკინისაგან, სახელდობრ — ჯაპკები. სამეფოლოში გაკეთებული ბორკილები წვრილია და $^1/_2$ გირვანქით მსუბუქი განსაზღვრულ ნიმუშზე, რომელიც პირადათ მე დავაწესე".

სიკვდილით მისჯილთათვის რიმკევიჩმა შექმნა სრულიად აუტანელი მდგომარეობა: შეუკრა მათ ხელ-ფეხი და საკნიდან უშვებდა საპირფარეშოში მხოლოდ სამჯერ დღე-ღამეში. ბოლოს კი სულ აუკრძალა მათ საკნიდგან გამოსვლა. შემდეგ ეს ზომა გაავრცელა მან სხვა კატეგორიის პატიმრებზედაც. აი, მაგალითად, ამონაწერი ბრძანებიდგან № 114, 1909 წ. მაისის 9-ის თარიღით.

. . . . . „მორიგე თანაშემწემ თვალყური ადევნოს მთელ საპირფარეშოს, რომ ტუსაღები, დარაჯებისა და მეკლიტეთა სიმცირისა გამო, გამოშვებულ იქმნენ საპირფარეშოში არა უმეტეს ოთხ-ოთხი კაცისა ერთ რიგობაზე. ხოლო სხვა საკნებიდან, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთავსებული არიან უფრო დიდი დამნაშავენი და კატორღელები, ტუსაღები სრულიად არ უნდა იქნენ გამოშვებულნი. „პარაშები“ კი გამოატანინეთ მხოლოდ სამჯერ დღეში: დილას, სადილის შემდეგ და საღამოს—დათვლის წინ. და ეს ზომა სისწორით იქნეს განხორციელებული, ვიდრე არ გადიდდება მეკლიტეთა შტატი, რათა თავიდან აცილებულ იქნეს ძალადობა და მეკლიტეებზე თავდასხმა განიარაღებისა და ნაძალადევი გაქცევის მიზნით“.

რიმკევიჩი ყოველგვარ წინაალმდეგობას უწევდა პატიმართა კოლექტიურ განცხადებას და ყოველნაირ გამოსვლას ამხანაგთა ჯგუფის, ან საკანის სახელით. რა გინდ უნებელი და უბრალო განცხადება ყოფილიყო, იგი ამისათვის ბნელ საკანში უკრავდა თავს დამნაშავეს. დამახასიათებელია რიმკევიჩის ბრძანება, გამოცემული 1909 წ. მაისის 16-ს 99 №-ით. ტუსაღებმა უარი განაცხადეს უმი, გამოუმცხვარი პურის მიღებაზე. რიმკევიჩი ახდენს შემდეგ განკარგულებას:

. . . . . „ეაკისრებ ბ. გამგეს ამიერიდგან გაფიცვის დროს მოიქცეს შემდეგნაირად: როგორც კი არ მოისურვებენ საშველის, ან პურის მიღებას — მეთაურები დაუყონებლივ ბნელ საკანში ჩასვით. ხოლო საშველი—შემოწმებულ იქმნეს ექიმების თანადასწრებით და, თუ ყველაფერი სავარგისი აღმოჩნდება, მიეცეს მსურველს. ვინც არ მიიღებს, გადაყვანილ იქმნეს „საკარცერო“ წესებზე. ხოლო მათი კუთვნილი სანოვაგე და პური, დაუბრუნდეს მოიჯარადრეს მისსავე ფასში და ფული ჩარიცხულ იქნეს ეკონომიურ კაპიტალში“.....

. . . . . „ჩემთვის სასიხარულო იქნება გაფიცვები, საშლისა და პურის მიუღებლობა. რადგანაც, როგორც იტყვიან, „კაცი რომ ურმიდგან გადმოხტება, ხარსაც გაუადვილდებაო“, მეც გამიადვილდება საპყრობილის მართვა-გამგეობა და, გარდა ამისა, ხაზინასაც ხარჯი შეუმცირდება“..... და სხვ.

შემოიღო რა ახალი საკატორღო წესები, რიმკევიჩს უნდოდა ყოლოდა შესაფერი შტატი დაბალი მოსამსახურეებისა—მეკლიტეებისა, რომელნიც ბრმად შეასრულებდენ ყოველ მის ბრძანებას. შტატი, რომელიც რიმკევიჩს დახვდა საპატიმროში, სრულიად არ აკმაყოფილებდა მას. ზოგიერთ მეკლიტეთ მრავალი წლები გაეტარებია საგუბერნიო საპყრობილეში და მეტეხის ციხეში. ისინი ხშირად თანაგრძნობით ეკიდებოდენ პოლიტიკურ პატიმართ. უანგაროდ უწევდენ მათ ზოგიერთ მცირე დახმარებას და ამით რამოდენიმეთ ამსუბუქებდენ მის მიერ შემოღებულ წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს. პატიმარნი, თავის მხრით, ფრთხილად ეპყრობოდენ თავიანთ ფარულ მეგობრებს და არასოდეს არ მოატყუებდენ ხოლმე მათ. რიმკევიჩმა, განსაკუთრებით, სწორედ ასეთი მეკლიტენი აითვალწუნა. ითხოვდა მათ სამსახურიდან, ან და სჯიდა აუარებელი ჯარიმებით, დატუსაღებით და მრავალი სხვა ღონისძიებით. ხოლო განთავისუფლებულ ადგილებზე ნიშნავდა ცარიცინიდან წამოყვანილ თანამშრომლებს ან და ადგილობრივ სძებნიდა შესაფერ ელემენტებს. მან გაბა და მთელი ქსელი ჯაშუშებისა მეკლიტეთა შორის და მხოლოდ გაჭირვებული არსებობის პერსპექტივა აიძულებდა ციხის დაბალ მოსამსახურეთ აეტანათ ათასნაირი შეურაცყოფა და შევიწროება, რაც უხვად იყო ხოლმე გაბნეული ყოველ ახალ ბრძანებაში. ჯაშუშ-თანამშრომლებს რიმკევიჩი მეტის მეტად ეფერებოდა. ქებით და სხვადასხვა ჯილდოს მიცემით აგულიანებდა მათ ამნაირი მუშაობისათვის. ერთი ასეთი ერთგული მსახური იყო რიმკევიჩის თანაშემწე—ივლიევი. სამწუხაროდ, ამ წერილის ვიწრო ჩარჩო საშვალებას არ მაძლევს უფრო დაწვრილებით შევჩერდე ივლიევის მოღვაწეობაზე. შექმნა რა თვისი რეჟიმით უმძიმესი და აუტანელი პირობები, რიმკევიჩი ალბათ ბუნებრივად მოელოდა, რომ სასაწარკვეთილ ებამდე მისული ტყვეები თავს ვეღარ შეიკავებენ და მიმართავენ ექსცესებს, რომელიც, ჩვენის აზრით, შედიოდა რიმკევიჩის მოღვაწეობის პროგრამაში. და, აი, მრავალ ბრძანებაში ვპოულობთ ჩვენ განკარგულებას ასეთი გამოსვლის შემთხვევისათვის. მოგვყავს ამონაწერი ზოგიერთ ამ გვარი ბრძანებიდან. ბრძანება № 103, 1908 წლის სექტემბრის 14 რიცხვი:

. . . . . „ვბრძანებ მიღებულ იქმნეს სასტიკი ზომები, რათა არ მოხდეს გაქცევა არც ფარულად, არც ძალადობით. თუ ვინიცობაა მოხდა თავდასხმა გარედან, ან ცდა ტუსაღების განთავისუფლებისა,—სრულიად უყოყმანოდ დახოცეთ, პირველ რიგში, ტუსაღები, ხოლო შემდეგ დახვდით და დახოცეთ კერძო პირნი, რომელნიც მოსული არიან განთავისუფლების მიზნით და შემდეგ მაცნობეთ,—თუ ამ დროს ციხეში (მეტეხის) არ ვიქნები,—რომ ყველაფერი წესიერადაა, ტუსაღები მოკლულია ამდენი და ამდენი და კერძო ავაზაკები ამდენი და ამდენი. ასეთ ვაჟკაცებს მე წარუდგენ ბ-ნ გუბერნატორს ღირსეულად დასაჯილდოვებლად“..... შემდეგ ჩამოთვლილია ის სასჯელი, რაც იგი მიმართავს „ზანტად“ მომქმედთა წინააღმდეგ.

აი კიდევ ნიმუში მსგავსი ლიტერატურისა—ბრძანება № 24 1909 წ. აპრილის 3 რიცხვიდგან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . „ვუბრძანებ ყველა მეკლიტეს და სასტიკად ვავალებ ბ. ბ. თანაშესწეთ, თუ ვინიცობაა შენიშნოთ „ბუნტი“, ან, ღმერთმა დაგვიფაროს, მოხდა მკვლელობა, ან დაჭრა მეკლიტისა და აგრეთვე ვინმე მოსამსახურე პირისა, ან ჩემი,—მაშინ ყველა ტუსაღი იმ საკანისა, სადაც ასეთ შემთხვევას ადგილი ექნება, სრულიად დაუნდობლად და გადაჭრით, დაუყოვნებლივ, დახოცილ იქნეს. არ მოუცდოთ არავის განკარგულებას და ბრძანებას, ვინაიდან ყველამ უნდა იცოდეს, რომ, თუ კი რომელიმე ტუსაღს სურს რაიმე დანაშაულის ჩადენა, დანარჩენებმაც წინასწარ იციან ყველაფერი და მაშასადამე, მოქმედებენ ერთად. ამიტომ ყველა, როგორც ის, ვინც ამ დანაშაულის ჩადენას შესაძლებელ გახდის, აგრეთვე ისიც, ვინც მასში მონაწილეობას მიიღებს, უნდა დახოცილ იქმნენ დაუნდობლად და უსასტიკესი ზომების მიღებით, სახელდობრ—ცივი და ცხელი იარაღის ხმარებით და არეულობა აღმოფხვრილ უნდა იქნეს ძირიანფესვიანად“ და სხვ.

ამ გვარი ბრძანება ძალიან ხშირად მეორდება ბრძანებათა წიგნის ფურცლებზე და რიმკევიჩი ყოველნაირად ცდილობს ჩაუნერგოს თავის თანამშრომელთ ის აზრი, რომ ისინი არა თუ პასუხს არ აგებენ პატიმართა შევიწროებისა და გაჟლეტისა გამო, არამედ დიდ ჯილდოსაც მიიღებენ ყველა, ვინც განსაკუთრებულ მუყაითობას გამოიჩენს.

რიმკევიჩს მეტის მეტად უყვარს ფრაზა: „დეე ყველას ახსოვდეს, რომ მეფის სამსახური და ღვთის ვედრება ფუჭად არ ჩაივლის“. ამ ფრაზას, საკვირველია თუ არა, ყოველ ნაბიჯზე იმეორებს თავის ბრძანებში. ზოგჯერ კი რიმკევიჩი საკმაოდ ეძლევა უერთგულეს და უქვეშევრდომილეს აღტაცებას, რაც ნათლად სჩანს, მაგალითად, 1908 წ. სექტემბრის 9-ს თარიღისა და 98 №-ის ბრძანებაში:

. . . . . „მე არ მსურს მივიღო, ან მოვისმინო მოდარაჯის პატაკი, რომ მას გაექცა ტუსაღი, ან მოხდა „ბუნტი“ და სხვადასხვა მიზეზების გამო საშვალება არ ქონდა უბედურება თავიდან აეცილინა. არა, მე მსურს ყოველთვის გავიგონო მხოლოდ ასეთი პატაკი: „თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩემდამი რწმუნებული სადარაჯოდან ძალით დააპირა გაქცევა ხუთმა ტუსაღმა და, მე ყველა დავხოცე“. ასეთ ჯარისკაცს მე ვეტყვი გულწრფელ და მხურვალე მადლობას. ყოველთვის თავგამოდებით გამოვესარჩლები და ნებას არავის მივსცემ შეურაცხყოს იგი. გარდა ამისა მტკიცედ უნდა ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოგდეს ყველას, რომ „ღვთის ვედრება და მეფის სამსახური ფუჭად არ ჩაივლის“. ასეთი ჯარის კაცი ჩემთვის ძვირფასია და ნათლად უნდა შეიგნოს, რომ ამ საქმით იგი უდიდეს საშსახურს უწევს არა მარტო თავის თავს და თავის ოჯახს, არამედ მთელ სამშობლოს, ყველა უფროსს და მეფის ერთგულ მსახურთ. ხოლო მთავარი ის არის, რომ ერთგულად შეასრულოთ ფიცი და მზათ ვიყენეთ თავი დავსდოთ ჩვენი მეფისათვის. არაფერი არ შეიძლება იყოს ისე ძვირფასი, როგორც ჩვენი დიდი ხელმწიფე, რომელიც ზრუნავს ჩვენთვის და ვუყვარვართ მსგავსად საკუთარი შვილებისა. აი, ამით უნდა გაიმსჭვალოს ყოველი ჯარისკაცი და მუდამ მტკიცედ ახსოვდეს, რომ მეფისადმი სამსახური არის უაღრესად ძვირფასი საქმე თვითეული ადამიანისათვის და რომ ყველას არ ხვდება წილად ბედნიერება ატაროს სამეფო მუნდირი. ამიტომ ჩვენ უნდა ვიამაყოთ ამით და უნდა ვატაროთ იგი ღირსეულად“.

მაგრამ რიმკევიჩის ეს წინასწარი ზომები მიზანს ვერ აღწევდა. ამ ზომებმა ვერ მოსპო ის დრამები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხოლმე ციხეებში. პირიქით, ამან კიდევ უფრო გაამწვავა დრამების ხასიათი. ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს ალბად ერთ-ერთი ასეთი ტრაგედია, რომელიც მოხდა მეტეხის ციხეში 1909 წლის მაისში: ექვს პატიმარს დახრჩობა გადაუწყვიტეს. მათ ამჯობინეს დახოცილიყვნენ ტყვიით და განაჩენის სისრულეში მოყვანის დღეს ეკვეთნენ დარაჯებს, წაართვეს მათ თოფები, ჩაიკეტენ საკანში და დაიწყეს სროლა. გამოიწვიეს ჯარი. მეტეხს სროლა აუტეხეს და რამდენიმე საათის განმავლობაში ყველა პატიმრების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ბოლოს სიკვდილით დასჯილებს ტყვია შემოაკლდათ და ყველანი იქვე დახოცეს.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს წიგნი რიმკევიჩის ბრძანებებისა სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შესახებ. ასეთი განაჩენის სისრულეში მოყვანა ჩვეულებრივად ხდებოდა ღამით საგუბერნიო საპყრობილის აღმოსავლეთი კეღლის იქით. დანიშნულ ადგილას სასწრაფოდ აიგებოდა ხოლმე სახრჩობელა, შესრულდებოდა საზიზღარი საქმე, ხოლო სახრჩობელა ისევ უცბად გაქრებოდა ახალ შემთხვევამდე. ჯალათი ყოველთვის მზად იყო და ჩვეულებრივად იმყოფებოდა რომელიმე საპყრობილეში, სხვებისაგან მოშორებული, რადგანაც ამ მოვალეობას აკისრებდენ ხოლმე რომელიმე სისხლის სამართლის ტუსაღს ყოფილ საპოლიციო მოსამსახურეთაგან; მას დაპირებული ქონდა, რომ გაანთავისუფლებდენ ამა თუ იმ მძიმე სასჯელისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიმკევიჩის ხანგრძლივი კარიერა საპყრობილეთა საქმის სფეროში გათავდა იმით, რომ ბოლოს სამართალში მისცეს: ბრალდებოდა სახაზინო ფულის გაფლანგვა. იგი სამსახურიდან გადააყენეს. 1917 წლის რევოლიუცია რომ დაიწყო, რიმკევიჩი სამსახურში იყო ჯულფა-ბაქოს სამხედრო გზაზე.

1917 წლის აპრილში თფილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს განკარგულებით, რიმკევიჩი დაპატიმრებულ იქმნა და მოთავსებული მეტეხის ციხეში.

დაიწყო წინასწარი გამოძიება საგანგებო საგამომძიებლო კომისიამ, რიმკევიჩის მოღვაწეობის შესახებ ციხეებში. მოხდა რა საპყრობილეში, რიმკევიჩმა აუერებელი განცხადებანი მიაყარა საგამომძიებლო კომისიას. იგი ხან გამოსთქვამდა აღშფოთებას, რომ მოიუსვეს მას თავისუფლება. ხან ცდილობდა დამტკიცებას, რომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის და ითხოვდა განთავისუფლებას. უქვეშევრდომილესი გრძნობები ოკვე დაივიწყა. მათი ადგილი ახლა დაიკერა მომენტისათვის შესაფერმა ფრაზებმა: „ძირმომპალი თვითმპყრობელობა“, „დამპალი ფირმა რომანოვებისა“, „ქურდი-ადმინისტრატორები“, „რომანოვების ყოფილი ლაქიები“ და სხვა. ყველაფერი ეს ძალიან ხმამაღალ გვხედება რიმკევიჩის განცხადებებში.

რიმკევიჩის განცხადებებს განსაკუთრებული სიმტკიცე ემჩნევა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა სისხლის სამართლის პატიმარმა—ზორინმა სცემა მას. ალბად შეიტყო, რომ, მისი გალახვის შემდეგ, საგამომძიებლო კომისიამ საჭიროდ სცნო გადაეყვანა იგი კავკავის საპყრობილეში და რიმკევიჩმა ითხოვა დაეტოვებინათ იგი ტფილისში, რადგანაც კავკავის ციხეში ცალკე საკნები არ არის, ხოლო საერთო საკანში მას მოელის:

. . . . . „უეჭველი დაღუპვა ზორინებისა და კომშანიისგან თვითგასამართლებით“.

. . . . . „კავკავამდე არც კი მიმიყვანენ. უსათუოდ გზაში მომკლავენ იმავე თვითგასამართლებით“ . . . . . და სხვ. (წინასწარი გამოძიება, ფურცელი 25 და 26).

თავის მრავალ განცხადებაში რიმკევიჩი ცდილობს დაარწმუნოს საგამომძიებლო კომისია, რომ იგი იყო მეგობარი პოლიტიკური ტყვეებისა და ხშირად გაუწევია მათთვის დიდი სამსახური და დახმარება. ამასთანავე რიმკევიჩი ასახელებს ზოგიერთ პირებს „საზოგადოებიდან“, რომლებისათვისაც იგი თითქოს გულწრფელად ზრუნავდა მათ მიერ სასჯელის მოხდის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიება დასრულდა იმით, რომ ერთ-ერთი ასეთი მეგობრის დაკითხვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საგამომძიებლო კომისიას საკმაო მასალა ჰქონდა რიმკევიჩი სამართალში მიეცა, იგი განთავისუფლებულ იქმნა თანახმად საგანგებო საგამომძიებლო კომისიის განკარგულებისა. მოგვყავს ამ განკარგულების საფუძველი:

ამონაწერი საგანგებო საგამომძიებლო კომისიის 1917 წლის აგვისტოს 11-ის პლენარული სხდომის ოქმიდან.

..... „მოიისმინეს: მოხსენება ამხ. დეშიდოვისა რიმკევიჩის საქმის თაობაზე და დაადგინეს: „მოისპოს საქმის წარმოება, რადგანაც ბრალდებულის მოქმედებანი არ შეიცავს დანაშაულს. რიმკევიჩი განთავისუფლებულ იქმნეს და ამის შესახებ ეცნობოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს“. (საგანგებო საგამომძიებლო კომისიის ოქმების რვეული ფურცელი 50).

ამ დადგენილების ძალით რიმკევიჩი განთავისუფლებულ იქმნა.

დავახასიათეთ რა მოკლედ სტანისლავ რიმკევიჩის პიროვნება, შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო ბრწყინვალე წარმომადგენელი სტოლიპინის რეაქციის პერიოდის ციხის ადმინისტრაციისა. მართალია, რუსეთისა და ციმბირის კატორღებს ახსოვს უფრო გამოჩენილი პიროვნებანი. მაგალითად, გოლოვკინი, ვისოცკი და მრავალი სხვა, რომელნიც თავიანთი მხეცობით და საზიზღრობით კიდევაც გაუსწრებენ რიმკევიჩს, მაგრამ ამათ საქმე ჰქონდათ პატიმართა ერთი კატეგორიის ელემენტთან — კატორღელებთან, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ადამიანურ უფლებას და რომელთა ტანჯვა-წამებაც, ამის გამო, მათ შეეძლოთ უფრო ადვილად და დაუსჯელად. რიმკევიჩმა კი შესძლო ტფილისის ციხეებში, — პატიმართა შერეული შემადგენლობის ციხეებში, — შემოეღო თითქმის საკატორღო წესები და რამდენიმე წლის განმავლობაში ეწამებია პოლიტიკური პატიმრები.

ტფილისი.
1924 წლის იანვრის 31.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია.

ალბომი—„1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას“—გამოცემა ჟურნალ „რევოლიუციის მატიანეს“ რედაქციისა.

ალბომში მოთავსებულია ორმოცამდე სურათი მეფის მთავრობასთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებისა. თვითოეულ სურათს დართული აქვს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ამა თუ იმ დაღუპულ რევოლიუციონერისა. ალბომი სუფთათაა გამოცემული. მას ემჩნევა საქმის ცოდნა და მზრუნველობა გამომცემელთა.

ამით ჩვენ არ გვსურს იმის თქმა, რომ ალბომს ეს თუ ის ნაკლი არ ქონდეს: ნეგროლოგები სუსტობს. ბიოგრაფიული ცნობები ამა თუ იმ ამხანაგის შესახებ მკრთალია. ადგილ-ადგილ დატაც სისწორით არ არის აღნიშნული. მაგრამ, ვინაიდგან ეს პირველი ცდა იყო, არა გვაქვს ჩვენ უფლება დიდი პრეტენზიები წაუყენოთ მას.

დაღუპულ ამხანაგების შესახებ სრული ბიოგრაფიული ცნობების შეგროვება, რომელიც დიდ შრომას და დროს თხოულობს, არ დაუსახავს მიზნათ ალბომის გამომცემლობას. მან იკისრა მხოლოდ მათი სურათების გამოფენა მოკლე ბიოგრაფიული შენიშვნებით და ეს მიზანი კიდევაც შეასრულა გამომცემლობამ, რისთვისაც მადლობის ღირსია იგი.

ამ ალბომს ეხება გაზ. „მეშის“ №№ 336 და 337 ფურცლებზე ამხანაგი პ. საყვარელიძე.

ჩვენ ვერ გავიგეთ რა უნდოდა ეთქვა ამხან. პავლეს თავის შენიშვნებში. თუ მას სურდა ახალი ბიოგრაფიული ცნობებით შეეცვლო ზოგიერთი დაღუპულ ამხანაგების ნეგროლოგები, ამას გაზეთის ფურცლები დაიტევდა და, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ალბომის ინიციატორნიც ამით კმაყოფილი იქნებოდენ. მაგრამ ამხანაგმა პ. საყვარელიძემ ამ მხრით დიდი სიძუნწე გამოიჩინა. მაგალითად, მ. ბოქოიძის შესახებ მან იცის, რომ ამხ. ბოქოიძე ავლაბრის საიდუმლო სტამბის მომწყობია, მაგრამ ამის შესახებ დაწვრილებით ცნობების გამომძიებენებას კი იგი გაურბის. მან სთქვა თავის შენიშვნებში: გიორგი თელიას ამბავი „ცოტა არ იყოს არეულ-დარეულია“ ცნობები მ. დავიდოვის შესახებ სრული არ არის და, გონია, ამით მან დიდი ღვაწლი დასდო რევოლიუციისათვის მასალების შეგროვების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამნაირად ამხ. პავლემ დაწუნებაში დიდი მადა გამოიჩინა, ხოლო თავის მხრით ახალი არაფერი არ გვითხრა.

ამხანაგ პ. საყვარელიძის შენიშვნებს კიდევ ერთი არა სასურველი ნაკლიც აქვს.

საქმე იმაშია, რომ, როგორც სჩანს ალბომში მოთავსებულ სურათებიდგან, მის გამომცემელთ არ მიუქცევიათ ყურადღება პარტიულ სხვედასხვათმისათვის. ალბომში ყველა დაღუპულ ამხანაგებს, ბოლშევიკია იგი, მენშევიკი, თუ ესერი თანაბრად ეთმობა ადგილი და მათ მასახებ ცნობების დამახინჯებას არავინ არ ცდილა. სწორეთ ასე მოიქცევა ყველა ის, ვინც გულწრფილად არის დაინტერესებული ამ საქმით. მეფის ტახტის დამხობა არ შეიძლება მიეწეროს ერთ პირტიას. იგი ყველა სოციალისტური პარტიების თავგანწირული ბრძოლის ნაყოფია. რევოლიუციის ისტორიკოსი ვერ ასცდება ამ ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგების მიღვაწეობის შესწავლას, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

ამხ. პ. საყვარელიძეს კი ეს ასე არ ესმის. მას არ მოსწონს ესდეკების გვერდით ესერებს წამოსკუპება და თავის გულისწყრომას ესერებს ამცხრობს.

ამხ. პავლე იმდენად გაუტაცნია ესერების ზურგზე ჯირითს, რომ თავის წერილში ერთი-ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობის და აშკარად ფაქტის დამახინჯებასაც აღარ ერიდება. იგი ეთანხმება ნეკროლოგის ავტორს ბრძოლაში დაღუპულ გიგა ჯუღელის ესერების რიგებში გადასვლის შესახებ, აკუთვნებს მას 1905 წლებში ესერების პარტიის ხელმძღვანელობასაც კი—ქუთაისის „ადგილ-მამულზე“ და ამავე დროს უარყოფს ცნობას გიგა ჯუღელის მიერ ტერორის მხარის დაჭერის შესახებ.

ამხ. პავლეს მოწმობით, თუ ესერი იყო გიგა ჯუღელი, იგი უსათუოდ ტერორსაც მხარს უჭერდა, თორემ ხელმძღვანელად კი არა, უბრალო წევრთთაც არ დაუშვებდენ მას ესერები. ეს ისე ნათელია, რომ ამაზე ლაპარაკის გაგრძელება სრულიად ზედმეტია.

უფრო საინტერესოა ის, რომ ამხ. პავლეს დანანდა ყოფილ ესდეკის და 1905 წლიდგან ესერების ემბაზში განათლული გიგა ჯუღელისათვის სტრაჟნიკების დახვედრაში მონაწილეობის მიღება „ხუნხუზას“ განსათავისუფლებლად. იგი უარყოფს ამ ცნობას და ამავე დროს, ცოტა ქვემოთ, თვითონ მოგვითხრობს, რომ გიგა ჯუღელი სხვებთან ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად ამ საქმეზე დააპატიმრეს, „ქუთაისის ციხეში იმ ალაგეხ მოათავესეს, სადაც სამხედრო სასამართლოში მისაცემ ხალხს ათავსებდენ“, შემდეგ გაასამართლეს და ყველას კატორღა მიუსაჯესო.

ამის შემდეგ რა ფასიც აქვს ამხ. პ. საყვარელიძის უარყოფას, გიგა ჯუღელის მიერ სტრაფნიკების დახვედრაში მონაწილეობის შესახებ, ამას თვითოეული მკითხველი მიხვდება. ფაქტების ამნაირად დამახინჯება და არევ-დარევა, მეტი რომ არ ვსთქვათ, ხელის შეშლაა იმ პირების, ვინც რევოლიუციის ისტორიისათვის მასალის შეგროვებით სერიოზულათ არიან დაინტერესებულნი და მის გარშემო მუშაობენ.

სასურველია, უფრო დაკვირებით და პატივის ცემით მოპყრობა მეფის მთავრობასთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგებისადმი, რომელ პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. უფრო სასურველია, თუ რევოლიუციის ისტორიისათვის საჭირო მასალები და მოგონებანი, დაღუპულ ამხანაგების შესახებ, გადაეცემა იმ ჟურნალებს, რომელიც სპეციალურად ამის გარშემო მუშაობენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოფ. პოლიტ-კატორღელ. საზ. თბილის. განყ. საბჭოს შემადგენლობა 1923 წელში.

1) ა. ოსუაშვილი, 2) ა. რუხაძე, 3) ვ. ჯალიანი, 4) ვ. ...ლ ოვი, 5) ა. ...ბაზერეული, 6) დ. ნოდეკოვი, 7) ნ. ...ორგანოვი და 8) ხაქ. მბილ თეული ვ. ...ინცკაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლე ანგარიში

ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების თფილისის განყოფილების მოქმედებისა.

ყოფილ პოლიტიკურ კატორღელების და გადასახლებულთა თფილისის განყოფილების დაარსების აზრი ეკუთვნის ამხანაგ კამაროვს. ამხან. კამაროვმა, თფილისში ყოფნის დროს, გააცნო 1922 წელს 12 თებერვალს მოწვეულ პოლიტ-კატორღელების კრებას ცენტრალური საზოგადოების და მის განყოფილებათა მიზანი, საქმიანობა და ურჩია ამხანაგებს გაეხსნათ თფილისში განყოფილება.

კრებამ მოიწონა ამხანაგ კამაროვის წინადადება და სცნო საჭიროთ საზოგადოების განყოფილების გახსნა თფილისში. პირველ რიგში საზოგადოებამ დაისახა მიზნათ:

ა) გაფართოვება საზოგადოების შემადგენლობისა და მისი მოქმედებისა მთელ ამიერ კავკასიის ფარგლებში.

ბ) მოგროვება და გამოცემა მოგონებათა, დღიურებისა და წერილებისა პოლიტიკურ კატორღელ და გადასახლებულთა ცხოვრებიდგან.

გ) საზოგადოების კლუბის დაარსება.

დ) საზოგადოების წევრთათვის სანიტარული დახმარების გაწევა არსებულ სანატორიუმებში მოთავსებით და ამ მიზნით საზოგადოების განკარგულებაში საჭირო საწოლების მიღება ჯანმრთელობის კომისარიატთან შეთანხმებით.

ე) შეძლებისადგვარათ ნივთიერი დახმარების აღმოჩენა წევრთათვის.

როგორც ამნაირ შემთხვევაში ყოველთვის ხდება, საზოგადოებისათვის შეუძლებელი შეიქნა დასახული მიზნების განხორციელება, უსახსრობისა გამო. რომელი მიზნის განხორციელებაც კი განიზრახა საზოგადოებამ საჭირო შეიქმნა ფული. ეს ფული კი მას არ ქონდა. ან საიდგან ექმნებოდა? მთავრობის შეწეხება და მისგან ნივთიერი დახმარების გამოთხოვა საზოგადოებამ იმ თავიდგანვე უარყო. მან გადასწყვიტა თვის შრომით საკუთარი თანხის შექმნა, რომელიც მისცემდა მას ყოველგვარ საჭირო ხარჯების დაკმაყოფილების საშუალებას. ამ მიზნით საზოგადოების სამბჭომ აიღო ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტისაგან იჯარით სახლი № 29, ლენინის ქუჩაზე (ყოფილი ოლღის ქ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განიზრახა ამ მამულში ბაზრის მოწყობა, რომელიც ასე საჭირო იყო ვერის უბნის მცხოვრებთათვისაც.

სახლი აღებულია ათი წლის ვადით. საზოგადოებამ თავის თავზე მიიღო მისი შეკეთება და ამ მამულში ბაზრის მოსაწყობად საჭირო ხარჯები, რომლის რაოდენობა, ქალაქის საალმშენებლო განყოფილების გამოანგარიშებით, უდრიდა 3337 მანეთს ოქროთი.

უკანასკნელ დრამდე არ იყო გამორკვეული ამ მამულის საჭირო გადასახადი. ამ დღეებში მოხდა საბოლოო შეთანხმება საზოგადოების საბჭოს და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს შორის, რომლის ძალით მთელი მამულის შემოსავლიდგან 60% შედის საზოგადოების კასაში. მამულის შემოსავალი კი უდრის თვეში 750 ჩერვონეცის მანეთს. აქედგან რომ გამოვრიცხოთ 300 ჩერვონ. მანეთი, რომელიც მიაქვს ქალაქს, როგორც მამულის იჯარა, საზოგადოებას რჩება 450 მანეთი ჩერვონცებით.

საბჭოს აზრათ აქვს სხვა ახალი ნაბიჯებიც გადასდგას და ამით გაალეიროს საზოგადოების ნივთიერი მდგომარეობა, რათა მან ადვილათ შესძლოს ყველა დასახული მიზნის განხორციელება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოებამ გადიტანა ნივთიერი სიდუხჭირე და დღეს იგი იმდენათ წელგამაგრებულია ნივთიერად, რომ თავისუფლად ახერხებს ჯამაგირებით დაკმაყოფილებას ყველა მოსამსახურეთა, ბაზრის შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯების დაფარვას და უფრო გაჭიერებულ თავის წევრთა ყოველ თვიურად ნივთიერად დახმარების აღმოჩენას. გარდა ამისა, მიღებულია ზომები შეგროვებისა და გამოქვეყნებისა იმ რეფოლიუციონური მასალებისა, რომელიც დაცულია არქივებში. აგრეთვე საზოგადოების საბჭომ გადასდო საქროწვლილი და შეუდგა ჟურნალ „კატორღა და ციმბირი“-ს გამოცემას და სხვა.

ღიდგან დაარსებისა თფილისის განყოფილებას მტკიცე კავშირი აქვს სრულიად რუსეთის ცენტრალურ საზოგადოებასთან. საზოგადოების განყოფილობის საბჭოს ყველა ოქმები და წევრთა მიერ შევსებული ანკეტების ასლები ეგზავნება ცენტრალურ საბჭოს მოსკოვში. ცენტრიდგან საბჭომ მიიღო სხვადასხვა ლიტერატურა, ღირებული საბჭოთა ნიშნებით 1922 წლისა—41.030 მანეთად, რომელიც გასაღებულ იქმნა დაუყონებლივ. წარსულ 1923 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში საბჭოს მიერ აღძრული იყო ცენტრის წინაშე შუამდგომლობა, რათა პენსია დანიშნულ იქმნა სამ ამხანაგს, რომლებმაც წლოვანებით მიაღწიეს 55 წელს. განყოფილების ამგვარი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა და სამივე ამხანაგს მოხუცებულობისაგამო დაენიშნათ პენსია 1 იანვარიდგან 1923 წლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილ პოლიტიკურ კატორღელების და გასახლებულთა საზოგადოების თფილისის განყოფილების შემოსავალ გასავლის ცხრილი 1-იანვრისათვის, 1924 წლისა.

რიგის №	ანგარიშების სახელწოდება	სალდო 1 იანვრისათვის 1923 წლისა		1923 წლის		სალდო 1-იანვრისათვის 1924 წლისა	
		აქტივი	პასივი	დებიტი	კრედიტი	აქტივი	პასივი
1	კასის ანგარიში . .	20489000	—	33773108170	31883137808	1959659362	—
2	სხვა და პირთა . . .	65808250	160360700	8657138873	128940150	8619440223	—
3	საკამისო წიგნების გასყიდვიდგან . .	4935000	—	—	3035000	1900000	185793950
4	გამომცემლობა . . .	—	9355000	—	—	—	9355000
5	ინვენტარი	—	1396000	65274500	—	651349000	—
6	თფილისის საბჭო . .	2775000	—	3146975000	3531000	3146219000	—
7	ბაზრის შეკეთება . .	173923100	—	1065080000	150000000	1224003100	—
8	ბაზრის მოწყობა . .	9480000	—	—	—	9480000	—
9	ბაზრის შენახვა . . .	52146000	—	16871153935	531572000	16391727935	—
10	ბაზრის იჯარა . . .	—	176640000	13520000	32768220170	—	32931340170
11	დახმარება	105000	—	1427325000	—	1428130000	—
12	განსხვავება კურსის მიხედვით.	2190000	—	103106900	—	105296900	—
13	მოგება და წაგება . .	15200350	—	25833250	—	41033600	—
14	საწევრო გადასახადი.	—	—	—	451750000	—	451750000
		347751700	347751700	65735986128	65735986128	33578239120	33578239120

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით ვათავებთ ამ მოკლე ანგარიშს. საზოგადოების საბჭო სთხოვს ყველა ამხანაგებს, ვისაც კი აინტერესებს საზოგადოების მიზნები და სურს მიიღოს ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები, კეთილ ინებოს და მოგბრძანდეს საზოგადოების კანცელარიაში—ლენინის ქ. სახლი № 29.

ბიულეტენი.

ყოფილ პოლიტიკურ კატორლიელების და გადასახლებულთა ცენტრალური საზოგადოებისა [1]).

(15 ოკტომბრიდან 1 იანვრამდე 1924 წ.).

ყველაზე უფრო ღრმა შესანიშნავ მოვლენათ საზოგადოების ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს 1923 წლის 14-ს ოკტომბერს მომხდარი საერთო კრება, რომელიც გაეცნო საზოგ. ცხოვრებას და გამოაცხადა იგი. იმ მრავალ მოხსენებებიდგან, რომელიც კრებამ მოისმინა, იშვლება საზოგადოების მდგომარეობის შემდეგი სურათი. საზოგადოებას გარდა მოსკოვის ორგანიზაციისა აქვს ექვსი განყოფილება:—კიევში, პეტროგრადში, ორლოვში, ხარკოვში, შორეულ აღმოსავლეთში და თფილისში. გარდა ამისა არის ჯგუფები შემდეგ ქალაქებში: კურსკში, როსტოვში, კრიმში და ზაპაროჟეში.

წევრთა რიცხვი 1000 კაცს აღემატება, რომელიც ნაწილდება შემდეგ ნაირად: მოსკოვში ირიცხება 500 კაცამდე, კიევის განყოფილებაში—50 კაცი, პეტროგრადში—50 კაცი, ოდესაში—70 კაცამდე, ხარკოვში 80 კაცამდე, შორეულ აღმოსავლეთში 200 კაცამდე და თბილისში 100 კაცამდე.

ჯგუფებში ირიცხება: კურსკში—10 კაცი, როსტოვში—10 კაცი, კრიმსკში—17 კაცი და ზაპაროჟეში—22 კაცი. გარდა ამისა ამ დღეებში დაარსდა ჯგუფი ბაქოში, სადაც ახლათ აქვთ საზოგადოების განყოფილების გახსნა. აქ მოხსენებულ რიცხვში არ შედის ის კანდიდატები, რომლებთაც განცხადება შემოტანილი აქვსთ, მაგრამ ჯერეთ დამტკიცებული არ არიან. საზოგადოებაში შემოსვლის მსურველთა რიცხვი 500 კაცს აღემატება. ეს კი აშკარა მაჩვენებელია პოლიტიკურ კატორლიელების მასსის საზოგადოებისადმი ძლიერი ლტოლვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნივთიერი დახმარება ამხანაგებისადმი საზოგადოების მიერ დღითი დღე რომ ფართოვდება, ეს სჩანს შემდეგი ცხრილიდან რომელიც მოხსენდა საზოგადო კრებას:

ივნვარში	მიეცა	49	პირს	პენსია	რიცხვით	35635	საბ. ნაშ.	1923 წლისა.
„	„	5	„	დახმ.	„	3300	„	„ „
თებერვ.	„	56	„	პენსია	„	39125	„	„ „
„	„	11	„	დახმ.	„	4170	„	„ „
მარტში	„	60	„	პენსია	„	37526	„	„ „
„	„	16	„	დახმ.	„	6550	„	„ „
აპრილში	„	60	„	პენსია	„	151200	„	„ „
„	„	24	„	დახმ.	„	23700	„	„ „
მაისში	„	59	„	პენსია	„	173305	„	„ „
„	„	29	„	დახმ.	„	50982	„	„ „
ივნისში	„	73	„	პენსია	„	267920	„	„ „
„	„	36	„	დახმ.	„	95503	„	„ „
ივლისში	„	80	„	პენსია	„	404685	„	„ „
„	„	47	„	დახმ.	„	153690	„	„ „
აგვისტ.	„	87	„	პენსია	„	732050	„	„ „
„	„	46	„	დახმ.	„	211000	„	„ „
სექტემბ.	„	85	„	პენსია	„	1117000	„	„ „
„	„	34	„	დახმ.	„	378826	„	„ „

საზოგადოების მოქმედების გაფართოვებასთან ერთად იზრდებოდა მისი ლიტერატურული მოღვაწეობაც. როგორც სჩანს სალიტერატურო კომისიის მოხსენებიდან საერთო კრების წინაშე:

1921 წელში გამოვიდა 68 750 ნაბეჭდი ფურცელ[1].
1922 „ „ 147.000 „ „
1923 „ პირ. ნახ. „ 23.400 „ „

უკვე გამოვიდა მე 7 წიგნი „Каторга и ссылка“ და იბეჭდება მე 8 9 წიგნი რომელიც ამ დღეებში გამოვა.

გარდა ამისა გამოიცა სანდომირსკის—„В Неволе“.

განზრახულია გამოცემა კიდევ წიგნებისა:

როლენკოს ყველა ნაწერებისა, აშენბრენერისა, თანამეზავრი რევოლიუციონურ მოსკოვში, საზონოვის წერილები, ლიტერატურული ალბომი „Каторга и ссылка“ ცხრა ენაზე და მზადდება მასალა ისტო-

---

[1]) თარგმანი რუსულიდგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიულ-რევოლიუციონურ ლექსიკონის გამოსაცემთან, რომლის პირველ ტომში შევა მასალა მე 80 წლამდე, სადაც იქნება 1000 სახელზე მეტი.

საზოგადოებამ მნიშვნელოვანი შრომა გასწია თავის ინიციატივით „მოპრის“ (ბურჟუაზიულ ქვეყნებში სოციალიზმისათვის მებრძოლთა ნივთიერად. დამხმარე საზოგადოება) დაარსების და მისი მოქმედების გაფართოების საქმეში, რომელიც ღერსეულად დააფასა საერთო კრებამ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ვინაიდგან „მოპრი“ ისახავს თავის მიზნად სოციალისტური რევოლიუციისათვის იმ მებრძოლთა დახმარებას, რომელნიც ეკუთვნიან სხვა და სხვა პროლეტარულ პარტიებს, რომელნიც მსხვერპლია ბურჟუაზიის და პროლეტარიატს შორის გაჩაღებული ბრძოლისა და ამ. ნაირად იგინი ხელს უწყობენ პროლეტარიატის იდიალის განხორციელებას მსოფლიო მაშტაბში, საერთო კრება, ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების წევრთა, იწონებს საზოგადოების საბჭოს მიერ ყველა გადადგმულ ნაბიჯებს მოპრის მხარის დაჭერის და მოქმედების განვითარების საქმეში.

საზოგადოების მუშაობის განვითარების და გაძლიერების მიზნით გადაწყდა მოწვეულ იქმნეს სრულიად რუსეთში არსებული ჯგუფების და განყოფილებათა წარმომადგენელნი. ეს ყრილობა უნდა მოხდეს 12 მარტს 1924 წელსა, მეშვიდე წლის თავზე კატორღელების და გადასახლებულთა განთავისუფლებისა. საბჭომ განსაზღვრა წარმომადგენლობის შემადგენლობა ამნაირად: განყოფილება და ჯგუფი, რომელშიაც შედის 10 კაცი აკზავნის ერთ წარმომადგენელს გადამწყვეტი ხმით სადაც კი 10 კაცზე მეტი წევრი იყოლება, თვითოეულ ათ კაცზე აკზავნის თითო წარმომადგენელს.

გარდა საორგანიზაციო მოხსენებათა და პოლიტიკური მომენტის გაშუქებისა განზრახულია მოხსენდეს სიეზდს მთელი რიგი მეცნიერული ხასიათის შინაარსიან მოხსენებათა. სახელდობრ შემდეგ თემებზე: 1) გადასახლების და კატორღის გავლენა დატუსაღებულთა ნებაზე და ფსიხიკაზე ,2) კატორღის და გადასახლების მნიშვნელობა ციმბირის და იაკუტის ოლქის კულტურულ განვითარებაზე, 3) სამი თვობა რევოლიუციონურ მოძრაობაში, 4) შედეგი შვიდი წლის რუსეთის რევოლიუციისა და სხვა.

საზოგადოების საბჭოსთან არსებოს 9 კომი.ია. 1, საორგანიზაციო, 2. საევტენარო, 3. საბინაო და სამნეო, 4. კულტურულ და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლუბო; 5. სალიტერატურო და წიგნების გამომცემლობისა, 6. უმუშევართა ბიური, 7. სამსაჯულო, 8. კომისია დეკანბრისტების უსოვარ საყოფად და 9. სამკურნალო.

მეურნეობის დარგში საზოგადოებამ მიიღო თავის განკარგულებაში მთელი რიგი მამულებისა, ქალაქში და ქალაქ გარეთ მდიდარი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით და სასახლით ყოფილ გრაფის შერემეტიევისა, სადაც აღმოჩნდა მდიდარი და ფასდაუდებელი ბიბლიოთეკა. ამ მამულში მუშაობის სახელმძღვანელოდ საზოგადოებამ გამოყო განსაკუთრებული სავეული, რომელსაც მიანდო წარმოება და ხელმძღვანელობა მუშაობისა ამ მამულში. მასვე დაეკალა ზრუნვა, მამულში მეურნეობის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად, გრძელვადიან სესხის მისაღებად.

7 ნოემბრის საზოგადოება გადავიდა თავის ახალ ბინაზე, ლოპუხინის შესახვევი № 5, სადაც მთელი ზედა სართული ეთმობა მუზეუმს. თითოეულ ოთახში ცალ-ცალკე იქნება შეგროვილი მასალა რომელიმე საკატორღო ციხისა და ამნაირად დაცული იქმნება ინდივიდუალობა თითეული ოთახისა ამ საერთო მუზეუმში. ამიტომ საბჭო სთხოვს ყველა ამანაგებს, რომელთაც მოეპოვებათ სურათები, ან სხვა მასალა კატორგის, ან ციმბირის ცხოვრებიდგან, გადაუგზავნონ საზოგადოებას მუზეუმის შესავსებად.

ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება.

ა. წ. 17-ს თებერვალს შესდგა ყოფილ-პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების თფილისის განყოფილების წევრთა კრება საზოგადოების შენობაში (ლენინის ქ. № 29). საზოგადოების დაარსებიდგან ეს კრება მესამე. კრებაზე გამოცხადდა წევრების 82%. თავჯდომარეობდა ამხანაგი კარპე მოდებაძე, მდივნობდა ვ. ცინცაძე.

საბჭოს სახელით კრებას მიმართვა გაუკეთა ამხ. არჩილ რუხაძემ და სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. ა. არახაშვილმა. მომხსენებლებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვაში ნათლად დაუს ერთოეს კრებას ის დამრკოლებანი, რომელიც საბჭოს ეღობებოდა წინ დასახული მიზნების განხორციელების საქმეში, ვიდრე საზოგადოებამ არ გიჩინა საკუთარი ეკონომიური დასაყრდნობი.

როგორც მოხსენებიდგან გამოირკვა, მიუხედავად მრავალ დამრკოლებათა საბჭოს ბევრი რამ გაუკეთებია ამ უკანასკნელ საანგარიშო წლის განმავლობაში; სახელდ ობრ: მან შეკრიბა თავის გარშემო 69 ყოფილ პოლიტიკური კატორღელი და გადასახლებულნი. გაპირვების და უსაქმობის დროს წევრთ ამხანაგურ დახმარებას უწევდა, თუ ნივთიერი შემწეობ-ს მიცემით, თუ სამუშაოს შოვის სახით. საბჭოს შუამდგომლობის თანახმად ცენტრალური საზოგადოების მიერ პენსია დაენიშნათ მოხუცწევრთ. იგი შეუდგა ქართულ ენაზე ჟურნალ „კატორღა და ციმბირის“ გამოცემას და ყოფილ ჟანდარმის სამართველოს და სხვა თფილისის არქივებში დაცულ რევოლიუციის მასალების დამუშავებას. მიღებულია შესაფერი ზომები—საზოგადოების სამკითხველოს და კლუბის გასახსნელად. ენერგიულ მუშაობას ეწევა და იმედოვნებს ამ მოკლე ხანში მოაწყოს ამასთუმანში ბლეწქით დაავადებულ ამხანაგებისათვის სანატორიუმი ყველა საჯავშრო საბჭოთა რესპუბლიკების მაშტაბით.

მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად გამოაცხადა მადლობა ყოფილ საბჭოს ნაყოფიერი მუშაობისათვის და შეუდგა ახალი საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევას.

საბჭოში არჩეულ იქმნენ:

სტაროსტათ—ამხ. არაქელა ოქუაშვილია, მის მოადგილეთ კ. მოდებაძე ა. რუხაძე და ვ. ჯაიანი.

წევრებათ: მ. მელიქ ოვი, ვ. დუმბაძე, ა. არაზაშვილი, ა. ვადაჭყორია და მ. ახაჯბედაშვილი, ხოლო საპატიო თავჯდომარეთ ამხ. სერგო ორჯონიკიძე.

საბჭოს წევრთა კანდიდატებათ: ამხანაგები—ციცკაძე ვ, მჟავანაძე გ., კარაპეტოვი ი. და პეტროსიანი რუბენ.

სარევიზიო კომისიაში: თავჯდომარეთ—ს. ხახანოვი, წევრებათ—დ. კილაძე, ი. კუხალეიშვილი და ატოევი ვ.

გარდა ამისა საბჭოსთან არსებობს კომისიები: საორგანიზაციო—თავჯდომარე ა. რუხაძე, წევრები—ა. ვადაჭყორია და ვ. ჯაიანი; სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოო — ვ. ჯაიანი, წევრები — ა. არაზაშვილი და ვ. ცინცაძე; წიგნების გამომცემლობის და სარედაქციო — თავჯდომარე ა. რუხაძე, წევრები — ვ. ჯაიანი და ა. ვადაქყორია; საკურორტო — თავჯდომარე ა. ოქუაშვილი, წევრები — მ. მელიქოვი და არაზაშვილი; ბიბლიო უ"უშევარ. თავის თავჯდომარე მ. მელიქოვი, წევრნი ახალბედაშვილი და ვადაქყორია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

განცხადება

ყოველ თვიურ ჟურნალ „Историко Революционный бюллетен“-ისა.

ჩვენი ჟურნალის მიზანია აღნიშნოს თავის ფურცლებზე ცხოვრება და მოღვაწეობა იმ რევოლიუციონერთა, რომელნიც დაიღუპნენ კატორღაში, ციმბირში და სხ. ამიტომ რედაქცია მოუწოდებს ამხანაგებს და ყველა იმ პირთ, ვისაც ესმის თავის მოვალეობა რევოლიუციის ისტორიის წინაშე, გამოგვიგზავნონ მოგონებანი და ბიოგრაფიული ცნობები შემდეგი პირებისა:

ვასილიევი—მუშა ეკატერინოსლავის გუბერნიიდან, სოფ. ალექსანდროვკიდან, ესდეკი—მოკვდა კუტამირში.

მიხაილ ოვი პავლე—ესერი, ჭკუაზე შესცდა კუტამირში.

მასლოვი, ლეიბაზონი რიჩკოვი—მოკვდა კუტამირში.

პუხალსკი, კირილოვი—მოკვდა იქვე.

ილინსკი სერგეი—ესერი, მოკვდა იოანოსლავის საკატორღო ციხეში.

პროშიან-პროშიანი—ესერი, მოკვდა 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ რუსეთში.

სიდორენკო პეტრე—მოკვდა საზღვარ გარეთ.

ლადიგინი—მეზღვაური, მოკვდა სმოლენსკის საკატორღო ციხეში.

ნერონოვი—თავი მოიწამლა მოსკოვის ბუტირკის ციხეში.

მომონტოვი პეტრე—მოკვდა ორლოვის ციხეში 1911 წელში.

სერვიუკოვი, კუდინი, ციგანოვი, ნასენოვი, სოლოდუხინი, საბუროვი, გრეკოვი, კრივცოვი, ნიკულინი, სოდლერი, ფუდმინ, მელნიკოვი, რედკო-ლიტმანი, მალხინი, ჟინეეი, ეფრემ სელივანოვი, კონონ მოსკალჩუკი, ბალამედი, მაისენკო—გარდაიცვალნენ ორლოვის საკატორღო ციხეში.

მეროშნიჩენკო, იაკოვენკო, სერგეი კუდრიავცევი. კურაგინი, სიკორსკი, პეტრე სუდაკი, სტეფანე ჩერადნიკი, პეტრე მათიკოვი, საპუტნიცკი (ესდეკი), **მალარჩუკი, გრიბანოვი, ბანცეროვსკი, ფიტეევი, მიხი, ნოვიკოვი, შუბოვიჩი, გრამოვი,**—მოკვდენ ორლოვის საკატორღო ციხეში [1].

---

1) ჩვენი რედაქცია დიდის სიამოვნებით კისრულობს მასალის გადაგზავნას დინიშნულებისამებრ მოსკოვში, უკეთუ ვისმეს მოეპოვება რაიმე ცნობები აქ დასახელებულ პირების შესახებ და მოაწოდებს მას რედაქციას.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲠᲘᲩᲔᲕᲘ.

1. რედექციისაგან. 1
2. ვ. ი. ლენინი ციმბირში—ა. **რუხაძე**. 2

ᲪᲘᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲐ.

3. ციხის კოლექტიური დღიურიდგან (წერილები: **სვ. კანდელისა, ლერასი, ზ. ოტრინჯელისა და გარიყულისა**). 6
4. ციხეში დაწერილი ლექსები—**მეხურელისა**. 33
5. მოწოდება მთელი ციხის მიმართ—**ოტრინჯელისა**. 37
6. ტუსაღის წერილები—**ზ. ოტრინჯელისა** 49
7. სიკვდილით სასჯელი (ჟურნალ „ციხის გამოძახილიდან“)—**ოტრინჯელისა** 58

ᲙᲐᲢᲝᲠᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘ.

8. საზონოვის სიკვდილი—**ვ. პიროგოვისა** (თარგმანი) 67
9. შეიარაღებული გაქცევა ალექსანდროვსკის საკატორღო ციხიდგან—**ფაბრიჩისა**. (თარგმანი) 71
10. სევდის წუთებში—**ლუჩაინისა** (თარგმანი). 78

ᲛᲢᲠᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ.

11. თვითმყრობელობის ბურჯნი. 105
12. **მეტეხის** ციხის უფროსი რომკევიჩი და მისი განკარგულებანი.—**სვეტლოვისა** 111
13. ბიბლიოგრაფია. 123
14. მოკლე ანგარიში პოლიტ-კატორღელთა საზოგადოების თბილისის განყოფილების მოქმედების შესახებ 127
15. პოლიტ-კატორღელების ცენტრალური საზოგადოების ბიულეტენი 130
16. ყოფილ პოლიტ-კატორღელების საზოგადოების თფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრების ანგარიში. . . . 133
17. განცხადება ჟურნალ „Историко-революционнаго бюлетен“-ისა. 135